

# გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა

III ეტაპი

2024 წელი

დამკვეთი: სსიპ „სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტო"

შემსრულებელი: „სტუდია21"

დირექტორი მანანა თავხელიძე

საპროექტო გუნდი:

ხელმძღვანელი:
გ. აბულაძე
გ. გოცირიძე

პროექტის მენეჯერი:
ნ. აბულაძე

არქიტექტორები:
სტუდია 21
გ. კილურაძე
ხ. მახარაშვილი
ი. მუშკუდიანი
მ. ქევხიშვილი
ი. შარაბიძე
ხ. ხაგულაშვილი

არტსტუდიო პროექტი:
სტუდიის ხელმძღვანელი
გ. სულაბერიძე
ს. გოგოლაძე
ა. მამულაშვილი
ა. წიქორიძე

გეოგრაფიკი:
არქიტექტორი: მ. ადუაშვილი
ქალაქმგეგმარებელი: პ. ძიძიგური
გის სპეციალისტი: ს. კენკებაშვილი

სოფლის მეურნეობა: ა. დიდებულიძე

კულტურული მემკვიდრეობა:
ააიპ „ქართული სახლი"
თ. დვალი
ნ. მეფარიშვილი
თ. ლვინერია

არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა: ნ. მეფარიშვილი

ეკონომიკური კვლევა: Cushman & Wakefield

გარემოს დაცვა: კ. ბახტაძე

ტრანსპორტი: ვ. ჩხაიძე

| | სახელი გვარი | სპეციალობა | სტაჟი | სამუშაო ადგილი |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| შპს „სტუდია 21“ | | | | |
| 1 | გია აბულაძე | არქიტექტორი/ურბანისტი | 48 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 2 | ხათუნა ხაგულაშვილი | არქიტექტორი | 26 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 3 | ირინა შარაბიძე | არქიტექტორი | 28 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 4 | ხატია მახარაშვილი | არქიტექტორი | 17 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 5 | ია მუშკუდიანი | არქიტექტორი | 29 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 6 | ნინო აბულაძე | არქიტექტორი | 14 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 7 | მამუკა ქევხიშვილი | არქიტექტორი | 27 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| 8 | გიორგი კიღურაძე | არქიტექტორი | 16 წელი | შპს. „სტუდია 21“ |
| ქართული სახლი | | | | |
| 1 | ნანა მეფარიშვილი | არქიტექტორი, ქართული ტრადიციული საცხოვრებლის მკვლევარი | 26 წელი | ააიპ „ქართული სახლი“ |
| შპს „გეოგრაფიკი“ | | | | |
| 1 | გიორგი გოცირიძე | გეომორფოლოგი | 32 წელი | შპს „გეოგრაფიკი“ |
| 2 | სოფიკო კენკებაშვილი | გის სპეციალისტი | 25 წელი | შპს „გეოგრაფიკი“ |
| Cushman & Wakefield | | | | |
| 1 | ნინა ყიფიანი | კვლევითი ნაწილის ზედამხედველი | 19 წელი | Cushman & Wakefield |
| 2 | გიორგი ჯაფარიძე | ფინანსური და ეკონომიკური ანალიზის ზედამხედველი | 20 წელი | Cushman & Wakefield |
| 3 | ნინო მაღრაძე | კვლევების და სტრატეგიული მიმართულების უფროსი | 12 წელი | Cushman & Wakefield |
| 5 | თამთა ჯანიაშვილი | მკვლევარი ანალიტიკოსი | 5 წელი | Cushman & Wakefield |
| მოწვეული სპეციალისტები | | | | |
| 1 | კახა ბახტაძე | გარემოსდაცვის სპეციალისტი | 20 წელი | მოწვეული სპეციალისტი |
| 3 | სანდრო დიდებულიძე | სოფლის მეურნეობის სპეციალისტი | 50 წელი | მოწვეული სპეციალისტი |
| 4 | ლადო ჩხაიძე | ტრანსპორტის სპეციალისტი | 48 წელი | მოწვეული სპეციალისტი |
| 5 | თამაზ დვალი | ხელოვნებათმცოდნე | 53 წელი | მოწვეული სპეციალისტი |
| 6 | გიორგი ლაღიაშვილი | არქეოლოგი | 14 წელი | მოწვეული სპეციალისტი |

დეტალური ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ბმულზე: https://tenders.procurement.gov.ge/
განცხადების ნომერი: CNT220000030

# გურჯაანის  მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა

# გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა

## რეზიუმე

**სსიპ სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოსთან** დადებული N021-2022 (08/09/2022) ხელშეკრულების საფუძველზე, „სტუდია 21“-მა დაამუშავა „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის და ქალაქ გურჯაანის ცენტრალური ნაწილის განაშენიანების გეგმის პროექტი“.
აღნიშნული პროექტი 3 ეტაპად იყო დაყოფილი:

## I - კვლევა

2022 წლის 8 სექტემბრიდან 2023 წლის 6 თებერვლამდე (პირველი ეტაპის საბოლოო ანგარიში) ჩატარდა სხვადასხვა კვლევები თუ შეხვედრები:

- 16 სექტემბერი - გაიმართა გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიაში, რომელსაც ესწრებოდა გურჯაანის მერი, მერის მოადგილეები, საკრებულოს წევრები და სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები. სტუდია 21 - მა მათ თავიანთი ხედვები გააცნო.
- 26-30 სექტემბერი - ერთობლივი - სტუდია 21, გეოგრაფიკი, არტ სტუდიო პროექტი, Cushman & Wakefield - ექსპედიცია გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სამი დღის მანძილზე მოვიარეთ მუნიციპალიტეტის სოფლები. - **დარჩეთი, ზიარი, ქოდალო, არაშენდა, ფხოველი, ჯიმითი, ნანიანი, ზემო კაჭრეთი კაჭრეთი, მელაანი, ჩალაუბანი, კარდენახი, ბაკურციხე, მუკუზანი, ზეგაანი, ველისციხე, ახაშენი, ჩუმლაყი, ყიტაანი, კახიფარი,ვაჩნაძიანი, კალაური, შაშიანი, ვაზისუბანი, ჭერემი, სოფ. გურჯაანი, ვეჯინი, ძირკოკი, ჭანდარი, კოლაგი.**

შეხვედრების პარალელურ რეჟიმში დაიგზავნა წერილები სხვადასხვა უწყებაში:

- გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
- საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- შინაგან საქმეთა სამინისტრო
- საქართველოს რკინიგზა
- სოკარ ჯორჯია
- საჯარო რეესტრი
- გურჯაანის მერია განათლება, სპორტი
- გურჯაანის მერია ტურიზმი
- დაცული ტერიტორიების სააგენტო
- გარემოს ეროვნული სააგენტო
- ეროვნული სატყეო სააგენტო
- მინერალური რესურსების ეროვნული საგენტო
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია
- წყალმომარაგების კომპანია თელავი
- მუნიციპალური ფონდი
- საავტომობილო გზების დეპარტამენტი
- ენერგოპრო ჯორჯია
- საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის

- 12-15 ოქტომბერი - ექსპედიცია გურჯაანის მუნიციპალიტეტში სოფლების აღწერის მიზნით.
- 14-16 ნოემბერი - ექსპედიცია ქალაქ გურჯაანში.

- 26-27 იანვარი (2023 წ.) - სოფელ კარდენახში გაიმართა შეხვედრები 30 სოფლის წარმომადგენელთან, რომლებსაც გავაცანით ჩვენს მიერ მოძიებული ინფორმაცია და მათთან ერთად, დისკუსიაში, დავაზუსტეთ საკითხები რომლებიც ეხებოდა თითოეულ სოფელს.

**ექსპედიციების, შეხვედრების და მოძიებული ინფორმაციების შედეგად მომზადდა სხვადასხვა კვლევები, რომლებიც I ეტაპის საბოლოო ანგარიშში წარვადგინეთ.**

**ძირითადი დოკუმენტები:**
ალბომი #1 ტექსტური ნაწილი - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის მოსამზადებელი კვლევების შედეგები
ალბომი # 2 გრაფიკული ნაწილი
ალბომი # 2 გრაფიკული ნაწილის დანართი 1
მონაცემთა მატრიცა
ჩატარებული სამუშაოების აღწერა, ჩამონათვალი

**დანართები:**
დანართი # 1 - სოფლის მეურნეობა
დანართი # 2 - კულტურული მემკვიდრეობა
დანართი # 3 - ეკონომიკური და სექტორული კვლევები
დანართი # 4 - ტრანსპორტი
დანართი # 5 - საინჟინრო ნაწილი
დანართი # 6 - შეხვედრების ფოტოები
დანართი # 7 - არქივიდან მოძიებული მასალა
დანართი # 8 - სოფლების და ქ.გურჯაანის აღწერა

## II ეტაპი - კონცეფცია

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია**

- 2023 წლის 27 მარტიდან 25 აგვისტომდე (მეორე ეტაპის საბოლოო ანგარიში) ჩატარდა სხვადასხვა კვლევები თუ სამუშაო შეხვედრები:
- 24 აპრილი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მმართველობასთან.
- 27 აპრილი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა საქართველოს რკინიგზის წარმომადგენლებთან.
- 04 მაისი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მმართველობასთან.
- 19 მაისი - საპროექტო გუნდის შეხვედრა
- 23 მაისი - საპროექტო გუნდის შეხვედრა, შუალედურ ეტაპზე ჩასაბარებელი გრაფიკული ნაწილის დეტალების გადაწყვეტა.
- იმართებოდა მნიშვნელოვანი შეხვედრები სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან.
- 16 ივნისი - შეხვედრა დამკვეთთან, პროექტის განხილვა
- 22 ივნისი - შეხვედრა ქ. გურჯაანის ტექნოპარკში, დამკვეთთან და მუნიციპალიტეტის მთავრობის წარმომადგენლებთან.
- 28 ივნისი 01 ივლისი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა
- 07 ივლისი - სამუშაო შეხვედრა დამკვეთებთან
- 10 ივლისი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა რკინიგზასთან დაკავშირებით
- 27 ივლისი - საპროექტო ჯგუფის შეხვედრა

- მეორე ეტაპის დასრულების შემდეგ, გურჯაანის ტექნოპარკში მოეწყო საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები.

- საჯარო განხილვის და სხვადასხვა უწყებებიდან მიღებული შენიშვნების შემდეგ, საპროექტო გუნდმა, მსჯელობების შედეგად, ცვლილებები შეიტანა დოკუმენტაციაში და წარმოდგენილი 2 ალტერნატივიდან, საბოლოოდ, ერთ ალტერნატივაზე შეჯერდა.

**კომპლექსურ კვლევებზე, გამოწვევებზე, მიდგომებსა და სტრატეგიულ მიგნებებზე დაყრდნობით დაგეგმარდა:**

- სივრიცთი კატეგორიები - დასახლებული, სასოფლო, ბუნებრივი და სხვა ტერიტორიების საზღვრებზე განვითარების საზრვრების და რეგლამენტირების დონეზე;
- დაცვის ზონებისა და ზოლების რეგლემნტირებული არეალები წყლის ობიექტებზე, მდინარეებზე, მაგისტრალური საინჟინრო ქსელებზე, ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობებზე, მაგისტრალური მილსადენებზე ბუნებრივი საფრთხეების გავრცელებაზე;
- დაცული ტერიტორიების სისტემისა და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიებისთვის აღკვეთილის, ზურმუხტის ქსელისა და ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიების საზრვრები;
- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალები, კულტურული ლანდშაფტის დაცვის სარეკომენდაციო ზონები ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები;
- სატყეო ტერიტორიის ფოდის ერთიანი მუნიციპალური გეოსივრცითი ლოკალიზაცია და იტეგრირება;
- ტერიტორიების გნავითარების გეგმარებითი არეალები ალაზნის ველის, კახური სოფლების რიგის, გომბორის ქედისა და ივრის არეალის სახით;
- მუნიციპალური რანგის აგრარული კლასტერები ატმის და ვაშლატამას, მეცხოველეობის საკვებ/შემზადებისა და მევენახეობა-მეღვინეობის არეალების სახით;
- განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები, ცენტრები, ქვეცენტრები და კვანძები.

აღნიშნული დოკუმენტაცია მეორე ეტაპის საბოლოო ანგარიშში წარვადგინეთ.

**ძირითადი დოკუმენტები:**
01. გურჯაანის  მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია
02.  გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმის კონცეფცია - გრაფიკული ალბომი
მონაცემთა მატრიცა
სოფლების მატრიცა

**დანართები:**
დანართი # 1 - ტრანსპორტის ნაწილი
დანართი # 2 - სოფლის მეურნეობა
დანართი # 3 - ეკონომიკური ნაწილი
დანართი # 4 - სგშ-ს სკოპინგის ანგარიში
დანართი # 5 – 22 ივნისის შეხვედრა
დანართი # 6 - ტრადიციული კახური საცხოვრებლების კვლევის მეთოდოლოგია
დანართი # 7 - გეოლოგიური ბიულეტინი
დანართი # 8 - საჯარო განხილვა გურჯაანის ტექნოპარკში (27.12.23)

III ეტაპი  - პროექტი

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა**

- 2023 წლის 14 ოქტომბრიდან 2024 წლის 11 ივნისამდე (მესამე ეტაპის საბოლოო ანგარიში, პროექტი) დამუშავდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმა.

დოკუმენტაცია მესამე ეტაპის საბოლოო ანგარიშშია წარმოდგენილი:

**ძირითადი დოკუმენტები:**
01. გურჯაანის  მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა
02.  გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა - გრაფიკული ალბომი
სოფლების მატრიცა

**დანართები:**
დანართი # 1 - სგშ-ს სკოპინგის ანგარიში
დანართი # 2 - რეგლამენტი
დანართი # 3 - შეიპ ფაილები

**აღნიშნული პროექტის დოკუმენტაცია, ეტაპებითა და შინაარსით, თანხვედრაშია დამკვეთის მიერ შედგენილ დავალებასთან**

**შინაარსი**

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა ....................................................2

რეზიუმე ....................................................................................................................................2

ტერმინთა განმარტება ..............................................................................................................7

შესავალი ...................................................................................................................................8

1. გურჯაანის როლი საქართველოს და რეგიონის განსახლების სისტემაში, დასახლებების იერარქია და ადმინისტრაციული სტრუქტურა, ინფრასტრუქტურის და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები .....................................................................................9

*გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებების იერარქია და განვითარების შესაძლებლობები ....................................................................................................16*

*გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძების იერარქია. ...................................................................................................21*

2. სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრუქტურა ......................................................................23

3. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ქმედებების გეგმა-გრაფიკი.....................................52

დანართი 1...............................................................................................................................61

1. სოც ინფრასტრუქტურა [1] .......................................................................................................61

*1.1. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა...............................................................61*

*1.2. სოციალური მომსახურება.....................................................................................62*

*1.3. განათლება, კულტურა და სპორტი........................................................................62*

2. ტურიზმი.................................................................................................................................65

3. ახალი სოფლის მშენებლობისათვის და არსებული სოფლების ექსტენსიური განვითარებისათვის შერჩეული ტერიტორიები (სარეზერვო ტერიტორიები) ...........................68

4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების არეალები.........................................................................................................69

5. ისტორიული განაშენიანების უბნების რეაბილიტაცია და კახეთის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში მათი ჩართვა ........................................................................................72

6. საწარმოო პოტენციალის მქონე ტერიტორიები/სხვა საწარმოო ტერიტორიები.....................72

7. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების აღდგენა ...............................................................73

8. ძირითადი საინჟინრო ინფრასტრუქტურა.............................................................................75

*8.1. ელექტროსისტემა....................................................................................................75*

*8.2. ბუნებრივი აირი.......................................................................................................76*

*8.3. წყალმომარაგება......................................................................................................76*

*8.4. საყოფაცხოვრებო წყალარინება .............................................................................76*

*8.5. ნარჩენების მართვა..................................................................................................77*

9. ენერგეტიკული პოტენციალი.................................................................................................79

*9.1. ქარის ენერგია ........................................................................................................79*

*9.2. მზის ენერგია...........................................................................................................80*

*9.3. ჰიდროენერგია.........................................................................................................82*

## ტერმინთა განმარტება

**სივრცის დაგეგმარების გეგმა (სდგ)** – კოდექსით განსაზღვრული საქართველოს სივრცის დაგეგმარების გეგმა, ავტონომიური რესპუბლიკის სივრცის დაგეგმარების გეგმა და მულტიმუნიციპალური/მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა;

**აღკვეთილი** - აღკვეთილი წარმოადგენს დაცული ტერიტორიების ერთ-ერთ კატეგორიას, რომელიც შეესაბამება ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) დაცული ტერიტორიების IV კატეგორიას. აღკვეთილი შეიძლება დაარსდეს ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზებისა და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დასაცავად, რაც ადამიანის მიერ სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებების განხორციელებას მოითხოვს. აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება.

**ურბანული** - ქალაქური

**ინვენტარიზაცია** - გულისხმობს, როგორც სასაქონლო მატერიალური ფასეულობების, ასევე ძირითადი საშუალების აღწერას.

**დაგეგმარება** - პროექტირება, რომლის დროსაც, სივრცის განვითარების და/ან განაშენიანების მართვის დაგეგმვის საფუძველზე, ხორციელდება ტერიტორიების ფიზიკური გარემოსა და ინფრასტრუქტურის ფორმირების ამოცანების გადაწყვეტა და შესაბამისი ტაქსონომიური დონის დოკუმენტაციის მომზადება;

**ინფრასტრუქტურა** – საინჟინრო-ტექნიკური, სატრანსპორტო, ასევე საკომუნიკაციო ობიექტების, ნაგებობებისა და ქსელების ერთობლიობა;

**კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა** – „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონა;

**სარეზერვო ტერიტორიები -** ახალ, დაგეგმილ სოფელსა და არსებულ სოფლებში ცალკეული, სამშენებლო განვითარებისათვის ხელსაყრელი ახალი უბნები - საცხოვრებელი, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურული დანიშნულებისათვის.

**სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება (სგშ)** – შესაბამის კვლევებზე დაფუძნებით, ამ კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული გეგმის განხორციელების შედეგად გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და ზოგადი პროგნოზირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურა;

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმას.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა შემუშავებულია კვლევის (იხ. კვლევის დოკუმენტაცია - საქაღალდე: I ეტაპი - კვლევა) შედეგების გათვალისწინებით და წარმოდგენილია ეფექტიანობის შეფასების შედეგად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურების (მათ შორის საჯარო განხილვების) შემდეგ და შესაბამისად შეჯერებული ალტერნატიული პოზიციების გავალისწინების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია მომზადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი, სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესი) და შედგება ტექსტური და გრაფიკული ნაწილებისგან.

**ტექსტური ნაწილი** მოიცავს სივრცის დაგეგმარების გეგმის შემდეგ საკითხებს:

- გურჯაანის როლი საქართველოს და რეგიონის განსახლების სისტემაში, დასახლებების იერარქია და ადმინისტრაციული სტრუქტურა, ინფრასტრუქტურის და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები;
- გეგმის სტრუქტურა, მათ შორის სივრცითი კატეგორიები, გეგმარებითი არეალები, აგრარული კლასტერები, დარგობრივი გეგმებით/რეგლამენტებით განსაზღვრული მარეგულირებელი არეალები/ზონები და სხვა ტერიტორიები, ასევე გეგმარებითი არეალები და აგრარული კლასტერები;
- ანგარიშში მოცემულია გარკვეული შემოთავაზებები/წინადადებები, მათ შორის სარეზერვო ტერიტორიები, საწარმოო ტერიტორიები, გეგმარებითი არეალების (ალაზნის ველის, გომბორის ქედის, ივრის ზეგანის, სასოფლო აგლომერაციის) განვითარების პირობები, მინდორდაცვითი ზოლების აღდგენა;
- განხილულია გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქარის, მზისა და ჰიდროენერგიის პოტენციალი.
- ასევე, განხილულია დარგობრივი მიმართულებები (ბუნებრივი გარემო, სოფლის მეურნეობა, ურბანული, სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურა, განათლება და მეცნიერება და სხვ.;
- ბოლოს კი წარმოდგენილია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და სამოქმედო გეგმა.

ტექსტურ ნაწილში ჩართულია ილუსტრაციები, ცხრილები; საჭიროებისამებრ, გაკეთებულია მითითებები შესაბამის გრაფიკულ მასალაზე (ილუსტრაციები/რუკები).

**გრაფიკული ნაწილი** მოიცავს ტერიტორიათა განვითარების/გამოყენების გრაფიკულ მონახაზს, რომელიც წარმოდგენილია რამდენიმე რუკის სახით, 1:100 000-იან მასშტაბში.

დოკუმენტის განახლება/რევიზია სასაურველია მოხდეს 4 წელიწადში ერთხელ.

დოკუმენტს ასევე თან ერთვის **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში (სგშ).**

1. **გურჯაანის როლი საქართველოს და რეგიონის განსახლების სისტემაში, დასახლებების იერარქია და ადმინისტრაციული სტრუქტურა, ინფრასტრუქტურის და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები**

გურჯაანის სივრცით-ტერიტორიული განვითარება საქართველოს განსახლების სისტემაში უპირველესად უკავშირდება და დამოკიდებულია იმაზე თუ, რა ადგილი უჭირავს მას განსახლების იერარქიულ-ტაქსონომიური სისტემის უფრო მაღალ საფეხურზე - ქვეყნის, ან კახეთის გეგმარებითი რეგიონის[1] დონეზე და რამდენად და რა სახით არის ის დაკავშირებული ქვეყნის განსახლების ღერძებთან.

კახეთის გეგმარებითი რეგიონის არსებული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, ქვეყნის დემოკრატიული განვითარების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ასახავს ქვეყნის არასაკმარის დეცენტრალიზაციას და სამოქალაქო საზოგადოებაზე დაფუძნებული თვითმმართველობის სუსტ მდგომარეობას, რომელიც ცენტრისა (თბილისი) და პერიფერიის ტრადიციულად დისპროპორციულ ურთიერთობასთან ერთობლიობაში, ვერ პასუხობს რეგიონისთვის შესაფერის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეს (რეგიონის ისტორიულ-კულტურული პოტენციალი და სოციალურ-ეკონომიკური შესაძლებლობები იხ:http://gov.ge/files/275_38368_341843_136617.09.13%E2%80%931.pdf (შესამუშავებელია ახალი სტრატეგია).

საქართველოს განსახლების სისტემაში კახეთის გეგმარებითი რეგიონის მიმართება ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან განისაზღვრება განსახლების ცენტრალურ ღერძთან (სივრცითი კარკასი-1) ჩიხური მდებარეობით (**Error! Reference source not found.**); (იგულისხმება ბელაქანი-ზაქათალას მიმართულების საავტომობილო გზის შეზღუდული სატრანსპორტო შესაძლებლობები), რაც მკვეთრად ამცირებს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს.

მხოლოდ ექსკლუზიურ საქალაქთაშორისო გადაზიდვებს ახორციელებს თელავის აეროპორტი. თითქმის უმოქმედოა კახეთის ჩიხური რკინიგზაც.

---

[1] ამჟამად კახეთის გეგმარებითი რეგიონს განვიხილავთ მთა-თუშეთის გარეშე მხოლოდ სავარაუდო კონტექსტში, ვინაიდან შესაძლებლად ვთვლით მთა-თუშეთი ცალკე გეგმარებით რეგიონად წარმოვადგინოთ




*ილ. 1სივრცითი კარკასი 1 და 2. წყარო: სამთავრობო პროგრამა, 2016*

საქართველოს განსახლების ცენტრალური ღერძი, სივრცითი კარკასი-1, წარმოადგენს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კავშირს, რომლის მნიშვნელობა შინაარსითა და დატვირთვით განუხრელად ივსება და ვითარდება. კავშირის მოსარგებლეთა შორის გამორჩეულია ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი - TRACECA, რომელიც 14 ქვეყანას (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ყაზახეთი, მოლდოვა, უკრაინა, მონღოლეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, თურქეთი) აერთიანებს. TRACECA-ს მნიშვნელობა ბევრად სცილდება ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა საზღვრებს. ტრასეკა, განვითარების დღევანდელ ეტაპზე, არა მხოლოდ ევროპა-კავკასია-აზიის დამაკავშირებელ მრავალფუნქციურ დერეფნად გადაიქცა. (იხ. ილ. 1); TRACECA-ს განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპია მისი მიერთება ჩინეთი-ცენტრალური აზია - დასავლეთ აზიის დერეფანთან, რომელიც ჩინეთს ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან და შემდეგ ევროპასთან დააკავშირებს.




TRACECA-ს მარშრუტში შემავალი დასახლებები

TRACECA-ს ძირითადი მაგისტრალები/მარშრუტები

*ილ. 1. TRACECA-ს კავშირები. წყარო: ინტერნეტი, ღია წყარო.*

ამჟამად, TRACECA-ს კავშირი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, დედაქალაქის აგლომერაციის გავლით, „წითელი ხიდის" გავლით ხორციელდება და გვერდს უვლის კახეთის გეგმარებით რეგიონს.

მიმდინარე გეოპოლიტიკურმა რეალიებმა TRACECA-ს მეტი დამატებითი დატვირთვა შესძინა ახალი - „შუა დერეფნის" სახით. ამ მიმართულებით სატრანსპორტო ნაკადის მოსალოდნელი ზრდის კვალდაკვალ, „წითელი ხიდიდან" მომავალ ძირითად მაგისტრალთან ერთად, დამატებით შინაარსს შეიძენს აზერბაიჯანის M5 მაგისტრალი. აღმოსავლეთიდან მომავალი სატვირთო ნაკადების მკვეთრი მატების შედეგად აზერბაიჯანის ძირითადი საერთაშორისო მაგისტრალის (E60) გადატვირთვა გამოიწვევს ტვირთების გარკვეული რაოდენობის გადანაცვლებას აზერბაიჯანის ტერიტორიაზევე პარალელურად გამავალ M5 მაგისტრალზე, რომელიც საქართველოში ბელაქანი-ზაქათალას მიმართულებიდან შემოდის და ბაკურციხეზე გავლით თბილისს უერთდება.

ალტერნატივის სახით შესაძლებელია გამოვიყენოთ კახეთის ქალაქების მიმართ გურჯაანის საკვანძო სატრანსპორტო მდებარეობა და ბელაქანი-ზაქათალიდან ბაკურციხემდე მიმავალი გზა გურჯაანზე გავატაროთ. რითაც მნიშვნელოვნად გავზრდით თავად გურჯაანის ეკონომიკურ და სტრატეგიულ შესაძლებლობებს. (ისეც სათქმელია, რომ ეს გზა მცირედით მოკლეც კია გზის პირველ ვერსიაზე)

ამასთან, აღნიშნული მაგისტრალის ტრანსნაციონალური სტატუსი მოხსნის განსახლების ცენტრალურ ღერძთან (სივრცითი კარკასი-1) კახეთის გეგმარებითი რეგიონის ჩიხურ მდებარეობას და მნიშვნელოვნად წაადგება, როგორც ქალაქ გურჯაანის, ისე გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და კახეთის მხარის ჩართულობას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში. ხელს შეუწყობს აგრობიზნესსა და ფერმერულ მეურნეობაზე დაფუძნებული მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრიის - სასოფლო-სამეურნეო ეკო და ბიოპროდუქტების წარმოების განვითარებას;

ამ თვალსაზრისით ძალზედ მნიშვნელოვანია გურჯაანის მნიშვნელობა საკუთრივ კახეთის გეგმარებითი რეგიონის მუნიციპალიტეტების განვითარებისთვისაც. გურჯაანის მუნიციპალიტეტის ცენტრალური მდებარეობა სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში (უშუალო სატრანსპორტო კავშირით უერთდება საგარეჯოს, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს, ხოლო თელავისა და სიღნაღის გავლით - ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს. ამ ნიშნით გურჯაანი თანაბრად ინაწილებს რა (არაფორმალურად) კახეთის გეგმარებითი რეგიონის ცენტრალური ქალაქის როლს, სავსებით შესაძლებელია იტვირთოს სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია.
ძალზედ სპეციფიურია კახეთის გეგმარებით რეგიონში განაშენიანების ჩამოყალიბებული ტიპი, რომელიც მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, განაშენიანების პროცესი აგლომერირების[2] მიმართულებით განვითარდა და სათემო მუნიციპალიტეტებსაც შეეხო - ამის მაგალითია „შიგნით კახეთის“[3] სოფლების უწყვეტი ჯაჭვი სოფელ კარდანახიდან ქ. თელავამდე, რაც ამ არეალში „დაგეგმვის“ მუნიციპალიტეტთაშორისი ფორმატისკენ გვიბიძგებს (იხ. ილ. 2).




*ილ. 2. თელავი-კარდენახის დე ფაქტო არსებული სასოფლო აგლომერაცია. წყარო: გეოგრაფიკი, 2017*

აღნიშნული სასოფლო აგლომერაციის ფარგლებში მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანების უმეტესი ნაწილი და მოიცავს მისი მოსახლეობის 85 %-ს. სასოფლო აგლომერაციის გარეთ მდებარეობს მხოლოდ ექვსი სათემო სოფელი - ყიტაანი, ნანიანი, მელაანი, ჩალაუბანი,

[2] https://www.acjournal.ru/jour/article/viewFile/1783/1472
[3] ხარძე - კ. ხარძე, „კახეთის ისტორიული გეოგრაფია XVIII ს“, თბ., 2010

ჭერემი, ჯიმითი. აგრეთვე, არაშენდას (სოფ: არაშენდა, დარჩეთი, ქოდალო, ზიარი, ფხოველი) და კაჭრეთის (სოფ: კაჭრეთი, ზემო კაჭრეთი) სასოფლო თემები.

მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ სასოფლო აგლომერაციასთან მიმართებაში უნდა განვიხილოთ აგრეთვე მუნიციპალიტეტში არსებული დასახლებების ტიპოლოგია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანება შედგება ერთი ქალაქის (გურჯაანი) და 30 სოფლისაგან, რომელთაგან 13 სოფელი გაერთიანებულია ხუთ (ვაჩნაძიანის, მუკუზანის, ჩუმლაყის, არაშენდას, კაჭრეთის) თემში (იხ. ცხრილი 1). აქვე აღვნიშნავთ, რომ გურჯაანი წარმოადგენს ქალაქ-კურორტს (მის ფარგლებში მდებარეობს ახტალის ტალახის აბაზანები). ხოლო საკურორტო ადგილის სტატუსს ატარებენ სოფ. ვეჯინი და სოფ. ზიარი (არაშენდას თემი)[4].

*ცხრილი 1*

| № | ტერიტორიული ორგანო | სოფელი | მოსახლეობა | კაცი | ქალი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ქ. გურჯაანი | | 10013 | 4881 | 5132 |
| 2 | ვაჩნაძიანის თემი | ვაჩნაძიანი | 2203 | 1030 | 1173 |
| | | კახიფარი | 130 | 61 | 69 |
| 3 | კალაური | კალაური | 2629 | 1252 | 1377 |
| 4 | შაშიანი | შაშიანი | 3218 | 1808 | 1410 |
| 5 | ვაზისუბანი | ვაზისუბანი | 4116 | 2174 | 1942 |
| 6 | მუკუზნის თემი | მუკუზანი | 1156 | 542 | 614 |
| | | ზეგაანი | 559 | 261 | 298 |
| 7 | ველისციხე | ველისციხე | 6531 | 3229 | 3302 |
| 8 | ახაშენი | ახაშენი | 3192 | 1532 | 1660 |
| 9 | ჩუმლაყის თემი | ჩუმლაყი | 4845 | 2436 | 2409 |
| | | ყიტაანი | 439 | 205 | 234 |
| 10 | სოფელი გურჯაანი | სოფ. გურჯაანი | 5050 | 2396 | 2654 |
| 11 | ჭანდარი | ჭანდარი | 2400 | 1154 | 1246 |
| 12 | ძირკოკი | ძირკოკი | 1450 | 731 | 719 |
| 13 | ვეჯინი | ვეჯინი | 3793 | 1826 | 1967 |
| 14 | კოლაგი | კოლაგი | 1380 | 670 | 710 |
| 15 | ბაკურციხე | ბაკურციხე | 3163 | 1500 | 1663 |
| 16 | კარდენახი | კარდენახი | 5841 | 2841 | 3000 |
| 17 | ჩალაუბანი | ჩალაუბანი | 1050 | 513 | 537 |
| 18 | მელაანი | მელაანი | 1444 | 735 | 709 |
| 19 | არაშენდის თემი | არაშენდა | 1492 | 727 | 765 |
| | | დარჩეთი | 536 | 261 | 275 |
| | | ქოდალო | 402 | 196 | 206 |
| | | ზიარი | 110 | 54 | 56 |
| | | ფხოველი | 80 | 39 | 41 |
| 20 | კაჭრეთის თემი | კაჭრეთი | 3945 | 1970 | 1975 |
| 21 | | ზემო კაჭრეთი | 1186 | 593 | 593 |
| 22 | ჯიმითი | ჯიმითი | 1650 | 771 | 879 |
| 23 | ნანიანი | ნანიანი | 713 | 356 | 357 |
| 24 | ჭერემი | ჭერემი | 110 | 62 | 48 |

[4] წყარო: საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება №655, 2005 წლის 22 ივლისი, ქ. თბილისი - საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ.

*წყარო: გურჯაანის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამა. 2016 წ.*

ძალზედ მნიშვნელოვანია ყველა პარამეტრით შევაფასოთ ქალაქ გურჯაანის როლი კახეთის გეგმარებითი რეგიონის ფარგლებში და გამოვყოთ ის ფაქტორები, რითაც ქალაქი გურჯაანი კახეთის სხვა ქალაქებს შორის სპეციფიური ნიშან-თვისებებით იქნება გამორჩეული.

კახეთის გეგმარებითი რეგიონი ცხრა ქალაქისაგან შედგება - ახმეტა, გურჯაანი, დედოფლისწყარო, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ყვარელი, სიღნაღი და წნორი.

*ცხრილი 2. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქების მოსახლეობა და ფუნქცია*

| № | ქალაქი | ადმინისტრაციული ორგანო | მოსახლეობა | ფუნქცია |
|---|---|---|---|---|
| 1 | თელავი | სამხარეო ცენტრი | 19 629 (2014) | ადმინისტრაციული, საგანმანათებლო |
| 2 | გურჯაანი | მუნიციპ. ცენტრი | 10 013 (2016) | მუნიციპალური მართვა, სატრანსპორტო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ჰაბი. |
| 3 | საგარეჯო | მუნიციპ. ცენტრი | 10 871 (2014) | მუნიციპალური მართვა |
| 4 | ყვარელი | მუნიციპ. ცენტრი | 7 739 (2014) | მუნიციპალური მართვა |
| 5 | ახმეტა | მუნიციპ. ცენტრი | 6 326 (2021) | მუნიციპალური მართვა, ტურიზმი |
| 6 | ლაგოდეხი | მუნიციპ. ცენტრი | 5 918 (2014) | მუნიციპალური მართვა, ტურიზმი |
| 7 | დედოფლისწყარო | მუნიციპ. ცენტრი | 5 940 (2014) | მუნიციპალური მართვა, |
| 8 | სიღნაღი | მუნიციპ. ცენტრი | 1 485 (2014) | მუნიციპალური მართვა, ტურიზმი |
| 9 | წნორი | - | 4 815 (2014) | მუნიციპალური მომსახურება |

ამ ქალაქებიდან ბოლო ორი ქალაქი ერთი მუნიციპალიტეტის (სიღნაღის) შემადგენლობაშია. ყველა დანარჩენი, საკუთარი დასახელების მუნიციპალიტეტის ერთადერთ ქალაქს და მუნიციპალიტეტის ცენტრალურ დასახლებას წარმოადგენს.

ქალაქ გურჯაანის გამორჩეულ და სპეციფიურ ნიშან- თვისებათა შორის თვალშისაცემია ქალაქ გურჯაანის შემკრები მდებარეობა სხვა მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქების მიმართ. (იხ. ილ. 3).

თბილისი - ქვეყნის დედაქალაქი, „შიგნით კახეთის„ სასოფლო აგლომერაციის უწყვეტ ჯაჭვს, რომელიც სოფელ კარდანახიდან ქ. თელავამდეა გადაჭიმული, მის შუა წელში, ქალაქ გურჯაანში უკავშირდება. აქ, გურჯაანის შემკრები სატრანსპორტო ფუნქცია გარკვეულწილად გენერალიზირებულია, რადგან ფაქტობრივი მიერთება, მართალია რვა კილომეტრით მოშორებულ, თავისივე მუნიციპალიტეტის სოფ. ბაკურციხეში ხდება, კახეთის უმეტეს ქალაქთან კავშირი (სიღნაღის და დედოფლისწყაროს გამოკლებით) გურჯაანის გავლით ხორციელდება.

თავის მხრივ, ქალაქ გურჯაანი პირდაპირი და დამოუკიდებელი სატრანსპორტო მაგისტრალით უკავშირდება საგარეჯოს, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ქალაქებს, ხოლო თელავისა და სიღნაღის გავლით - ახმეტისა და დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქალაქებს.

ასევე საპირისპიროდ: „შიგნით კახეთის„ და „გაღმა მხარის„[5] ყველა მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქები ქალაქ გურჯაანის გავლით უკავშირდებიან ქვეყნის დედაქალაქს.



*ილ. 3. კახეთის მხარის მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქები*

საკომუნიკაციო კავშირების კონცენტრაციით გურჯაანი შესამჩნევად აღემატება კახეთის ადმინისტრაციული ცენტრის - თელავის შესაძლებლობებს და ამ თვალსაზრისით სავსებით გამართლებულია იტვირთოს სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია. მით უმეტეს, თუ აზერბაიჯანის **M5** მაგისტრალი, რომელიც გურჯაანზე გამავალი **თბილისი-ლაგოდეხი (ს-5)** მაგისტრალით შეუერთდება **ბელაქანი-ზაქათალას** მიმართულებას, ტრანსნაციონალური მაგისტრალის სტატუსს შეიძენს.

ქალაქ გურჯაანს, დანიშნულების თვალსაზრისით, გამოარჩევს აგრეთვე ის, რომ კახეთის გეგმარებითი რეგიონის ქალაქებს შორის, მხოლოდ მას გააჩნია ქალაქ-კურორტის სტატუსი (მის ფარგლებში მდებარეობს ახტალის ტალახის აბაზანები).

---

[5] ხარძე - კ. ხარძე, „კახეთის ისტორიული გეოგრაფია XVIII ს“, თბ., 2010

გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებების იერარქია და განვითარების შესაძლებლობები

1. **გურჯაანი** - მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი.

2.1. **ველისციხე** - უძველესი და უდიდესი სოფელი, დიდი ისტორიით, არქიტექტურული ძეგლებით და ისტორიული მარნებით. მნიშვნელოვანი ტურისტულ-კულტურული კერა, რომელიც კიდევ უფრო გაიზრდება სოფლის ისტორიული ცენტრის მიმდინარე რეაბილიტაციის შემდეგ.

2.2. **კაჭრეთი** - ყოფილი ადმინისტრაციული ცენტრი წისქვილკომბინატებით, ღვინის ქარხნებით და დიდი სასტუმრო კომპლექსით, რომელმაც გამოიწვია მოსახლეობის გარკვეული ნაწილის სოფელში დაბრუნება და წვრილ-წვრილი სასტუმრო სახლების და ოთახების მოწყობა. ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების შედარებითი ნაკლებობით. სასტუმრო კიდევ ვითარდება, კაჭრეთის უპირატესობაა თბილისთან ახლო მდებარეობა. კახეთის მაგისტრალის გაყვანის შემდეგ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი და მიმზიდველი გახდება.

3.1 **ჭერემი** - დასახლებებიდან განცალკევებულად მდებარე ისტორიული სოფელი გომბორის ქედზე, გამორჩეულია არქიტექტურული და არქეოლოგიური ძეგლების სიმრავლით. არსებული, ადგილობრივი მნიშვნელობის გზის აღდგენის შემდგომ, გააჩნია საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა გახდეს არქეოლოგიის პოპულარიზაციის კუთხით მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, შესაბამისად განვითარებული ტურისტული და სოციალ-კულტურული ინფრასტრუქტურით.

3.2 **ზიარი/ფხოველი/ქოდალო** - გომბორის ქედზე მდებარე სოფლების ჯგუფი გამორჩეული ადგილმდებარეობით და მიკრო-კლიმატით, ორი წყალსაცავითა და ტალახის აბაზანით, რაც, გომბორის ქედის ორივე მხარის დამაკავშირებელი, კომფორტული გზის აღდგენის შემდგომ მუნიციპალიტეტში დაიკავებს საკვანძო ფუნქციას და გააჩნია საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა გახდეს მნიშვნელოვანი სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ცენტრი, განვითარებული სასტუმრო კომპლექსით და შესაბამისი სოციალ-კულტურული ინფრასტრუქტურით.

3.3 **ბაკურციხე** - გზაჯვარედინი, საიდანაც კახეთის მაგისტრალი სამი მიმართულებით მიემართება:

- გურჯაანი, თელავი, ახმეტა
- ყვარელი, ლაგოდეხი
- დედოფლისწყარო, სიღნაღი.

მომავალში შესაძლებელია სატვირთო სატრანსპორტო ჰაბის განვითარება.

მუნიციპალიტეტში არის დასახლებების შემდეგი იერარქიული დონეები:

1. ქალაქი გურჯაანი - მუნიციპალური ცენტრი. ქალაქი კურორტი;

2. სათემო სოფლები[6]. მათ შორის:
   - ველისციხე - ქვეცენტრი დამატებითი ფუნქციებით;
   - კაჭრეთი - ქვეცენტრი დამატებითი ფუნქციებით;
   - ბაკურციხე - სატრანსპორტო ფუნქციით;
   - ჭერემი - საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა ტურისტულ-კულტურული ფუნქციით.

3. სოფლები:
   - ზიარი/ქოდალო/ფხოველი - საინვესტიციო განვითარების პერსპექტივა სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტულ - რეკრეაციული ფუნქციით;

4. სტრუქტურულად და გეგმარებითად გამოკვეთილი დასახლებების "ჯაჭვი";

5. გომბორის ქედის სოფლები

*ცხრილი 3. გურჯაანის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტები (იხ. საქაღალდე III ეტაპი - სდგ სოფლების მატრიცა)*

| № | თემი | დასახლებ. პუნქტი | დასახლებ. ტიპი | ადმინისტრაც. ორგანო | მოსახლ. (კაცი-ქალი) | ფუნქცია |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 1 | გურჯაანი | ქალაქი | მუნიც. ცენტრი | 10013 (4881-5132) | მუნიციპალური მართვა, სატრანსპორტო, ტურისტული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი |
| 2 | 2 | ვაჩნაძიანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 2203 (1030-1173) | სათემო მართვა, არქეოლოგია (ელინისტური ხანის; XI-XII სს არტეფაქტები) |
| 3 | | კახიფარი | სოფელი | | 130 (61-69) | არქეოლოგია (ელინისტური ხანის; XI-XII სს არტეფაქტები) |
| 4 | 3 | კალაური | სოფელი | სათემო ცენტრი | 2629 (1252-1377) | სათემო მართვა |
| 5 | 4 | შაშიანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 3218 (1808-1410) | სათემო მართვა |
| 6 | 5 | ვაზისუბანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 4116 (2174-1942) | სათემო მართვა მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერის წევრი |
| 7 | 6 | მუკუზანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1156 (542-614) | |

[6] **სათემოსოფელი** - 2014 წლიდან საქართველოს კანონმდებლობით თვითმმართველი ერთეული მუნიციპალიტეტი. https://ka.wikipedia.org/wiki/თემი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | | ზეგაანი | სოფელი | | 559 (261-298) | |
| 9 | 7 | ველისციხე | სოფელი | სათემო ცენტრი | 6531 (3229-3302) | ქვეცენტრი. სათემო მართვა, მდიდარი ისტორია და შესაბამისი არტეფაქტები, გზაჯვარედინი, მნიშვნელოვანი ტურისტულ-კულტურული კერა საინვესტიციო განვითარების პერსპექტივით. მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერის წევრი. |
| 10 | 8 | ახაშენი | სოფელი | სათემო ცენტრი | 3192 (1532-1660) | სათემო მართვა. მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერის წევრი, ვაშლისა და ვაშლატამას კლასტერის წევრი |
| 11 | 9 | ჩუმლაყი | სოფელი | სათემო ცენტრი | 4845 (2436-2409) | სათემო მართვა ვაშლისა და ვაშლატამას კლასტერის წევრი |
| 12 | | ყიტაანი | სოფელი | | 439 (205-234) | ვაშლისა და ვაშლატამას კლასტერის წევრი |
| 13 | 10 | გურჯაანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 5050 (2396-2654) | ვაშლისა და ვაშლატამას კლასტერის წევრი |
| 14 | 11 | ჭანდარი | სოფელი | სათემო ცენტრი | 2400 (1154-1246) | სათემო მართვა |
| 15 | 12 | ძირკოკი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1450 (731- 719) | სათემო მართვა |
| 16 | 13 | ვეჯინი | სოფელი | სათემო ცენტრი | 3793 (1826-1967) | სათემო მართვა |
| 17 | 14 | კოლაგი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1380 (670-710) | სათემო მართვა |
| 18 | 15 | ბაკურციხე | სოფელი | სათემო ცენტრი | 3163 (1500-1663) | სათემო მართვა, სატრანსპორტო კვანძი |
| 19 | 16 | კარდენახი | სოფელი | სათემო ცენტრი | 5841 (2841-3000) | სათემო მართვა |
| 20 | 17 | ჩალაუბანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1050 (513- 537) | სათემო მართვა, გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის არტეფაქტები |
| 21 | 18 | მელაანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1444 (735-709) | |
| 22 | 19 | არაშენდა | სოფელი | სათემო ცენტრი | 1492 (727-765) | სათემო მართვა. მეცხოველეობის |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | საკვებშემზადების კლასტერის წევრი |
| 23 | | დარჩეთი | სოფელი | | 536 (261-275) | მეცხოველეობის საკვებშემზადების კლასტერის წევრი |
| 24 | | ქოდალო | სოფელი | | 402 (196-206) | პალეოლითური ხანის არტეფაქტები, საკურორტო ადგილი; სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსი საინვესტიციო განვითარების პერსპექტივით. |
| 25 | | ზიარი | სოფელი | | 110 (54- 56) | |
| 26 | | ფხოველი | სოფელი | | 80 (39-41) | |
| 27 | 20 | კაჭრეთი | სოფელი | სათემო ცენტრი | 3945 (1970-1975) | კაჭრეთი - ქვეცენტრი. სათემო მართვა, მეცხოველეობის საკვებშემზადების კლასტერის წევრი და მნიშვნელოვანი საწარმოო პოტენციალი, სასტუმრო ფუნქციები საინვესტიციო განვითარების პერსპექტივით. მრავალი ყორღანული გორასამარხი შესაბამისი არტეფაქტებით |
| 28 | 21 | ზმ. კაჭრეთი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1186 (593-593) | |
| 29 | 22 | ჯიმითი | სოფელი | სათემო ცენტრი | 1650 (771- 879) | |
| 30 | 23 | ნანიანი | სოფელი | სათემო ცენტრი | 713 (356- 357) | სათემო მართვა. მეცხოველეობის საკვებშემზადების კლასტერის წევრი |
| 31 | 24 | ჭერემი | სოფელი | სათემო ცენტრი | 110 (62-48) | სათემო მართვა, მდიდარი ისტორია და შესაბამისი არტეფაქტები, მნიშვნელოვანი ტურისტულ-კულტურული კერა საინვესტიციო განვითარების პერსპექტივით. |
| | | სულ | | | **74487** (**36185-38302**) | |

გურჯაანის ურბანული განვითარების ქვაკუთხედია მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის კავშირების გეგმარებითი გააქტიურება და საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარდება.

დღეს არსებული კავშირებიდან საყურადღებოა:

- სოფლების „ჯაჭვი“ - კარდენახი - ვაჩნაძიანი;
- კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი.

ორივე კავშირს სჭირდება მოწესრიგება, განვითარება და კეთილმოწყობა. ამავე დროს, მნიშვნელოვანია აღდგეს კაჭრეთი - ჭერემი - ველისციხის გზა, რომელიც დღეს არ მოქმედებს და შესაბამისად არ არსებობს პირდაპირი კავშირი მუნიციპალიტეტის ორ ქვეცენტრს შორის, იმის პერსპექტივით, რომ კიდევ უფრო გაძლიერდება სოფ. ჭერემის შესაძლებლობები მისთვის შესაფერისი პოტენციალის დარად განვითარდეს და მიზიდულობის ერთ-ერთ კერად ჩამოყალიბდეს.

სხვა, რომ არაფერი, ეს გზა მნიშვნელოვნად შეამცირებდა დროს მოსახლეობისთვის, თბილისიდან ყვარელსა და ლაგოდეხში მოსახვედრად და კიდევ უფრო გამოიკვეთებოდა ამ ორი ქვეცენტრის და ჭერემის როლი რეგიონში. მუნიციპალიტეტის მასშტაბით კი ბევრად უფრო მიმზიდველი გახდებოდა გომბორის ქედის სოფლები ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ამ სქემაში მნიშვნელოვანი რგოლია - კაჭრეთი, საიდანაც ხდება მოხვედრა გომბორის ქედის სოფლებში, ამ ეტაპზე სუსტად განვითარებული სატრანსპორტო კავშირებით.

თუმცა, ქალაქგეგმარებითი ზემოქმედების თვალსაზრისით გადამჭრელი სიტყვა მუნციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ, ტრანსნაციონალურ საერთაშორისო მიგისტრალს უნდა მივაკუთვნოთ. ჩქაროსნული მაგისტრალის გაყვანა კახეთში მნიშვნელოვნად შეცვლის გურჯაანის, როგორც ცენტრალური მუნიციპალიტეტის როლს კახეთის რეგიონში.

ჯერჯერობით არ არის გამოკვეთილი და გაანალიზებული თუ რა კონკრეტულ გავლენას მოახდენს ახალი მაგისტრალი გურჯაანის მუნიციპალიტეტზე (და ზოგადად, რეგიონის ლოგისტიკურ რუკაზე).

თუმცა, შეგვიძლია პროგნოზირება უკვე ექსპლუატაციაში შესული „შემოვლითი გზის“ მიხედვით, რომელმაც გამოანთავისუფლა შიდასასოფლო გზები ტრანზიტული და სატვირთო ტრანსპორტისაგან და შესაბამისად შექმნა ხელსაყრელი პირობები შიდა გზების „პროფილის“ შეცვლისათვის (მუნიციპალური ტრანსპორტი, ტურისტული მარშრუტები და ა.შ.). ჩვენი, ურბანისტების ამოცანაა მაღალ დონეზე განვითარებული სივრცეების და კავშირების ერთიანი გააზრება, რომელიც ამასთანავე იქნება ხელმისაწვდომი და სასურველი მოსახლეობის სხვადასხვა დემოგრაფიული ფენისთვის და იმუშავებს ყველა სეზონზე.

მაგისტრალის მშენებლობის დასრულების შემდეგ, პრაქტიკულად გურჯაანიდან ბევრად უფრო გამარტივებულად და მოსახერხებლად ვხვდებით რეგიონის დანარჩენ მუნიციპალიტეტებში (საგარეჯოს გარდა, რომელიც პირდაპირ თბილისზეა მიბმული).

საგულისხმოა ისიც, რომ 8 კმ სიგრძის ბაკურციხე-გურჯაანის შემოვლითი გზა ფაქტობრივად გულისხმობს ამ მონაკვეთში არსებულ სასოფლო დასახლებების შემოვლას და გურჯაანის ცენტრის ავლით, თავად გურჯაანშივე ახალი ლოგისტიკური ცენტრის განვითარებას, რაც არანაირად არ დაემსგავსება ცნობილ პრაქტიკებს, რაც დასახლებული პუნქტებიდან ტრანზიტის გატანასთან არის დაკავშირებული.

გურჯაანის ტერიტორიაზე ლოგისტიკური ჰაბის უალტერნატივო განვითარება უკავშირდება ორ, ურთიერთდამოკიდებულ პირობას - გურჯაანის ცენტრალურ/საკვანძო მდებარეობას კახეთის მხარის სხვა ქალაქებთან მიმართებაში (იხ. ილ. 3) და აქედან გამომდინარე მის ტერიტორიაზე ახალი, საერთაშორისო მაგისტრალის გატარების შესაძლებლობას.

ჩქაროსნული მაგისტრალის თანმდევი პროცესია შიდა მუნიციპალური და სოფლების დამაკავშირებელი, ხარისხიანი გზების განვითარება და შიდა კავშირების გააქტიურება. შრომისუნარიანი, განვითარებადი საზოგადოება, მოითხოვს წვდომას ადგილობრივ და რეგიონალურ კავშირებთან, ისევე, როგორც სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებისთვის ალტერნატიულ მარტივად მობილურობას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ **თბილისი-ლაგოდეხი-ბელაქან/ზაქათალის** დამაკავშირებელი, დაგეგმილი გზის გაყვანით გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ განვითარებაში საბოლოოდ დალაგდება საკუთრივ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფუნქციურ-გეგმარებითი ღერძების მკაფიო იერარქია.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძების იერარქია.**

- **საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალი - თბილისი - გურჯაანი (ბაკურციხე) - ლაგოდეხი - ბელაქან/ზაქათალის** მაგისტრალური გზის გამჭოლი მიმართულება (სამომავლო). ეს მიმართულება ძირითად, წამყვან ღერძად, საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალად ჩამოყალიბდება. ქვეყნის ცენტრალური ღერძის - **სივრცითი კარკასი 1-ის სტატუსს შეიძენს** და კახეთის მხარეს მოუხსნის ეკონომიკურად მეტად არახელსაყრელი, ჩიხური მიმართულების სტატუსს.
- **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა** - კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღერძი, გზა, რომელიც სასოფლო აგლომერაციის სახით აერთიანებს სოფლების, მათ შორის მცირე ქალაქების უწყვეტ ჯაჭვს თელავიდან კარდენახამდე.
  ამ, შიდასახელმწიფოებრივი გზის გურჯაანის მონაკვეთი, ვაჩნაძიანიდან-კარდენახამდე აერთიანებს გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანების უმეტეს ნაწილს და მოიცავს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 85 %-ს.
- **შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა** - გზა, რომელიც გამოიყოფა კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღერძიდან და მიემართება **ყვარელის** მიმართულებით;
  აქვე, სისრულისათვის აღვნიშნავთ, რომ გურჯაანიდან კახეთის მხარის სხვა ქალაქებთან, მუნიციპალური ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები **შიდასახელმწიფოებრივი რანგისაა** და კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღერძს მუნიციპალიტეტის გარეთ გამოეყოფიან. **შიდასახელმწიფოებრივი რანგისაა** აგრეთვე სამხარეო დანიშნულების კიდევ ერთ გზას, რომელიც „გაღმა მხარის“[1] ტერიტორიას განეკუთვნება და არ გაივლის გურჯაანის ტერიტორიაზე:
  - ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი-ბელაქან/ზაქათალა;
- **ადგილობრივი მნიშვნელობის გზა -** ყველა დანარჩენი გზა ადგილობრივი მნიშვნელობის სტატუსით იქნება წარმოდგენილი, კერძოდ:
  - კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი.
  - კაჭრეთი - ჭერემი - ველისციხე




*ილ. 4. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა*

## 2. სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრუქტურა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმა გულისხმობს **სივრცითი განვითარების საუკეთესო ხედვებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზებას.**

სივრცის დაგეგმარების გეგმით წარმოდგენილი გეგმარებითი გადაწყვეტები/წინადადებები განხილულია როგორც დარგობრივი მიმართულებების/კომპონენტების - ბუნებრივი გარემო, სოფლის მეურნეობა, ურბანული გარემო, ტრანსპორტი და სხვ. - მიხედვით და ინტეგრირებულად ასახულია შესაბამის რუკაზე (იხ.

ილ. 5), ასევე, ზემოაღნიშნული სინთეზურად წარმოდგენილია კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად მარეგლამენტირებელი სივრცეებით, არეალებითა და სხვ. კომპონენტებით, რომელიც წარმოდგენილია წინამდებარე ქვეთავებში.




*ილ. 5. სივრცის დაგეგმარების გეგმა*

გურჯაანის მუნიციპალიტეტი წარმოდგენილია დაცული, განსაკუთრებული რეგულირების მქონე და ინტენსიური განვითარების ტერიტორიული ერთეულების ურთიერთდაკავშირებული და დაბალანსებული სისტემით, რომელიც წარმოდგენილია სივრცითი კატეგორიებით, დაცვის/მარეგულირებელი ზოლებით, ზონებითა და არეალებით, რომლებიც თანაფარდობაშია, როგორც კონტექსტუალურად, აგრეთვე სივრცეში და სამართლებრივ რეგლამენტშიც. აღნიშნული ასევე წარმოდგენილია ოთხმხრივი მატრიცის სახით.

წარმოდგენილი სივრცით-ფუნქციური ელემენტები მოზაიკურად ავსებს მუნიციპალიტეტის ერთიან სივრცეს შესაბამისობაში მოყვანილი სივრცითი წესრიგით შემდეგი სტრუქტურის მიხედვით (იხ. ცხრილი 4):

*ცხრილი 4. სივრცის დაგეგმარების გეგმის სტრუქტურა*

| სივრცითი კატეგორიები: |
|---|
| დასახლებული ტერიტორია |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია |
| ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია |
| სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია |
| სატყეო ტერიტორია |
| სარეზერვო ტერიტორია (სარეკომენდაციო) |
| დაცვის ზონები და ზოლები: |
| წყლის ობიექტების დამცავი ზონები: მდინარეები, ტბის და წყალსაცავის წყალდაცვითი ზოლი |
| მაგისტრალური საინჟინრო ქსელების დაცვის ზონები: ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონები მაგისტრალური მილსადენების (გაზი) დაცვის ზონები (დაცვის I და II, უსაფრთხოების III, საკონსულტაციო IV) |
| რკინიგზის და გზების დაცვის ზონები |
| ბუნებრივი საფრთხეები |
| დაცული ტერიტორიების სისტემა/ დაცული და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიები: |
| ყორუღის აღკვეთილი |
| ალაზნის ჭალის ტყეები |
| ზურმუხტის ქსელი |
| ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები |
| კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები: |
| კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალები |
| არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა |
| კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონა (სარეკომენდაციო)/ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები |
| გეგმარებითი არეალები: |
| ალაზნის ველი |
| კახური სოფლების რიგი |
| გომბორის ქედი |
| ივრის არეალი |
| აგრარული კლასტერები: |
| ატმის და ვაშლატამას |
| მეცხოველეობის საკვებ/შემზადების |
| მევენახეობა-მეღვინეობის |
| განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სივრცით- ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები (ხაზები), ცენტრები, ქვეცენტრები, კვანძები[7] |

[7] აღწერა იხ. თავი 1-ში

# სინთეზური რუკა



## აღწერა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმის სინთეზური (ინტეგრირებული) რუკა არის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარების კარტოგრაფიული გამოსახულება ამ განვითარების ერთიანი აღქმის, მასში კომპლექსური ნავიგაციის, განვითარებაში ჩართული სივრცით-ფუნქციური ელემენტების აუცილებელი მოზაიკურობის განპირობებული ინტეგრირებული (გასათვალისწინებელია, რომ რეალობაში ეს რუკა არის რეალურად ერთიანი გეომონაცემთა ბაზა, რომლის მშვეობით მუნიციპალიტეტის მმართველობასა შესაძლებლობა ექნება ნებისიერ წერტილში დაადგინოს, მიძებნის, განსაზღვროს, დაგეგმოს და დააგემაროს ტერიტორიები და განახორციელოს გაიგტარების ტენდენციების მონიტორინგი და კონტროლი) მართვის ისნტრუმენტი. ეს სინთეზური რუკა არის მუნიციპალური ტერიტორიების განვიათარების მართვის ერთერთი ისნტრუმენტი და ამვდროულად ერთიანად დანახული მუნიციპალიტეტის ე.წ. სივრცითი ორგანიზების ანატომია/სივრცითი კონსტიტუცია.

კარტოგრაფიული გამოსახვისა და ტერიტორიების შინაარსობრივი სტურქტირიზაციის რთული მოზაიკის მიუხედავად რუკაზე თვალნათლივ აღიწერება:

- თავად განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძების, ცენტრების, ქვეცენტრების და კვანძების მიმართება ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებთან;
- დაგეგმილი საერთაშორისო მნიშვნელობის, გამჭოლი საავტომობილო გზის ვექტორი (სივრცითი კარკასი I) ლაგოდეხის მიმართულებით; ამ ვექტორის მიმართება გურჯაანის მუნიციპალიტეტის კონფიგურაციასთან და თავად გურჯაანთან;
- გურჯაანის საკვანძო მდებარეობა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე - სოფლების უწყვეტი ჯაჭვთან ქ. თელავიდან სოფელ კარდანახამდე;
- სივრცითი კატეგორიების (დასახლებული, სასოფლო-სამეურნეო, ბუნებრივი ლანდშაფტი); გეგმარებითი არეალების (ალაზნის ველი, კახური სოფლების რიგი, გომბორის ქედი, ივრის ზეგანი) და აგრარული კლასტერების (მევენახეობა-მეღვინეობის, ატმისა და ვაშლატამას, მეცხოველეობა-საკვებშემზადების) კორელაცია ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებთან;
- დაცული და სპეციალური კონსერვაციული ტერიტორიების (ყორულის აღკვეთილი, ზურმუხტის ქსელი, ფრინველთა მარშრუტები და ტერიტორიები,) კორელაცია ბუნებრივ-ტერიტორიულ კომპლექსებთან;
- სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსების ადგილმდებარეობის მიმართება ტერიტორიის ოროგრაფიასა და ვერტიკალურ ზონირებასთან;




### დასახლებული ტერიტორიის აღწერა (განაშენიანებული/ურბანიზებული)

დასახლების განაშენიანებული ტერიტორია, რომელიც დაფარულია შენობა-ნაგებობებით; შესაბამისი თანმხლები საკარმიდამო ნაკვეთებით.

### დასახლებული ტერიტორიის რეგლამენტი (განაშენიანებული/ურბანიზებული)

დასახლებული ტერიტორია - ტერიტორია, რომელიც დაფარულია შენობა-ნაგებობებით, ამ ტერიტორიაზე ერთიანდება დასახლებები, სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, მცირე ზომის საბაღე-საბოსტნე მეურნეობები, ვენახები და ტერასები;




## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის აღწერა

მიწა, რომელიც გამოიყენება (ან/და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია) მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისათვის. ამ კატეგორიაში შედის საძოვარი, სათიბი, სახნავი და საკარმიდამო მიწები. (ამასთან, მოიცავს ამ ტერიტორიაზე მდებარე ინფრასტრუქტურას).

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის რეგლამენტი

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, რომელიც გამოიყენება სახნავ-სათესად, სათიბად, საძოვრად. აღნიშნულ ზონაში, შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი დამხმარე ობიექტების არსებობა, თუ ამით არ ილახება საჯარო ინტერესები. დაუშვებელია ყოველგავრი მშენებლობა, გარდა:

ა) სასოფლო მეურნეობის განვითარება თუ მშენებლობა განზრახულია ამავე მეურნეობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის ფუნქციონირებისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელიც ადაპტირებულია, ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან, მინიმალურად ერევა კულტურული ლანდშაფტის ვიზუალურ აღქმაში, რაც გამოიხატება ფერის, ფორმის, მასალისა და რელიეფზე განლაგების ხერხების გამოყენებაში;

ბ) სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, იმ ფორმით, რომელიც მინიმუმამდე ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით) და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან (ფერით, მიწისქვეშ მოწყობის გზით და სხვა);

გ) სახელმწიფო საზღვრის დაცვა;

დ) განახლებადი ენერგიის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

ე) ტურისტული მარშრუტებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა.

გამოიყოფა აგრარული კლასტერები:

- ატმის და ვაშლატამას კლასტერი
- მეცხოველეობის საკვებ/შემზადების კლასტერი
- მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერი




**ბუნებრივი ლანდშაფტი. აღწერა**

ლანდშაფტი, რომელიც ძირითადად არ არის შეცვლილი ადამიანის საქმიანობის შედეგად და წარმოადგენს ბუნებრივ-გეოგრაფიულ კომპლექსს, რომლის ფარგლებში ყველა ძირითადი კომპონენტი: რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო იმყოფება რთულ ურთიერთკავშირში. ამ კატეგორიაში შედის წყლის ობიექტები და ტყის ფონდის მიწები.(ამასთან, მოიცავს ამ ტერიტორიაზე მდებარე ინფრასტრუქტურას).

**ბუნებრივი ლანდშაფტი. რეგლამენტი**

მოიცავს ბუნებრივი ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობების არსებობა. აღნიშნულ ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა გარდა:

ა) მისი ფუნქციონირებისა და დაცვისთვის უზრუნველმყოფი შენობა-ნაგებობებისა;

ბ) რელიგიური/საკულტო შენობა-ნაგებობებისა, საგამონაკლისო წესით;

გ) სპეციალური ტურისტული მარშუტით შეთანხმებული ან ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტებით განსაზღვრული, პანორამული ხედების მქონე, ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები.




### სხვა ტერიტორიები (სატრანსპორტო) აღწერა

მოიცავს მსხვილი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის/ობიექტების ტერიტორიებს.

### სხვა ტერიტორიები (სატრანსპორტო) რეგლამენტი

ზელოკალური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ტერიტორია გულისხმობს „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ, შემდეგი სახის ტერიტორიების და ობიექტების არსებობას:

ა) საავტომობილო ტრანსპორტის ტერიტორია (საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი საავტომობილო გზები, სხვა, მუნიციპალური ტრანსპორტის და მთავარი გზების კარკასი და მათი გამტარი ნაგებობები);

ბ) რკინიგზა;




## აღწერა

სახელმწიფო ტყის ფონდს სამეურნეო დანიშნულებასთა ერთად გააჩნია საკურორტო და სარეკრეაციო ტყის ფუნქცია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ტყის საკურორტო-გამაჯანსაღებელი თვისებების, ლანდშაფტის, მნიშვნელოვანი ბუნებრივი ელემენტებისა და კულტურული ღირებულებების შენარჩუნება. ტყის მართვასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს აწესრიგებს საქართველოს კანონი «საქართველოს ტყის კოდექსი» (22/05/2020. 5949-სს).

ამ კოდექსის მიზნებია:

ა) საქართველოს ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, ტყის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციების შესასრულებლად მისი თვისებრივი მახასიათებლების, აგრეთვე ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება;

ბ) თვითმყოფადი ბუნებრივი და კულტურული გარემოს, მათ შორის, მცენარეული საფრისა და ცხოველთა სამყაროს, ტყეში არსებული ბუნებისა და კულტურის ძეგლების, მცენარეთა იშვიათი, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისა და სხვა ღირებულებათა მომავალი თაობებისთვის შენარჩუნება და მათი ურთიერთგავლენის ჰარმონიული რეგულირება;

გ) ტყის რესურსებისა და სხვა ბუნებრივი პოტენციალის მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება;

დ) ტყის მართვის ძირითადი პრინციპების განსაზღვრა, რომლებსაც უნდა დაეფუძნოს ტყის მდგრადი მართვა.

## რეგლამენტი

სატყეო ტერიტორია მოიცავს ნაშენი ტერიტორიების საზღვრებს გარეთ არსებულ სახელმწიფო/ადგილობრივი ტყის ფონდის ტერიტორიას. ტერიტორიის გამოყოფის წესს განსაზღვრავს შესაბამისი კანონმდებლობა. სატყეო ტერიტორიაზე დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

ა) სატყეო მეურნეობის განვითარებისთვის საჭირო მშენებლობისა;

ბ) სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობისა;

გ) სახელმწიფო საზღვრის დაცვის ობიექტებისა;

დ) განახლებადი ენერგიის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

ე) ტურისტული მარშრუტებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა.




### სხვა ტერიტორიები (სარეზერვოდ რეკომენდირებული ტერიტორიები) აღწერა

აღნიშნული ტერიტორიები გულისხმობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმით განაშენიანებისთვის შემოთავაზებულ ტერიტორიებს, ახალი სოფლისა და არსებულ სოფლებში ცალკეული, სამშენებლო განვითარებისათვის ხელსაყრელი ახალი უბნების სახით.
სამშენებლო განვითარების უმთავრეს მაპროვოცირებელ ფაქტორად უპირველესად თბილისი-ბაკურციხის ახალი, ოთხ-ზოლიანი გზატკეცილის მშენებლობა უნდა მივიჩნიოთ. ცხადია, აუცილებელია ამ პროცესების მართვა, როგორც ახალი, ასევე არსებულ დასახლებებში სარეზერვო ტერიტორიების გამოვლენის, სიმჭიდროვის და კომპაქტურობის გათვალისწინების თვალსაზრისით.
პლენერზე ემპირული დაკვირვებებისა და კამერალური კვლევების საფუძველზე გამოვლინდა საინვესტიციო განვითარებისათვის მისაღები გარკვეული ტერიტორიები, რომლებიც პირობითი არეალების სახით დატანილია რუკაზე, როგორც საპროექტო შემოთავაზება. კერძოდ, ეს უკავშირდება ზიარი-ლაკბეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსის განვითარების შესაძლებლობებს და მიმდებარე დასახლებებში ამ განვითარებისათვის არასაკმარისი მოსახლეობის რაოდენობას.
აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით ფუნქციათა სიმძლავრისა და განთავსების თვალსაზრისით, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდება, მომდევნო ეტაპის, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავების დროს შესაბამისი კონკრეტული სამომავლო პროექტების ფარგლებში.

### სხვა ტერიტორიები (სარეზერვოდ რეკომენდირებული ტერიტორიები) რეგლამენტი

სარეზერვო ტერიტორიები (სარეკომენდაციო) - დაუსახლებელი ტერიტორიები, რომლებით ქალაგეგმარებითი დოკუმენტაციის დამუშავების შემთხვევასი შესაძლოა გახდეს ახალი სოფელი ან სოფლის ახალი უბანი.




## მდინარეები, ტბის და წყალსაცავის წყალდაცვითი ზოლი. აღწერა

მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად. წყალდაცვით ზოლში შეიძლება შეტანილ იქნეს მდინარის მშრალი კალაპოტი, მისი მიმდებარე ტერასები, შემაღლებული და ციცაბოფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები, აგრეთვე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება მდინარის ნაპირებს.

## მდინარეები, ტბის და წყალსაცავის წყალდაცვითი ზოლი. რეგლამენტი

მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად. წყალდაცვით ზოლში შეიძლება შეტანილ იქნეს მდინარის მშრალი კალაპოტი,მისი მიმდებარე ტერასები, შემაღლებული და ციცაბოფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები, აგრეთვე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება მდინარის ნაპირებს

ა) 25 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 10 მეტრი.
ბ) 50 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 20 მეტრი.
გ) 75 კილომეტრამდე სიგრძის მდინარეებისთვის - 30 მეტრი.
დ) 75 კილომეტრზე მეტი სიგრძის მდინარეებისათვის - 50 მეტრი
ე) ზიარის ტბა - 30 მეტრი
ვ) ლაკბეს წყალსაცავი - 30 მეტრი
ზ) დიდწურბელის ტბის წყალდაცვითი ზოლის - 30 მეტრი

2. მდინარის, ტბის, წყალსაცავის წყალდაცვითი ზოლის სიგანის ათვლის წესი და რეჟიმები განსაზღვრულია წყლის შესახებ საქართველოს კანონით და “წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბერის №440 დადგენილების მოთხოვნები.




**ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონები**

საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს რეგულირდება. ასეთებია - 220, 110, 35, 1-20, 1 კვ.მდე

**მაგისტრალური მილსადენების (გაზი) დაცვის ზონები (დაცვის I და II, უსაფრთხოების III, საკონსულტაციო IV)**

დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილების მოთხოვნებით. მაგისტრალური გაზსადენის შეზღუდვის ზონები განისაზღვრება „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N365 დადგენილების მოთხოვნებით.

**მაგისტრალური მილსადენების (გაზი) დაცვის ზონები (დაცვის I და II, უსაფრთხოების III, საკონსულტაციო IV):**

1.განსაკუთრებული გამოყენების პირობების მქონე ტერიტორია, დადგენილი მაგისტრალური მილსადენის გასწვრივ, მაგისტრალური მილსადენის ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის.

2. დაცვის ზონები და მასში ნებისმიერი ქმედების განხორციელება დგინდება “მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #365 დადგენილებით

**ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის ზონები:**

1. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის გასწვრივ მიწის ნაკვეთი და საჰაერო სივრცე, შემოსაზღვრული ვერტიკალური სიბრტყეებით, რომლებიც ხაზის ორივე მხარეს გადაუხრელ მდგომარეობაში მყოფი განაპირა სადენებიდან დაშორებულია შემდეგი მანძილით:

- 220 კვ - 25 მეტრი;
- 110 კვ - 20 მეტრი;
- 35 კვ - 15 მეტრი;
- 1 – 20 კვ - 10 მეტრი;
- 1 კვ-მდე - 2 მეტრი;

2. საჰაერო გადამცეის ხაზების დაცვის ზონებთან დაკავშირებით დეტალური რეგულაციები მოცემულია, ,,ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის #366 დადგენილებაში. ყველანაირი ქმედება საჰარო გადამცემი ხაზების დაცვის ზონაში უნდა განხორციელდეს ზემოაღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა დაცვით.






### რკინიგზის და გზების დაცვის ზონები. აღწერა

რკინიგზისა და საავტომობილო გზების სანიტარულ-დაცვით ზონების არსებობა უპირველესად განაპირობებულია მისი კუთვნილებით და შესაბამისად ემსახურება რკინიგზისა და საავტომობილო გზების მესაკუთრის ინტერესების უზრუნველყოფას.

არანაკლებ მნიშვნელოვანია რკინიგზისა და საავტომობილო გზების მიმდებარე ტერიტორიების ინტერესების გათვალისწინება, რაც შესაბამისად ემსახურება საცხოვრებელი, სასოფლო-სამეურნეო და ბუნებრივი ლანდშაფტების ტერიტორიების დაცვას მავნე გამონაბოლქვებისა და ხმაურით დაბინძურების ზემოქმედებისაგან. რკინიგზის შემთხვევაში, დამატებით ხდება მიმდებარე ტერიტორიების დაცვა მაღალი ძაბვის ელექტრომაგნიტური ველის გამოსხივების ზემოქმედებისაგან.

### რკინიგზის გასხვისების ზოლი და დამცავი ზონა. რეგლამენტი

1. ,,საქართველოს სარკინიგზო კოდექსი“ საქართველოს კანონის შესაბამისად, რკინიგზის მფლობელობაში არსებულ მიწას განეკუთვნება სარკინიგზო ლიანდაგებისა და რკინიგზის სტრუქტურული ერთეულებისათვის გამოყოფილი მიწა, გასხვისების ზოლისა და დამცავი ზონის ჩათვლით.

2. გასხვისების ზოლი განისაზღვრება დადგენილი ნორმებისა და საპროექტო დოკუმენტების შესაბამისად, ისე, რომ საერთო სარგებლობის სარკინიგზო ლიანდაგის განაპირა ორივე მხარეს იყოს არანაკლებ 20-20 მეტრისა. დადგენილი ნორმებისა და საპროექტო დოკუმენტების შესაბამისად, რკინიგზა უფლებამოსილია განსაზღვროს გასხვისების ზოლი საერთო სარგებლობის სარკინიგზო ლიანდაგის განაპირა ორივე მხარეს 20-20 მეტრზე ნაკლები მანძილით.

### საავტომობილო გზის და გზისპირა დაცვის ზონა. რეგლამენტი

,,საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონებში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან შეუთანხმებლად აკრძალულია:

ა) ნებისმიერი სამშენებლო, სამელიორაციო, სასოფლო-სამეურნეო, გეოლოგიური ძიების სამუშაოები, კავშირგაბმულობის ხაზებისა და სხვა კომუნიკაციების გაყვანა, ახლის აშენება და არსებული ნაგებობების შეკეთება (მილსადენების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი ხაზების ავარიის შემთხვევაში აღდგენა-შეკეთების სამუშაოების გარდა, რასაც დაუყოვნებლივ ატყობინებენ საგზაო ორგანოებს);

ბ) ტექნოლოგიური ტვირთზიდვის ორგანიზაცია;

გ) გარე განათებისა და გამწვანების მოწყობა;

დ) მოძრავი გასამართი პუნქტების, ჯიხურების, პავილიონების და სხვა ნაგებობების განლაგება;

ე) სატრანსპორტო საშუალებათა დატვირთვა-გადმოტვირთვის, გასაჩერებელი და სამრეცხაო მოედნის მოწყობა;

ვ) კაშხალების, გუბურების და სხვა მელიორაციული და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მოწყობა;

ზ) მდინარეების კალაპოტების გაღრმავება და ქვიშისა და ღორღის მოპოვება ერთი კილომეტრის მანძილზე ხიდების ზემოთ და ქვემოთ, მდინარეზე ხიდების ქვეშ ხე-ტყის დაცურება;

თ) ხიდების ბურჯებთან ნავების ან სხვა სანაოსნო საშუალებათა მიდგომა, გზაგამტარების, ესტაკადებისა და ხიდების ქვეშ სადგომის, გასასვლელების, აგრეთვე ნავების სადგურებისა და სხვა რაიმე ნაგებობების მოწყობა;

ი) ყველა იმ სამუშაოს წარმოება, რომელიც გზის ამა თუ იმ მონაკვეთზე ცვლის საგზაო მოძრაობის არსებულ ორგანიზაციას ან ავტომანქანების სიჩქარეების დადგენილ რეჟიმს, გარდა საგზაო ორგანიზაციებისა, უნდა შეთანხმდეს საგზაო პოლიციას.





### ბუნებრივი საფრთხეები. აღწერა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე ლანდშაფტურ-ინდიაციური და სივრცით-ინტეგრირებული ანალიზის საფუძველზე, გამოიყო ერთიანი, თანამედროვე ეგზოდინამიკური პროცესების სავარაუდო გამოვლინების კუმულატიური საშიშროების სამი (მაღალი, საშუალო და დაბალი) ზონა სადაც:

- <u>წითელ ზონაში</u> შედის დამანგრეველი ხასიათის მქონე ბუნებრივი პროცესების პირდაპირი და ძლიერი გამოვლინების არეალები;
- <u>ყვითელ ზონაში</u> შედის დამანგრეველი პროცესების შესაძლო და ნაკლებად ძლიერი გამოვლინების მქონე არეალები;
- <u>მწვანე ზონაში</u> შედის ბუნებრვ-დამანგრეველი პროცესების ძალიან დაბალი ალბათობის გამოვლინების არეალები.

აღნიშნულ ზონებზე აუცილებელია განხორციელდეს აქტუალურ გეოსაფრთხეებზე მორგებული ჩაღრმავებული, ზუსტი და სანდო საინჟინრო-გეოლოგიური დაკვირვებები და შესაბამისი კვლევები, რომელთასაფუძველზეცუნდაშედგესშესაბამისისაფრთხეებისუარყოფითიზემოქმედებისშემარბილებელი ან/და თავიდან არიდების შესაბამისი საინჟინრო-ტექნოლოგიურ საშუალებათა (ნაგებობები, სისტემები და ა.შ.) პროექტირებისთვის საკმარისი საყრდენი ანგარიში, რომელიც უნდა გახდეს ყველა შესაბამისად დაკავშირებულ გადაწყვეტათა პროექტირების საფუძველი.

განსაკუთრებული ყურადღების საფუძველს ქმნის მაღალი და საშუალო საშიშროების კუმულატიური ზონები, სადაც თავმოყრილია უპირატესად მდინარეების კალაპოტებში და მათ მიმდებარე ვაკისებზე წყლით დატბორვების შესაძლო არეალებში და არამდგრად (რელიეფის მაღალი ენერგია და წონასწორობიდან გამოსული გეოდინამიკური პირობები) ფერდობებზე (ბუნებრივად ან/და ანთროპოგენურად გააქტიურებული) განვითარებადი ბუნებრივ-დამანგრეველი ხასიათის პროცესების (ღვარცოფები, ეროზია, ჩამონაშლები, მეწყრები, სხვადასხვა მიკრო-ფერდობული პროცესები და დატბორვის არეალები) გამოვლინების კუმულატიური (გეო-საფრთხეების) ალბათობები საშიშროების პირობითი რანჟირებით.

აშნიშნული გარემოებების მნიშვნელობა სდგ-ში ჯერ კიდევ კვლევის ეტაპზე იყო გამყარებული გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი განახლებადი (https://nea.gov.ge/Ge/Departments/Geology?fbclid=IwZXh0b-gNhZW0CMTAAAR11bYFSQM_sR7rt9kT1hS_ytWp69Od3-9vfXxMqg8OaR4UdzBmq5Lz78Kc_aem_p25fWqNtzHXZvDhoiJesGA ) საინფორმაციო ბიულეტენებით.

### ბუნებრივი საფრთხეები. რეგლამენტი

1. შეზღუდვების რუკაზე დატანილია არსებული/მოსალოდნელი ბუნებრივი (ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური) კატასტროფების გავრცელების არეალები, გამოვლენის კუმულატიური (გეოსაფრთხეების) ალბათობები, საშიშროების პირობითი რანჟირებით (დაბალი, საშუალო, მაღალი) „თანამედროვე გეოდინამიკური პროცესების სავარაუდო გამოვლინების არეალები“. მოსალოდნელი საფრთეების სახეობები:

ა) ღვარცოფი;

ბ) მეწყერი;

გ) ეროზია;

დ) დატბორვა;

ე) ჩამონაშლები;

2. ბუნებრივი საფრთხეების არეალებში, საფრთხეების აღმოფხვრამდე, დაუშვებელია ყოველგვარი საქმიანობა გარდა, ისეთი საქმიანობისა რომელიც მიზნად ისახავს ასეთი საფრთხის თავიდან აცილებას. აღნიშნულ ზონებსი მშენებლობის ნებართვა ან/და პირველი კლასის ობიექტებზე შეტყობინების გაცემა უნდა მოხდეს საფთხეების გამოკვლევისა და აღმომფხვრელი ღონისძიებების გატარების შემდგომ.




### ყორუღის აღკვეთილი. აღწერა

აღკვეთილი საგარეჯოსა (1489 ჰა) და გურჯაანის (579 ჰა) მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე მდებარეობს. იგი განლაგებულია მდინარე იორის ხეობაში და მისი დაარსების ძირითადი მიზანია ჭალის ტყის ეკოსისტემის დაცვა, მოვლა და აღდგენა. ყორუღის აღკვეთილის 820 ჰექტარ ტერიტორიაზე გაცემულია ლიცენზია და მოწყობილია შპს „იორის ჭალების“ სამონადირეო მეურნეობა.

### ყორუღის აღკვეთილი. რეგლამენტი

ყორუღის აღკვეთილი - ყორუღის აღკვეთილის ტერიტორია იმართება საქართველოს მთავრობის 2014 წლის 16 იანვარის №84 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტი - ყორუღის აღკვეთილის ფუნქციონირების დროებითი რეგულირების წესის“ შესაბამისად, რომლის მიხედვითაც სხვა საქმიანობებთან ერთად:
ყორუღის აღკვეთილის ტერიტორიაზე მოწყობილ სამონადირეო მეურნეობაში დაშვებულია ნადირობა, სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმებითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.
ყორუღის აღკვეთილის ტერიტორიაზე დაშვებულია „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 21 მუხლით“ განსაზღვრულ შემთხვევებში მიწისქვეშა წყლებით სარგებლობა.




ალაზნის ჭალის ტყეები. აღწერა

ანთროპოგენურმა ზეწოლამ უარყოფითი ზეგავლენა იქონია ალაზნის ჭალის ტყის ლანდშაფტებზე, მათ შორის გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზეც. სამწუხაროდ ამ ლანდშაფტების პირვანდელი სახე ცალკეულ ფრაგმენტებად არის შენარჩუნებული მხოლოდ. ალაზნის ჭალის ტყის ლანდშაფტი არის ერთერთი ყველაზე კრიტიკული ეკოსისტემადა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოყენების მიზნით ჭალის ტყეების გაჩეხვა, მდინარეთა კალაპოტების მიმართულების ცვლა სატბორე მეურნეობების განვითარების მიზნით, წყალშემკრები აუზის ჩამონადენის რეჟიმის ცვლა და მასშტაბური ჰიდროლოგიური ცვლილებები ახდენენ კუმულატიურად უარყოფით გავლენას ჭალის ტყეებზე.

ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საყოველთაო (გლობალური და ეროვნულიც) ხედვებიდან გამომდინარე აუცილებელია, ასეთი მგრძნობიარე ადგილების ადეკვატური დაცვითი და/ან აღდგენითი ღონისძიებების გატარება, მათი მდგრადი მენეჯმენტის ქვეშ მოქცევა და შესაბამისად საგანგებო სივრცითი მართვა.

ალაზნის ჭალისა და ჭალისზედა ტერასების ტყეები ხასიათდებიან მაღალი მრავალფეროვნებით, ასრულებენ ათეულობით სახეობის მობინადრე, მობუდარი, მიმომფრენი და მოზამთრე ფრინველის, აგრეთვე რიგი იშვიათი, რელიქტური და გადაშენების პირას მისული მცენარის თავშესაფრის როლს, არეგულირებენ მიკრო-კლიმატს, წყლისა და ქარის ეროზიისაგან იცავენ ნიადაგს ალაზნის ჭალის ტყეები წარმოადგენენ თავისებურ ეკოლოგიურ დერეფანს, რომლითაც სარგებლობენ კავკასიონის, გომბორის ქედების და ივრის ზეგნის ფაუნის მთელი რიგი სახეობები. ალაზნის ჭალის ტყეების სახით საქმე გვაქვს უმნიშვნელოვანეს ბუნებრივ მემკვიდრეობასთან, რომელიც გაფრთხილებას საჭიროებს.

ალაზნის ჭალის ტყეები. რეგლამენტი

ალაზნის ჭალის ტყის დაცული ტერიტორიები - ქმედებები უნდა ესადაგებოდეს IUCN-ის VI კატეგორიის ექვივალენტი საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მრავალმხრივი გამოყენების დაცული ტერიტორიის მართვის პრაქტიკას.




## ზურმუხტის ქსელი. აღწერა

ზურმუხტის ქსელის ძირითადი მიზანია ევროპაში ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით ყველა მნიშვნელოვანი უბნის იდენტიფიცირება და ისეთი ტერიტორიების მდგრადი მართვა რომლებსაც აქვთ სახარბიელო კონსერვაციული (ეკოლოგიური) სტატუსის შენარჩუნების ან აღდგენის პოტენციალი ისეთი სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, რომლებიც განეკუთვნება:

- საფრთხის წინაშე მყოფ, ენდემურ, მიგრირებად და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სახეობებს;
- საფრთხის წინაშე მყოფ ან სამაგალითო ჰაბიტატებს და ბერნის კონვენციით მკაცრად დაცულ სხვადასხვა ტიპის მოზაიკურად განლაგებულ ჰაბიტატებს;
- მიგრირებად სახეობებს, რომლებიც ევროპის ქვეყნების საერთო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

დამტკიცებული საიტები: **გომბორი GE0000027** და **ალაზანი GE0000022** (საიტის მხოლოდ მცირე ტერიტორიაა მოქცეული საკვლევ არეალში).

**გომბორი GE0000027** ნომინირების საფუძველია 6 ტიპის ჰაბიტატი, 5 სახეობა ფრინველი, 8 სახეობა ძუძუმწოვარი, 1 სახეობა მცენარე, 2 სახეობა რეპტილია, 5 სახეობა უხერხემლო და 1 სახეობა ამფიბია.

**ალაზანი GE0000022** ნომინირების საფუძველია: 2 ტიპის ჰაბიტატი, 27 სახეობა ფრინველი, 11 სახეობა ძუძუმწოვარი, 2 სახეობა რეპტილია, 3 სახეობა უხერხემლო, 2 სახეობა თევზი და 1 სახეობა ამფიბია.

## ზურმუხტის ქსელი. რეგლამენტი

ზურმუხტის ქსელი- ქმედებები უნდა ესადაგებოდეს ბერნის კონვენციის (The Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats). ხედვებს, მათ გამოყენებას და დანერგვას. ზურმუხტის დამტკიცებულ (Designated), კანდიდატ (Candidate) და შეთავაზებულ (Proposed) ტერიტორიებზე, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) ევრო-დირექტივის თანახმად, ტერიტორიის მესაკუთრე ვალდებულია დაიცვას აღნიშნული ფართობი უარყოფითი ზემოქმედებისაგან და დაგეგმოს მისი საქმიანობა ისე, რომ დაცული იქნას ტერიტორიის ის ეკოლოგიური მახასიათებლები და კომპონენტები, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ტერიტორია. იმ შემთხვევაში, თუ ზურმუხტის ტერიტორიაზე დაგეგმილ ნებისმიერ საქმიანობას შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდეს ტერიტორიის ეკოლოგიურ მახასიათებლებზე, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების XXVI დანართის მიხედვით, ბუნების დაცვის თავის, „ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ“ (№92/43/EEC) დირექტივის მეექვსე მუხლის შესაბამისად, საქმიანობის დაწყებამდე, საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია წარმოადგინოს ე.წ ზურმუხტის ქსელზე ზეგავლენის შეფასება.




## ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები. აღწერა

**სდტ 2 (SPA 2) - ალაზნის ველი.** კატეგორია: B2; C2; C3;/ფართობი: 33669,652 ჰა;/დაცვის სტატუსი: ტერიტორიის 73,71%-ს IBA (GEO25) ფარავს. IBA-ს (GEO25) ტერიტორიის 39,83%-ს SPA 2 ფარავს. მდებარეობს საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში ზღვის დონიდან 200 – 250 მეტრ სიმაღლეზე მდებარეობს. მდინარე ალაზნის გასწვრივ ჭალის ტყეები გხვდება, სადაც შემდეგი ძირითად სახეობებია წარმოდგენილი: ვერხვი (Populus canescens; Populus nigra), მურყანი (Alnus barbata), კუნელი (Crataegus kyrtostyla) და ლერწამი (Svida australis) (Kvachakidze 2010). ორნითოფაუნა იხილეთ https://aves.biodiversity-georgia.iliauni.edu.ge
დასაცავი სახეობები: მცირე ჩვამა (Microcarbo pygmaeus), წითელი იხვი (Tadorna feruginea), ბექობის არწივი (Aquila heliaca), თეთრკუდა ფსოვი (Haliaeetus albicilla), სარსარაკი (Tetrax tetrax) და შავმუცელა გვრიტჩიტა (Pterocles orientalis). წითელი იხვი, სარსარაკი და შავმუცელა გვრიტჩიტა ალაზნის ველს სამიგრაციოდ იყენებენ. ალაზნის ველზე შემდეგი სახეობები ბუდობს: 1-2 წყვილი ბექობის არწივი; 1-2 წყვილი თეთრკუდა ფსოვი; 20-30 წყვილი მცირე ჩვამა. წითელი იხვი, ბექობის არწივი და სარსარაკი საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილია როგორც მოწყვლადი (VU) სახეობები, თეთრკუდა ფსოვი – როგორც საფრთხეში მყოფი (EN). ბექობის არწივი IUCN-ის წითელ ნუსხაში შეტანილია, როგორც მოწყვლადი (VU) სახეობა, ხოლო სარსარაკი და თეთრკუდა ფსოვი – როგორც საფრთხესთან ახლოს მყოფი (NT) სახეობები.

## ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები. რეგლამენტი

ფრინველთა სპეციალური დაცული ტერიტორიები- 1979 წელს ევროპის გაერთიანებამ მიიღო დირექტივა 79/409/EEC, რომელიც ასევე ცნობილია ფრინველთა დირექტივის სახელით. ფრინველთა დირექტივის მიზანია ფრინველთა იმ სახეობების დაცვა, რომლებიც ბინადრობენ ევროპის გაერთიანების ტერიტორიაზე. დირექტივა განიხილავს ფრინველთა სახეობების შემცირების მრავალ სხვადასხვა მიზეზს და აყალიბებს ქმედებებს მათ შესარბილებლად. ფრინველთა კონსერვაციისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ფრინველთათვის მნიშვნელოვანი ჰაბიტატების დაცვა. სწორედ ამ მიზნით ფრინველთა დირექტივაში შევიდა ვალდებულება შეიქმნას სპეციალური დაცული ტერიტორიები ფრინველთათვის (Special Protection Areas SPA). შექმნის შემდგომ მოხდა სპეციალური დაცული ტერიტორიების ინტეგრაცია ევროპის გაერთიანების სხვა დირექტივების და სქემების ქვეშ (ნატურა 2000 ქსელი, ემერალდის ქსელი).
საქართველოსა და ევროპის გაერთიანებას შორის, 2014 წლის 27 ივნისს გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების თანახმად საქართველო ვალდებულია ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიმართულებით განახორციელოს შემდეგი ორი დირექტივა:

• დირექტივა 92/43/EEC მიღებული 21 მაისს 1992 წლის, ბუნებრივი ჰაბიტატების და ველური ფლორისა და ფაუნის კონსერვაცია
• დირექტივა 79/409/EEC მიღებული 2 აპრილს 1979 წლის, გარეულ ფრინველთა სახეობების კონსერვაცია

საქართველოს კანონის „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ შესაბამისად სამოქმედო და მენეჯმენტის გეგმების დამუშავება, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს დაცული ლანდშაფტის მართვა.

# დაცული ტერიტორიების სისტემა/ დაცული და სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიები



# კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის არეალები




**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები აღწერა**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინდივიდუალური დაცვის ზონები (ფიზიკური დაცვის არეალი და ვიზუალური დაცვის არეალი) განსაზღვრულია საქართველოს კანონით „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“.

<u>ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი</u>

<u>ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი</u>

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონებში ნებისმიერი საქმიანობისას გათვალისწინებული უნდა იქნას „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;

გურჯაანის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიმრავლით (400-ზე მეტი). მათი ქრონოლოგიური არე საკმაოდ ვრცელია - ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად აღიარებიდან, ვიდრე გვიანდელი შუა საუკუნეების მიწურულამდე. მაღალმხატვრული თუ სამშენებლო თავისებურებებით გამორჩეულ ძეგლთა კონცენტრაცია წარმოადგენს მძლავრი პოტენციალის მქონე რესურსს კახეთის ამ ნაწილის კულტურული ტურიზმისთვის როგორც შიდა, ასევე - ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე. საჭიროა ამ პოტენციალის სათანადოდ ათვისება ძეგლების სისტემატური მოვლისა და სათანადო დაცვის, მათთან მიღწევადობის (accessibility) გაზრდის, გარშემო ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, თავად ძეგლების უკეთ წარმოჩინების და პოპულარიზაციისა და ტურისტულ მარშრუტებში მათი მნიშვნელობისა და ადგილის ხელახალი გააზრებისა და ჩართვის გზით.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ჩამონათვალში განვიხილავთ:

ტრადიციული კახური საცხოვრებლის ნიმუშებს და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებულ ობიექტებს (მარნები, ძველი ქარხნები...);

ისტორიული განაშენიანების უბნებს შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე;

რკინიგზას და მასთან დაკავშირებულ  ინფრასტრუქტურასა და ნაგებობებს;

არქეოლოგიურ ობიექტებს. აქვე არის ინტეგრირებული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გავრცელების ფაქტები.

**კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები.  რეგლამენტი**

ა) ძეგლის ფიზიკური დაცვის არეალი, რომელიც შეადგენს 50 მეტრს.;

ბ) ძეგლის ვიზუალური დაცვის არეალი, რომელიც შეადგენს 300 მეტრს.

გ) ეროვნული მნიშვნელობის ძეგლებისათვის – 500 მეტრის რადიუსით;

დ) მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლებისათვის –1000 მეტრის რადიუსით.

კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონა (სარეკომენდაციო)/ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები

კულტურული ლანდშაფტი - ლანდშაფტი, რომელიც შეცვლილია ადამიანის საქმიანობის შედეგად, საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და წარმოადგენს ბუნებრივ-გეოგრაფიულ კომპლექსს, რომლის ფარგლებში ყველა ძირითადი კომპონენტი: რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო ინარჩუნებს მდგრადობას და ამავდროულად იმყოფება რთულ, ჰარმონიულ ურთიერთკავშირში.

,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია“-ზე ორიენტირებული ქალაქგეგმარებითი დოკუმენტაციის დამუშავების, განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე, შესაძლებელია მხოლოდ სათანადო, მასთან მორგებული განაშენიანებისა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა. შესაბამისად, ამ მიმართულებით სივრცითი განვითარება უნდა ეფუძნებოდეს მკაცრი დაცვის კონტექსტს და რეგულირდებოდეს ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმებისა და ქალაქგეგმარებითი გეგმების ინტეგრირებული დოკუმენტაციის პაკეტით, შესაბამისი კვლევების, გეგმებისა და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

თუმცა, რამდენადაც კულტურული ლანდშაფტი, როგორც ტერიტორიის გარკვეული სტატუსი, არ არის ასახული შესაბამის კანონმდებლობაშიჳ, წინამდებარე დოკუმენტში მისი გათვალისწინება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და კულტურული ლანდშაფტის კონკრეტული საზღვრების დადგენა დაელოდება შესაბამის კანონმდებლობაში ამ საკითხის ინიცირებას. კულტურული ლანდშაფტის მიმართ წაყენებული მოთხოვნები დიდ წილად თანხვედრაშია გურჯაანის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელ - ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო- სამეურნეო არეალების მიმართ წაყენებულ  მოთხოვნებთან.

## კულტურული მემკვიდრეობის დაცვის არეალები

## კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონა (სარეკომენდაციო)/ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები




### აღწერა

კულტურული ლანდშაფტი - ლანდშაფტი, რომელიც შეცვლილია ადამიანის საქმიანობის შედეგად, საკუთარი სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით და წარმოადგენს ბუნებრივ-გეოგრაფიულ კომპლექსს, რომლის ფარგლებში ყველა ძირითადი კომპონენტი: რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო ინარჩუნებს მდგრადობას და ამავდროულად იმყოფება რთულ, ჰარმონიულ ურთიერთკავშირში. (აღვნიშნავთ, რომ კულტურული ლანდშაფტი, როგორც ტერიტორიის გარკვეული სტატუსი, არ არის ასახული შესაბამის კანონმდებლობაში, წინამდებარე დოკუმენტში მისი გათვალისწინება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს და კულტურული ლანდშაფტის კონკრეტული საზღვრების დადგენა დაელოდება შესაბამის კანონმდებლობაში ამ საკითხის ინიცირებას).
ვენახით დაკავებული სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიები და შესაბამისი ნაგებობები ნათლად ასახავენ ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ მიმზიდველ პეიზაჟებს, რომელნიც შესანიშნავად გადმოსცემენ ქართული ღვინის კულტურისა და ისტორიის სულს და ქმნიან მსოფლიოში განსაკუთრებულად პოპულარულ მიზიდულობას ღვინის დეგუსტაციის მოყვარულთა და მცოდნეებისთვის და შესაბამისად ვენახებისთვის განკუთვნილი სასოფლო-სამეურნეო არეალები - წარმოადგენენ სარეკომენდაციო სივრცეს კულტურული ლანდშაფტის სტატუსის მისაღებად.

### რეგლამენტი

სტატუსის მისაღებად. ამ ზონაში დაუშვებელია განაშენიანება დაუსახლებელ და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებზე, დასაშვებია მხოლოდ მიწების სავარგულებებად ქცევა, ფერდობების სტაბილიზაცია, ვაზის გაშენება, საინჟინრო- ინფრასტრუქტურის იმ ფორმით მშენებლობა, რომელიც არ ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და ღვინის წარმოებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტებსა და შესაბამის ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით კი ვიზუალური აღქმის სივრცეები) მათი მაქსიმალურად შენარჩუნების თვალსაზრისით და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან ან ფერით, ან ფორმით, ან მიწისქვეშა გადაწყვეტებით. განაშენიანებულ და სასოფლო ტერიტორიებზე კონკრეტული სივრცითი განვითარება (ურბანული, სასოფლო და აგრო განაშენიანება) ეფუძნება შესაბამის კვლევებზე დაყრდნობილ სპეციალურად ამ ზონისთვის დამუშავებულ/დასამუშავებელ გენერალურ გეგმას. დასახლებულ ტერიტორიებზე განაშენიანება რეგულირდება დასახლებების ქალაქთმშენებლობითი გეგმებით, რომლებიც ითვალისწინებენ ღვინის ადგილწარმოშობის არეალების მიკრო-ზონის აგრარულ და აგრო-ტურისტულ სპეციფიკას. სივრცითი განვითარება ეფუძნება მკაცრი დაცვის კონტექსტს.




აღწერა

**ალაზნის ველი** - დომინირებულად მონოფუნქციური ერთგვაროვანი სასოფლო-სამეურნეო სივრცე, რომელიც მდგრადი, ჩამოყალიბებული არეალია და ხედვა ამ თვისების შენარჩუნებას, თვისობრივ გაძლიერებას და გამოყენებას გულისხმობს.

**ალაზნის ველზე** გამოიყოფა ორი ეკოსისტემა:

**1. ალაზნის ჭალის ტყის ეკოსისტემა**, რომლის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

ტყის ჭრის მართვადი რეჟიმის ამოქმედება, ტყეების პოტენციური ეკოლოგიური ტევადობის და მათი მდგრადი განვითარების გათვალისწინებით;

არსებული სათევზე მეურნეობების და ახლად შექმნილი ტბორების ფუნქციონირება, გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების მკაცრი დაცვით.

ნადირობის რეგულირება სამონადირეო მეურნეობების გამოყენებით, რომლებიც მკაცრ სამონადირეო მეურნეობის მენეჯმენტის რეგლამენტს დაექვემდებარებიან.

საძოვრების მდგრადი გამოყენების რეჟიმის ამოქმედება, რაც დაფუძნებული იქნება საძოვრების პოტენციური, ეკოლოგიური ტევადობის შესაძლებლობებზე, ასევე წლის სხვადასხვა დროს ძოვების როტაციის განრიგისა და ყოველ ცალკეულ ჰექტარზე საქონლის ნებადართულ რაოდენობის გათვალისწინებაზე.

რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება: ჭალის ტყის ეკოსისტემის, როგორც ეკოლოგიური ქსელის შენარჩუნება და კონსერავცია; ჭალის ტყის შედარებით კარგად შემონახული უბნების, როგორც ბირთვული ტერიტორიების აღდგენა და კონსერვაცია. ჭალის ტყის დეგრადირებული ეკოსიტემის, როგორც ეკოლოგიური დერეფნის აღდგენა.

ტყის რესურსებზე გონივრული მოხმარების რეჟიმის დამყარება, რაც მიზანშეწონილია როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ისე გარემოს დაცვის თვალსაზრისით;

რესურსების მოხმარების კონტროლირებადი დონის მიღწევა, მათი ეკოლოგიურ ტევადობის გათვალისწინებით;

კანონიერების დაცვის ადეკვატური პროცედურების შემუშავება;

გარემოსდაცვითი განათლების ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა.

**2.ალაზნისველისსასოფლოსამეურნეოსავარგულები,მათშორისვენახები**,რომლისშენარჩუნებისადაგანვითარებისათვის აუცილებელი პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

წყლის დეფიციტის პრობლემის მოგვარება;

კლასტერების დამკვიდრება ადგილმდებარეობის სპეციფიკის, დამკვიდრებული მეურნეობების და არსებული საწარმოო ძალების გათვალისწინებით;

კლიმატისთვის ხელსაყრელი ნიადაგების იდენტიფიცირება (მიწის ბალანსისა და მიწის მონიტორინგის ჩათვლით), შენარჩუნება და ნიადაგის დაცვა გლობალური დათბობის პირობების გათვალისწინებით;

ადგილწარმოშობის დასახელებების გამოყენებით პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა;

რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:

მცენარეთა ახალი, გვალვაგამძლე ჯიშების გავრცელება და მიწის დეგრადაციის შეჩერება;

მსოფლიო აგრარულ ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტიანი კულტურების წარმოების გაფართოვება;

სპეციფიური კლასტერების შექმნა შემდეგი მიმართულებით:

მევანახეობა-მეღვინეობის დიდი კლასტერი (ველისციხე-ვაზისუბანი-მუკუზანი-ახაშენი);

ატმისა და ვაშლატამას კლასტერი (ჩუმლაყი-გურჯაანი-ახაშენი, ახლომდებარე მაღალმთიან სოფლებში შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოებით):

მეცხოველეობის/საკვებშემზადების კლასტერი (არაშენდა-მელაანი-ნანიანი-კაჭრეთი).

ადგილწარმოშობის დასახელებების წარმოქმნა (გურჯაანის ნაყინი, ჩუმლაყის ატამი, კარდენახის პომიდორი და სხვ.) და ადგილწარმოშობის ღვინოების წარმოების მიკროზონების გაფართოვება;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კონსოლიდაცია და რეგისტრაცია;

მაღალხარისხიანი სათესლე მასალის გამოყენება; სასოფლო-სამეურნეო კულტურათა და შინაურ ცხოველთა ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელება.

აგროდრონების, ელექტროღობურების, გეო-საინფორმაციო სისტემების და ფაოს მონაცემთა ბაზების გამოყენების გაფართოვება.

ინოვაციური, მ.შ. ნანოტექნოლოგიებისა და თანამედროვე ავტომატიზებული მანქანა-მოწყობილობების გავრცელება.

**იხ: კონცეფციის დოკუმენტაცია - ტექსტური ალბომი გვ. 67 ალაზნის ველის განვითარების პირობები; ამავე ალბომში გვ.69 ილ.16 ალაზნის ველი რეგიონულ კონტექსტში; გრაფიკული ნაწილი - რუკა 07 გაგმარებითი არეალები**




აღწერა

**კახური სოფლების რიგი - სასოფლო აგლომერაციის უწყვეტი ჯაჭვი.** - გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფარგლებში მკაფიოდ გამოკვეთილი რურალური განაშენიანების ერთიანი უწყვეტი ჯაჭვი-სარტყელი, რომელიც ქმნის კახეთისთვის დამახასიათებელ უნიკალურ სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნო-კულტურულ კარკასს.

ბაკურციხე-თელავის შემოვლით გზაზე სატრანზიტო მოძრაობის გადატანის ხარჯზე „კახური სოფლების რიგი" იძენს თვისობრივად ახალი, ეკონომიკურად უმნიშვნელოვანესი, არეალის სახეს. მიუხედავად იმისა, რომ თავის შინაარსით ქალაქი გურჯაანი სრულად წარმოადგენს სასოფლო აგლომერაციის შემადგენელს, მისი განვითარების პირობები, საკითხის დამუშავების მასშტაბიდან გამომდინარე, განიხილება ცალკე, ქალაქ გურჯაანთან დაკავშირებული პროექტის ფარგლებში.

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციის** განვითარებისათვის აუცილებელი პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

მხარეში ჩამოყალიბებული გრძივი სასოფლო აგლომერაციის ქალაქგეგმარებითი უპირატესობების არასაკმარისი გამოყენება.

სასოფლო აგლომერაციის განსაკუთრებულობა, მის ფარგლებში განაშენიანების უმეტესი ნაწილის მდებარეობასთან და მოსახლეობის 85 %-ს განთავსებასთან დაკავშირებით.

გრძივი სასოფლო აგლომერაციის უპირატესობები სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიებთან თვალსაზრისით. რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციის** განვითარება და აქტივების მნიშვნელოვან ზრდა;

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციის** დასაქმების მნიშვნელოვანი კერის შექმნა;

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციიდან** სატრანზიტო მოძრაობის (მათ შორის ელექტროტრანსპორტის) გადატანის ხარჯზე, თვისობრივად ახალი და ეკონომიკურად უმნიშვნელოვანესი განაშენიანების ჩამოყალიბება;

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციის** სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციების მომგებიანი და აპრობირებული ქალაქგეგმარებითი ხერხების ეფექტური გამოყენება;

**გურჯაანის მუნიციპალიტეტის სასოფლო აგლომერაციის** ტურისტული და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის შესაბამისი განვითარება.

# გომბორის ქედი




აღწერა

გომბორის ქედი - მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის განმაპირობებელი ერთ-ერთი წამყვანი სივრცე, რომელიც წარმოდგენილია ერთიანი უწყვეტი ეკოსისტემური და ისტორიულ- კულტურული ფასეულობების მქონე ტერიტორიებით სადაც გამოიყოფა ორი დასახლებული სივრცე:

1. სოფ. ჭერემი და მისი შემოგარენი, რომლის განვითარებისათვის აუცილებელ პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

მდიდარი არქეოლოგიური რესურსის გამოყენება სამეცნიერო-საგანმანათლებლო დანიშნულებისათვის;
მრავალი ისტორიულ-კულტურული ძეგლების არსებობა ასევე მნიშვნელოვანია ტურისტული შეთავაზებებისთვის;
ღია ცის ქვეშ არქეოლოგიური მუზეუმის მოწყობა;
სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეებისათვის საზაფხულო ბანაკისა და ჰოსტელის მოწყობა;
სასტუმროს კომპლექსის განვითარება საგანმანათლებლო და აგრო-ტურიზმის თემატიკით;
არეალის უზრუნველყოფა ადგილობრივი მნიშვნელობის გზით - კაჭრეთი - ჭერემი - ველისციხე რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:
სოფ. ჭერემის შემოგარენში არქეოლოგიური სამუშაოების განახლება - გააქტიურება;
სოფ. ჭერემის და კონკრეტულად ღია არქეოლოგიური მუზეუმის პოპულარიზაცია;
სოფ. ჭერემის ტურისტული და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის შესაბამის განვითარება

2. სოფ. ზიარი, ფხოველი, ქოდალოდა მისი შემოგარენი, რომლის განვითარებისათვის აუცილებელ პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

ადგილობრივი მიკროკლიმატის, ზიარის ტბისა და ლაკბეს წყალსაცავის რეკრეაციული რესურსის გამოყენება სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული დანიშნულებისათვის;
ლაკბეს წყალსაცავის მახლობლად მდებარე ტალახის რესურსების გამოყენება;
შესაბამისი რანგისა და მასშტაბის ტურისტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა;
ამ მიმართულებით სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების შესაძლებლობა;
მიმდებარე დასახლებების მოსახლეობის მომსახურე პერსონალად დასაქმების რესურსი და პერსონალის გარედან მოზიდვის შესაძლებლობები;
არეალის უზრუნველყოფა ადგილობრივი მნიშვნელობის გზით კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი:
რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:
გურჯაანის მუნიციპალიტეტში დასაქმების მნიშვნელოვანი კერის შექმნას;
გურჯაანის მუნიციპალიტეტის აქტივების მნიშვნელოვან ზრდას;
გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტურისტული და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის შესაბამის განვითარებას.




**აღწერა**

**ივრის ზეგანი** - ივრის ზეგანის აგრო-ეკო აუზის გურჯაანის ფრაგმენტი, სადაც აქტუალურია გაუდაბნოებასთან, კლიმატის ცვლილების სხვა ნეგატიურ გამოვლინებებთან, დაკავშირებული გამოწვევების დაძლევისა და შესაბამისად ადაპტირებული და ხარჯსარგებლიანი მუნიციპალური მართვის მიდგომების დამკვიდრება, სადაც გამოიყოფა ერთის მხრივ ივრის ზეგანის ურბანულ ქსოვილი და მეორეს მხრივ - **ივრის ზეგანის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები.**

**ივრის ზეგანის ურბანულ ქსოვილის** განვითარებისათვის აუცილებელ პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

სოფელ კაჭრეთსა და მიმდებარე დასახლებებში ტურიზმის განვითარებისაკენ მიმართული ტენდენციების მხარდაჭერა და შესაბამისი რანგისა და მასშტაბის სასტუმრო კომპლექსების მშენებლობა;

შესანახ და გადამამუშავებელ საწარმოთა შექმნაში მხარდაჭერა;

სასტუმროს კომპლექსების განვითარება ტურიზმისა და აგრო-ტურიზმის თემატიკით;

არეალის უზრუნველყოფა გომბორის ქედსგაღმა დასახლებასთან დამაკავშირებელი ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეკონსტრუქციით: კაჭრეთი - ჭერემი - ველისციხე და კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:

**ივრის ზეგანის ურბანული ქსოვილის** განვითარება და აქტივების მნიშვნელოვან ზრდა;

**ივრის ზეგანის ურბანულ ქსოვილში** დასაქმების მნიშვნელოვანი კერის შექმნა;

**ივრის ზეგანის ურბანული ქსოვილის** ტურისტული და სოციალურ-კულტურული ინფრასტრუქტურის შესაბამის განვითარება.

2. ივრის ზეგანის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების განვითარებისათვის აუცილებელი პირობების რიგში უნდა განვიხილოთ:

ივრის ზეგანის აგრო-ეკო აუზის გაუდაბნოებასა და კლიმატის ცვლილების სხვა ნეგატიურ გამოვლინებებთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევა.

კლიმატისთვის ხელსაყრელი ნიადაგების იდენტიფიცირება (მიწის ბალანსისა და მიწის მონიტორინგის ჩათვლით), შენარჩუნება და ნიადაგის დაცვა გლობალური დათბობის პირობების გათვალისწინებით;

მრავალწლიანი კულტურების (ხეხილის ბაღები) განვითარების პრიორიტეტები;

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების აღდგენისა და ფრაგმენტულად დარჩენილი მასივების რეკონსტრუქციის საკითხი, ნიადაგის დაცვის და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების უზრუნველსაყოფად.

რის შედეგადაც უზრუნველყოფილი იქნება:

მუნიციპალიტეტის გადამამუშავებელი საწარმოების უზრუნველყოფას შესაბამისი პროდუქციით:

მცენარეთა ახალი, გვალვაგამძლე ჯიშების გავრცელებას და მიწის დეგრადაციის შეჩერებას;

მსოფლიო აგრარულ ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტიანი კულტურების წარმოების გაფართოვებას.




## აღწერა

კლასტერი აერთიანებს სოფლებს ჩუმლაყი-გურჯაანი-ახაშენი სადაც შესაბამისი ბაღები მდებარეობენ, ხოლო ახლომდებარე მაღალმთიან სოფლებში შესანახი და გადამამუშავებელი საწარმოების კონცენტრირებაა დაგეგმილი; სხვა სოფლებთან შედარებით ამ კლასტერში დომინანტურია ატმისა და ვაშლატამას მოყვანის, შენახვისა და გადამუშავების პროცესები. მაღალმთიან დასახლებებში შენახვა-გადამუშავების გადატანა განპირობებულია ამ დასახლებათათვის შეღავათების გამოსაყენებლად.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის რეგლამენტი

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, რომელიც გამოიყენება სახნავ-სათესად, სათიბად, საძოვრად. აღნიშნულ ზონაში, შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი დამხმარე ობიექტების არსებობა, თუ ამით არ ილახება საჯარო ინტერესები. დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

ა) სასოფლო მეურნეობის განვითარება თუ მშენებლობა განზრახულია ამავე მეურნეობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის ფუნქციონირებისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელიც ადაპტირებულია, ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან, მინიმალურად ერევა კულტურული ლანდშაფტის ვიზუალურ აღქმაში, რაც გამოიხატება ფერის, ფორმის, მასალისა და რელიეფზე განლაგების ხერხების გამოყენებაში;

ბ) სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, იმ ფორმით, რომელიც მინიმუმამდე ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით) და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან (ფერით, მიწისქვეშ მოწყობის გზით და სხვა);

გ) სახელმწიფო საზღვრის დაცვა;

დ) განახლებადი ენერგიის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

ე) ტურისტული მარშრუტებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა.

გამოიყოფა აგრარული კლასტერები:

- ატმის და ვაშლატამას კლასტერი
- მეცხოველეობის საკვებ/შემზადების კლასტერი
- მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერი




## აღწერა

კლასტერი აერთიანებს სოფლებს არაშენდა-მელაანი-ნანიანი-კაჭრეთი. სხვა სოფლებთან შედარებით ამ კლასტერში მეცხოველეობა და შესაბამისი პროდუქციის წარმოება, შენახვისა და გადამუშავების პროცესები, მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის რეგლამენტი

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, რომელიც გამოიყენება სახნავ-სათესად, სათიბად, საძოვრად. აღნიშნულ ზონაში, შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი დამხმარე ობიექტების არსებობა, თუ ამით არ ილახება საჯარო ინტერესები. დაუშვებელია ყოველგავრი მშენებლობა, გარდა:

ა) სასოფლო მეურნეობის განვითარება თუ მშენებლობა განზრახულია ამავე მეურნეობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის ფუნქციონირებისათვის დამხარე შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელიც ადაპტირებულია, ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან, მინიმალურად ერევა კულტურული ლანდშაფტის ვიზუალურ აღქმაში, რაც გამოიხატება ფერის, ფორმის, მასალისა და რელიეფზე განლაგების ხერხების გამოყენებაში;

ბ) სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, იმ ფორმით, რომელიც მინიმუმამდე ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით) და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან (ფერით, მიწისქვეშ მოწყობის გზით და სხვა);

გ) სახელმწიფო საზღვრის დაცვა;

დ) განახლებადი ენერგიის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

ე) ტურისტული მარშრუტებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა.

გამოიყოფა აგრარული კლასტერები:

- ატმის და ვაშლატამას კლასტერი
- მეცხოველეობის საკვებ/შემზადების კლასტერი
- მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერი




## აღწერა

კლასტერი აერთიანებს სოფლებს ველისციხე-ვაზისუბანი-მუკუზანი-ახაშენი ;სხვა სოფლებთან შედარებით ეს კლასტერი წარმოადგენს ვენახების, ღვინის ქარხნებისა და მარნების, აგრეთვე ადგილწარმოშობის ღვინოების მიკროზონების მაქსიმალური კონცენტრაციის ტერიტორიას და სამეურნეო საქმიანობის ეს მიმართულება მოსახლეობის შემოსავლების ზრდაში გადამწყვეტ როლს ასრულებს.

## სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის რეგლამენტი

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია მოიცავს არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებს, რომელიც გამოიყენება სახნავ-სათესად, სათიბად, საძოვრად. აღნიშნულ ზონაში, შესაძლებელია მხოლოდ მისი ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი დამხმარე ობიექტების არსებობა, თუ ამით არ ილახება საჯარო ინტერესები. დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა, გარდა:

ა) სასოფლო მეურნეობის განვითარება თუ მშენებლობა განზრახულია ამავე მეურნეობისთვის განკუთვნილ ტერიტორიაზე, სოფლის მეურნეობის ფუნქციონირებისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელიც ადაპტირებულია, ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან, მინიმალურად ერევა კულტურული ლანდშაფტის ვიზუალურ აღქმაში, რაც გამოიხატება ფერის, ფორმის, მასალისა და რელიეფზე განლაგების ხერხების გამოყენებაში;

ბ) სახელმწიფოებრივი ან ადგილობრივი მნიშვნელობის საჯარო სარგებლობის სატრანსპორტო და საინჟინრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, იმ ფორმით, რომელიც მინიმუმამდე ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით) და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან (ფერით, მიწისქვეშ მოწყობის გზით და სხვა);

გ) სახელმწიფო საზღვრის დაცვა;

დ) განახლებადი ენერგიის პოტენციალის შესწავლა და წარმოება.

ე) ტურისტული მარშრუტებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურა.

გამოიყოფა აგრარული კლასტერები:

- ატმის და ვაშლატამას კლასტერი
- მეცხოველეობის საკვებ/შემზადების კლასტერი
- მევენახეობა-მეღვინეობის კლასტერი

# განსახლების, ინფრასტრუქტურისა და სივრცით- ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძები (ხაზები), ცენტრები, ქვეცენტრები, კვანძები




აღწერა

გურჯაანის სივრცით-ტერიტორიული განვითარება საქართველოს განსახლების სისტემაში უპირველესად უკავშირდება და დამოკიდებულია იმაზე თუ, რა ადგილი უჭირავს მას განსახლების იერარქიულ-ტაქსონომიური სისტემის უფრო მაღალ საფეხურზე - ქვეყნის, ან კახეთის გეგმარებითი რეგიონის დონეზე და რამდენად და რა სახით არის ის დაკავშირებული ქვეყნის განსახლების ღერძებთან.

საქართველოს განსახლების სისტემაში კახეთის გეგმარებითი რეგიონის მიმართება ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან განისაზღვრება განსახლების ცენტრალურ ღერძთან (სივრცითი კარკასი-1) ჩიხური მდებარეობით); (იგულისხმება ბელაქანი-ზაქათალას მიმართულების საავტომობილო გზის შეზღუდული სატრანსპორტო შესაძლებლობები), რაც მკვეთრად ამცირებს რეგიონის ეკონომიკურ პოტენციალს.

აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ე.წ. „შუა დერეფნის" კავშირი, დედაქალაქის აგლომერაციის გავლით, „წითელი ხიდის" გავლით ხორციელდება და გვერდს უვლის კახეთის გეგმარებით რეგიონს.

საერთაშორისო სატრანსპორტო ნაკადის მოსალოდნელი ზრდის კვალდაკვალ, „წითელი ხიდიდან" მომავალ ძირითად მაგისტრალთან ერთად, დამატებით შინაარსს იძენს აზერბაიჯანის M5 მაგისტრალი, რომელიც ბელაქანი-ზაქათალას მიმართულებიდან შემოდის და ბაკურციხეზე გავლით თბილისს უერთდება.

კახეთის ქალაქების მიმართ გურჯაანის საკვანძო სატრანსპორტო მდებარეობა და ბელაქანი-ზაქათალიდან ბაკურციხემდე მიმავალი გზის გურჯაანზე გატარება ხსნის განსახლების ცენტრალურ ღერძთან (სივრცითი კარკასი-1) კახეთის გეგმარებითი რეგიონის ჩიხურ მდებარეობას და მნიშვნელოვნად წაადგება, როგორც ქალაქ გურჯაანის, ისე გურჯაანის მუნიციპალიტეტისა და კახეთის მხარის ეკონომიკურ და სტრატეგიულ შესაძლებლობებს, მათ ჩართულობას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობაში. ხელს შეუწყობს აგრობიზნესსა და ფერმერულ მეურნეობაზე დაფუძნებული მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრიის - სასოფლო-სამეურნეო ეკო და ბიოპროდუქტების წარმოების განვითარებას;

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ცენტრალური მდებარეობა სხვა მუნიციპალიტეტებთან მიმართებაში (უშუალო სატრანსპორტო კავშირით უერთდება საგარეჯოს, თელავის, ყვარელის, ლაგოდეხისა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებს, ხოლო თელავისა და სიღნაღის გავლით - ახმეტისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებს. ამ ნიშნით ქალაქ გურჯაანის გამორჩეულ და სპეციფიურ ნიშან- თვისებათა შორის თვალშისაცემია ქალაქ გურჯაანის შემკრები მდებარეობა სხვა მუნიციპალიტეტების ცენტრალური ქალაქების მიმართ, რაც მას უქმნის შესაძლებლობას იტვირთოს მხარის სატრანსპორტო ჰაბის ფუნქცია.

ძალზედ სპეციფიურია კახეთის გეგმარებით რეგიონში განაშენიანების ჩამოყალიბებული ტიპი - სასოფლო აგლომერაცია - სოფლების უწყვეტი ჯაჭვი სოფელ კარდანახიდან ქ. თელავამდე. ამ აგლომერაციის ფარგლებში მდებარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანების უმეტესი ნაწილი და მოიცავს მისი მოსახლეობის 85 %-ს. სასოფლო აგლომერაციის გარეთ მდებარეობს მხოლოდ ექვსი სათემო სოფელი - ყიტაანი, ნანიანი, მელაანი, ჩალაუბანი, ჭერემი, ჯიმითი. აგრეთვე, არაშენდას (სოფ: არაშენდა, დარჩეთი, ქოდალო, ზიარი, ფხოველი) და კაჭრეთის (სოფ: კაჭრეთი, ზემო კაჭრეთი) სასოფლო თემები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის განაშენიანება შედგება ერთი ქალაქის (გურჯაანი) და 30 სოფლისაგან, რომელთაგან 13 სოფელი გაერთიანებულია ხუთ (ვაჩნაძიანის, მუკუზანის, ჩუმლაყის, არაშენდას, კაჭრეთის) თემში. გურჯაანი წარმოადგენს ქალაქ-კურორტს (ახტალის ტალახის აბაზანები). ხოლო საკურორტო ადგილის სტატუსს ატარებს სოფ. ზიარი (არაშენდას თემი).

გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითადი ღერძების იერარქია.

საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალი - თბილისი - გურჯაანი (ბაკურციხე) - ლაგოდეხი - ბელაქან/ზაქათალის მაგისტრალური გზის გამჭოლი მიმართულება (სამომავლო). ეს მიმართულება ძირითად, წამყვან ღერძად, საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალად ჩამოყალიბდება. ქვეყნის ცენტრალური ღერძის - სივრცითი კარკასი 1-ის სტატუსს შეიძენს და კახეთის მხარეს მოუხსნის ეკონომიკურად მეტად არახელსაყრელი, ჩიხური მიმართულების სტატუსს.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა - კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღერძი, გზა, რომელიც სასოფლო აგლომერაციის სახით აერთიანებს სოფლების, მათ შორის მცირე ქალაქების უწყვეტ ჯაჭვს თელავიდან კარდენახამდე.

შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზა - გზა, რომელიც გამოიყოფა კახეთის განაშენიანების ცენტრალური ღერძიდან და მიემართება ყვარელის მიმართულებით;
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას მიეკუთვნება აგრეთვე ცენტრალური ღერძიდან გამოყოფილი და კახეთის მუნიციპალური ცენტრებთან დამაკავშირებელი გზები
შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზას მიეკუთვნება სამხარეო დანიშნულების კიდევ ერთ გზა - ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხი-ბელაქან/ზაქათალა;, რომელიც „გაღმა მხარის"[1] ტერიტორიას განეკუთვნება და არ გაივლის გურჯაანის ტერიტორიაზე:
ადგილობრივი მნიშვნელობის გზა - ყველა დანარჩენი გზები ადგილობრივი მნიშვნელობის სტატუსით იქნებიან წარმოდგენილი. მათ შორის წინამდებარე - „გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების გეგმის კონცეფციით" შეთავაზებული:
კაჭრეთი - არაშენდა - ქოდალო - ზიარი - გურჯაანი.
კაჭრეთი - ჭერემი - ველისციხე

## 3. სტრატეგიული მიზნები, ამოცანები და ქმედებების გეგმა-გრაფიკი

ქვემოთ, ცხრილის სახით, ყველა განხილული მიმართულებით, წარმოდგენილია სამოქმედო გეგმები - სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დასახული ამოცანების გადაწყვეტისათვის დასახული კონკრეტულ ქმედებათა სისტემა.

*ცხრილი 5. სამოქმედო გეგმა*

| სამოქმედო გეგმა | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| # | სტრატეგიული მიზნები | ამოცანები | დარგი | განმახორციელებელი | ქმედებები / წლები | ვადა | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | მოკლე (2023-25წწ) | | | საშუალო (2026-2030წწ) | | | | | გრძელი (2031-2035წწ) | | | | |
| | | | | | | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | 2028 | 2029 | 2030 | 2031 | 2032 | 2033 | 2034 | 2035 |
| 1 | მრავალი ღვინისა და კახური მასპინძლობის ცნობილი ადგილის სახელის დამკვიდრება | მევენახეობისა და მეღვინეობის შემდგომი განვითარება და მუნიციპალიტეტის ადგილწარმოშობის ღვინოების ცნობადობის გაზრდა | **სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | გადაბერებული ვენახების გაახალგაზრდავება, ახლების გაშენება და კადასტრში შეტანა, ვაზის სერტიფიცირებული მაღალხარისხიანი სარგავი მასალის წარმოება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | ახალი ადგილწარმოშობის დასახელებების ღვინოების გამოვლენა და რეგისტრაცია. ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ყოველწლიური, ღვინის, ფესტივალების მოწყობა. | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | ღვინის ტურიზმის განვითარება, რისთვისაც ძირითადი ავტოტრასის პარალელური გზების, აგრეთვე რკინიგზის უმოქმედი მონაკვეთისა და სადგურების შენობათა გამოყენებით გერმანული „Weinstraße“-ს მაგვარი „ღვინის გზის“ ამოქმედება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | მსოფლიო ბაზარზე ადგილობრივი ღვინის ერთი ბოთლის ფასის ასამაღლებელი ღონისძიებების ჩატარება, ქვევრისა და ორგანული ღვინის წარმოების გაფართოვება. | | | | | | | | | | | | | |
| | | ეკოლოგიურად სუფთა მაღალხარისხიანი აგროპროდუქციის წარმოება | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუმუშავებული სახნავის უპირატესად ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებაში ჩართვა; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | FAO/WHO-ს კოდექს ალიმენტარიუსის, ევროკავშირის სტანდარტებისა და დირექტივების დაცვით პროდუქციის წარმოება | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საოზგადოებრივი ორგანიზაციები | ორგანული მეფუტკრეობის განვითარების ხელშეწყობა. | | | | | | | | | | | | | |
| | | ტურისტული პროდუქტების გამრავალფეროვნება და მიზიდულობის ცენტრების შექმნა | **ეკონომიკა** | ტურისმის ეროვნული ადმინისტრაცია, კურორტების სააგენტო, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო | არსებული მიზიდულობის ცენტრების მოწესრიგება და ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნა, საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ავტოსადგური, გზები, ტურისტული ცენტრები და ა.შ.), მარკეტინგული კამპანიების ორგანიზება, სხვადასხვა პიარ-კამპანიების დაგეგმვა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისთვის | | | | | | | | | | | | | |
| | | ბუტიკური ტიპის სასტუმროების, კვების ობიექტები, ღვინის მარნების განვითარების ხელშეწყობა | **ეკონომიკა** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, კურორტების სააგენტო | გრანტები. ფინანსირების მიწვდომადობა. | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ახალი ღვინის მარშრუტების შექმნის ხელშეწყობა | **ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, კურორტების სააგენტო, სივრცითი და ქალაქმშენებლობითი განვითარების სააგენტო | საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ავტოსადგური, გზები, ტურისტული ცენტრები და ა.შ.) |
| | | ადგილობრივი მწარმოებლების კონკურენტუნარიანობის და ცნობადობის ამაღლება | **ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები | ადგილობრივ და რეგიონალურ ღვინის ფესტივალებზე უფასო წვდომა; |
| | | | | | საერთაშორისო ღვინის გამოფენებზე წვდომის ხელშეწყობა; |
| | | | | | ხარისხის კონტროლის და სერტიფიცირების პროგრამების დანერგვა. |
| | | ქვევრის და ბიო ღვინის წარმოების ზრდა, მათ შორის საექსპორტე პოტენციალის ზრდა | **ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები | ადგილობრივი მეწარმეებისათვის ბიო ღვინის შესახებ ცნობადობის ამაღლება ტრეინინგების და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით; |
| | | | | | ექსპორტის ხელშესაწყობად ტრეინინგების ორგანიზება; |
| | | | | | საერთაშორისო ღვინის გამოფენებზე წვდომის ხელშეწყობა. |
| | | სტუმართმასპინძლობის საუკეთესო გამოცდილების შეთავაზება ვიზიტორებისათვის | **ეკონომიკა და სოფლის მეურნეობა** | ღვინის სააგენტო, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, მუნიციპალიტეტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები | ახალი მიზიდულობის ცენტრების შექმნა გასტრონომიული თვალსაზრისით, მათ შორის ქ. გურჯაანის რკინიგზის სადგურის ტერიტორიასა და მიმდებარედ; |
| | | | | | ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ახალი ინფრასტრუქტურის შეთავაზება (მათ შორის ლიფტები, საბაგირო, განახლებული პარკები, სასტუმროები და ა.შ.) |
| 2 | დივერსიფიცირებული ეკონომიკის განვითარება | ექსპორტზე ორიენტირებული მეხილეობის განვითარება | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | საქართველოში საქპატენტში რეგისტრირებული ახალი მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელება, ინტენსიური ხეხილის ბაღების და მაღალხარისხიანი სანერგეების გაშენების ხელშეწყობა; |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ახალი გეოგრაფიული აღნიშვნების (მაგ., გურჯაანის ატამი/ნექტარინი) საქპატენტში რეგისტრაცია; |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | გადამამუშავებელი და შესანახი მეურნეობების ქსელის განვითარება, ნაწილის მაღალმთიან დასახლებებში გადატანა, მხოლოდ ნედლი ხილის ექსპორტის წვენების, ლიმონათების, სუბლიმირებული ხილის, ჯემებისა და მურაბების ექსპორტით გაძლიერება; |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | პროდუქციის ტექნიკურ რეგლამენტებთან და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. |
| | | მეცხოველეობის განვითარება ცივ-გომბორის ქედის მიმდებარე სოფლებში | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ცხოველთა იდენტიფიცირება-რეგისტრაციისა და ვაქცინაციის სრულყოფა, ხორცისა და ხორცის პროდუქტების ეტიკეტირების გავრცელება; |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | მეცხოველეობის ინტენსიფიკაცია, ადგილობრივი საკვებშემზადების გაფართოვება, ცხოველთა მაღალპროდუქტიული ჯიშების ინტროდუქცია, კვების რაციონის გაუმჯობესება; |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | გურჯაანის ნაყინის შემდგომი პოპულარიზაცია და მისი როგორც გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაცია; |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | მცირე ფერმების ავტომატიზაცია, რძის გადამამუშავებელ საწარმოთა შექმნაში მხარდაჭერა; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | შვიდი სოფლისთვის (არაშენდა ზიარი, ფხოველი, დარჩეთი, ქოდალო, ჭერემი, მელაანი) მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონით გათვალისწინებული შეღავათების სრულფასოვანი გამოყენება, მწყემსთა შრომის პოპულარიზაცია, პირუტყვის გადარეკვის დროს მათი საზეიმო დახვედრა, ვეტერინალური მომსახურების გაუმჯობესება, ბიოუსაფრთხოების ახალი პუნქტის ამოქმედება. | | | | | | | | | | | | | |
| | | აგრობიომრავალფეროვნების შენარჩუნება | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ფიტოსანიტარული მონიტორინგის გაძლიერება, მავნე ორგანიზმების სალიკვიდაციო ღონისძიებების დღოული ჩატარება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | თესლისა და სარგავი მასალის მონიტორინგის გაძლიერება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | სოფლად მემცენარეობისა და საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის სისტემების განვითარების ხელშეწყობა; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ნაკელის გადამუშავების, შენახვისა და გამოყენების მართვა ნაკელსაცავების გამოყენებით, ბიოგაზის მიღება. | | | | | | | | | | | | | |
| | | მეურნეთა/ფერმერთა გადამზადება | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ფერმერული საქმიანობის ეკონომიკური გაჯანსაღება და მოდერნიზაცია მიწოდების ჯაჭვის განვითარების შედეგად; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | კოლეჯ „აისის" ბაზაზე მეურნეთა საჭიროებებზე მორგებული პროფესიული განათლება, გადამზადება და ექსტენცია, ახალი სპეციალობების (დრონების ექსპლუტაცია, გის ოპერატორი და ა.შ.) შემოღება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | მეურნეთათვის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომად უცხო ენისა და კომპიუტერული მომზადების ტრენინგები, უფასო ინტერნეტით და ვიდაოკონფერენციების აპარატურით უზრუნველყოფა; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | მესაქონლე ფერმერთა ცოდნისა და ინფორმირებულობის ამაღლება - მონაწილეობა ტრენინგებსა და სემინარებში „კარგი წარმოების პრაქტიკები" და „ცხოველთა ჯანმრთელობასა და კვებაზე"; | | | | | | | | | | | | | |
| | | | **სოფლის მეურნეობა** | სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | მესაქონლეობაში პირველადი წარმოების ადგილობრივი სტანდარტის - გეოგაპის კამპანიის ფარგლებში ფერმერთა სერტიფიცირება. | | | | | | | | | | | | | |
| | | ინფრასტრუქტურული გარემოს გაჯანსაღება და გაუმჯობესება; | **ინფრასტრუქტურა** | ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალურიგამვითარების ფონდი | სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ნარჩენების მართვის მოგვარება, წყალი-კანალიზაციის სისტემების გამართვა. | | | | | | | | | | | | | |
| | | საოჯახო ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის დამუშავება; | **ეკონომიკა** | ეკონომიკის სამინისტრო და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია | გრანტები. ფინანსირების მიწვდომადობა. | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მიწათსარგებლობის მოდელებისა და წესების შემუშავება და დამტკიცება; | **ეკონომიკა, ინფრასტრუქტურა და მიწის მართვა** | მიწის მართვის დეპარტამენტი და მუნიციპალიტეტი | საპროექტო არეალების მომდევნო სტადიის საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება | | | | | | | | | | | | | | |
| | | ფერმების განვითარების გეგმების დამუშავება; | **ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა** | სოფლიოს მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი უწყებები და უნიციპალიტეტი | ფერმერული განათლების ამაღლება და განვითარების გეგმების დამუშავება | | | | | | | | | | | | | | |
| | | ტურისტული მარშრუტების მართვის გეგმის დამუშავება; | **ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცი | ადგილობრივ მმართველობით სტრუქტურაში შესაბამისი მიმართულების სამსახურის ჩამოყალიბება | | | | | | | | | | | | | | |
| | | გურჯაანის, როგორ რეგიონული ლოგისტიკურ, ტექნიკური (მათ შორის აგრო, სატრანსპორტო, გადამამუშავებელი, სარეზერვო, სასაწყობი, შრომითი და სხვა) და ბიზნეს პროცესების მართვის კვანძის ჩამოყალიების ხელშწწყობა | **ეკონომიკა და ინფრასტრუქტურა** | ეკონომიკის სამინისტრო, ინფრატრუქტურის სამინისტრო დ ამუნიციპალიტეტი | რეგიონალური მმართველობითი ორგანოების და გურჯაანის მერიის ერთობლივი სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება | | | | | | | | | | | | | | |
| | | ადგილობრივი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება | **ეკონომიკა** | მუნიციპალიტეტი | მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შეთავაზება | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | სამთავრობო პროგრამებზე (დანერგე მომავალი, აწარმოე საქართველოში, აგროდაზღვევა, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება) და სერვისებზე (მ.შ. ელექტრონულად) ხელმისაწვდომობის გაზრდა | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | მეწარმეებისთვის ცოდნის ამაღლების მხარდასაჭერად ტრეინინგების და გრძელვადიანი კურსების ორგანიზება (მაგ: ადგილობრივი პროფესიული სასწავლებლების მონაწილეობით); | | | | | | | | | | | | | | |
| | | ცირკულარული ეკონომიკის განვითარება, ადგილობრივი ღვინის პროდუქტების გამოყენებით | **ეკონომიკა** | ეკონომიკის სამინისტორო და მუნიციპალიტეტი | ნარჩენი პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების განვითარებისათვის პოტენციური არეალების იდენტიფიცირება და წინასწარი პროექტების შექმნა; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ადგილობრივი მწარმოებლებისთვის ცირკულარული ეკონომიკის შესახებ ცნობადობის ამაღლება ტრეინინგების და საინფორმაციო შეხვედრების საშუალებით; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | სპეციალური მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება, რომელიც ნარჩენი პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების შექმნას შეუწყობს ხელს (სუბსიდია, გრანტი და ა.შ.). | | | | | | | | | | | | | | |
| | | პირველადი საწარმოო პროდუქტების ადგილზე გადამუშავებით დამატებითი ღირებულების შექმნა | **ეკონომიკა** | ეკონომიკის სამინისტორო და მუნიციპალიტეტი | სოფლის მეურნეობის წარმოების მხარდამჭერი სამთავრობო პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდა და ინფორმაციის გავრცელება; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ახალი სამთავრობო პროგრამების შეთავაზება ადგილობრივი მოსახლეობისათვის; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | დონორთა საერთაშორისო მხარდაჭერის პროგრამების შესახებ ინფორმაციის გავრცელება და ტრეინინგების ორგანიზება საგრანტო პროგრამებში მონაწილეობის შესახებ; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | წარმოების ხარისხის კონტროლისა და სერტიფიცირების პროგრამების დანერგვა; | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ადგილობრივი მოსახლეობის სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ტრეინინგების და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება; | | | | | | | | | | | | | | |
| | | ცოდნის შეძენა, პროფესიული სწავლებისა | **ეკონომიკა** | მუნიციპალიტეტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიმ | უცხო ენისა და კომპიუტერული ტრენინგები, ადგილობრივების ციფრულ პლატფორმებზე წვდომის უზრუნველსაყოფად | | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | და გადამზადების პროცესის ხელშეწყობა; | | საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები | სტარტაპების, ქალთა და ახალგაზრდათა კოოპერატივების წახალისება, ტექნიკით უზრუნველყოფის პროგრამებში ჩართვა; | | | | | | | | | | | | | |
| 3 | ინტეგრირებულად მართული მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბება | წყლის მართვასთან დაკავშირებული პროცესებისა და ქმედებების მართვა; | **გარემოს დაცვა და ინფრასტრუქტრა** | სოფლის მეურნეობის სამინსტრო, მუნიციპალიტეტი, კერძო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები | მუნიციპალიტეტის მიერ წყლის ობიექტების სიახლოვეს წყლის ობიექტების დაცვის ზონებითა და შესაბამისი შეზღუდვებით არსებული/დაგეგმილი განაშენიანების რეგულირება | | | | | | | | | | | | | |
| | | მყარი ნარჩენების მართვა; | **გარემოს დაცვა და ინფრასტრუქტრა** | მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გაუმჯობესება | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების სეპარირებული შეგროვების სისტემის დანერგვა და შეგროვების არეალის პერიოდული გაფართოება | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | მუნიციპალიტეტის სოფლებში საოჯახო ტიპის კომპოსტირების საპილოტე პროქტის განხორციელება | | | | | | | | | | | | | |
| | | ტყეების მართვის ხელშეწყობა; | **გარემოს დაცვა და ტრეთმოწყობა** | სატყეო და დაცული ტერიტორიების სააგენტოები | ტყის გამოყენება ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ფუნქციით და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის ხელშეწყობის, კატასტროფების რისკების შემცირების და ისეთი დარგების განვითარების მიზნით, როგორებიცაა რესურსების მდგრად გამოყენებაზე დაფუძნებული შეშის, ხე-ტყის, ტყის არამერქნული რესურსის მოპოვება და გადამუშავება, ტურიზმი და რეკრეაცია და სხვა. | | | | | | | | | | | | | |
| | | მდგრადი ტურიზმისა და მწვანე ეკონომიკის დარგების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; | **ეკონომიკა** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცი | მუნიციპალიტეტის რესურების შეფასების საფუძველზე მწვანე ეკონომიკის და მდგრადი ტურიზმის მიმართულებების იდენტიფიცირება და მათი განვითარების წახალისების მიზნით ეკონომიკური მხარდაჭერის ინსტრუმენტების შემუშავება | | | | | | | | | | | | | |
| | | დაცული ტერიტორიების, კლასტერებისა და ობიექტების მართვის ხელშეწყობა; | **გარემოს დაცვა** | დაცული ტერიტორიების სააგენტო და უნიციპალიტეტი | საქართველოს ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის და დაინტერესებული მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე პოტენციური დაცული ტერიტორიების დაცვის მექანიზმის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით დამტკიცება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | მართვის გეგმების შემუშავება, რომლებიც მოიცავს კონსერვაციის და აღდგენის საკითხებს; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | შემუშავებული მართვის გეგმების დამტკიცება და მათ განსახორციელებლად ფინანსური რესურსების მოძიება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | მართვის გეგმების შესაბამისად კონსერვაციისა და აღდგენის ღონისძიებების განხორციელება თემატური სპეციალისტების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. | | | | | | | | | | | | | |
| | | გარემოსთან ადაპტირებული და კლიმატგონივრული სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავრცელება | **სოფლის მეუნეობა და გარემოს დაცვა** | სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | კლიმატგონივრული, დაბალნახშირბადიანი სოფლის მეურნეობის მეთოდებისა და წყლის მენეჯმენტის, წვეთოვანი მორწყვის გავრცელება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | აგრომეტეოროლოგიური სერვისის გაუმჯობესება, FAO-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის შესახებ გლობალური ინფორმაციისა და რისკებზე ადრეული გაფრთხილების სისტემის (GIEWS) დისტანციური ზონდირების მონაცემების (NDVI, ASIS) გათვალისწინება | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | სათიბ-საძოვრების ინვენტარიზაცია, ბუნებრივი საძოვრების ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება, ელექტრომწყემსების მეშვეობით ნაკვეთმონაცვლეობით გადამეტძოვებისგან დაცვა, სათიბების მცირე ნაკვეთებზე და ბაღებში ტრიმერების გავრცელება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | დეგრადირებული და განადგურებული ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაცია, მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და ხნოვანებითი სტრუქტურის განსაზღვრა, ზოლების აღდგენა, ახლის გაშენება. | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | ენერგოეფექტიანი, განახლებადი ენერგიის გამოყენებაზე ორიენტირებული ინოვაციური ტექნოლოგიების გავრცელება | **გარემოს დაცვა, ეონომიკა, ენერგეტიკა** | სამთავრობო პროგრამები და მუნიციპალიტეტი | საწარმოო პროცესების შესასრულებლად ენერგიის ავტონომიური განახლებადი წყაროების (მიკროჰესების, მზის, ბიომასის და ა.შ.) გამოყენება; |
| | | | | | ბოსტნეული და კენკროვანი კულტურების მოსაყვანად ფართობების გაზრდა, ტუნელური სათბურების გავრცელება, სასათბურო კლასტერის მოწყობაში ხელშეწყობა; |
| | | | | | ბაღებში, ვენახებშიდა სანერგეებში სამუშაოდ ხიდური რობოტიზებული აგრეგატების, ხოლო ფერდობებზე სამუშაოდ - მცირე მექანიზაციის საშუალებებისა და მონორელსური ტრანსპორტიორების გამოყენება. |
| | | გარემოსადმი ნაკლებად მავნე აგრარული ტექნოლოგიების გამოყენება | **გარემოს დაცვა** | სამინისტროს შესაბამისი უწყებები და მუნიციპალიტეტი | ნიადაგის მდგომარეობის შესწავლა, ეროზიისგან დაცვის ინტეგრირებული მეთოდების, მ.შ. დამუშავების ნულოვანი (No-Till) ტექნოლოგიის, კომბინირებული აგრეგატით შესრულებული რამდენიმე ოპერაციის გაერთიანება; მინერალური  სასუქებისა და პესტიციდების გამოყენების წესების, დოზებისა და ვადების დაცვა; |
| | | | | | მცენარეთა დაცვის უპირატესად ბიოლოგიურ მეთოდებზე გადასვლა, პესტიციდების ბიოსტიმულატორებით ჩანაცვლება; |
| | | | | | მრავალწლიანი კულტურების მწკრივული გაშენების, გვალვა-  და ქარგამძლე კულტურების გამოყენება; |
| | | | | | აკვაკულტურის ტექნოლოგიების გავრცელება. |
| | | რისკების მართვის სისტემის გაუჯობესება | **ეკონომიკა, გარემოსდაცვა, ერობნული უსაფრთხოება** | სამთავრობო პროგრამები, გარემოს ეროვნული სააგენტო, სივრცითი და ქალაქმშენებობითი განვიატრების სააგენტო, შსს და მუნიციპალიტეტი | მოსალოდნელი რისკების, პირველ რიგში შესაძლო ბუნებრივი კატასტროფების საფრთხის დადგენა |
| | | | | | სეტყვის საწინააღმდეგო სისტემების (სარაკეტო, დამცავი ბადეები) მუშაობის გაუმჯობესება; |
| | | | | | არახელსაყრელი პირობების, დაავადებებისა და მავნებლების მიმართ მდგრადი ჯიშებისა და ჰიბრიდების გავრცელება. |
| | | მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირებულებების იდენტიფიცირება და დაცვა | **გარემოს დაცვა** | დაცული ტერიტორიების სააგენტო, ტურიზსმი ეროვნული ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტი | არსებული კვლევების საფუძველზე მუნიციპალიტეტში არსებული მნიშვნელოვანი ბუნებრივი ღირებულებების (ლანდშაფტები, ეკოსისტემები, გეომორფოლოგიური, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური ობიექტები, ბოტანიკური და ზოოლოგიური სახეობების წარმომადგენლები, სხვა) გამოვლენა; |
| | | | | | გამოვლენილი ბუნებრივი ღირებულებების დამატებითი შესწავლა ეროვნული და ადგილობრივი პასუხისმგებელი უწყებების და  თემატური სპეციალისტების ჩართვით და არსებული მდგომარეობის შეფასება; |
| | | | | | ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივი ღირებულებების ნუსხის შედგენა. |
| | | | | | იდენტიფიცირებული ბუნებრივი ღირებულებების მნიშვნელობის შესახებ საგანმანათლებო და საინფორმაციო მასალების მომზადება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის გაცნობა; |
| | | | | | ბუნებრივი ღირებულებების დაცვის მექანიზმების საკანონმდებლო ანალიზი და იდენტიფიცირებული ღირებულებებისათვის შესაბამისი დაცვის მექანიზმების შერჩევა; |
| | | | | | საქართველოს ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობის და დაინტერესებული მხარეებთან კონსულტაციის საფუძველზე ბუნებრივი ღირებულებების დაცვის მექანიზმის შემუშავება და საჭიროების შემთხვევაში პასუხისმგებელ უწყებებთან თანამშრომლობით დამტკიცება; |
| | | გარემოს დაბინძურების წყაროების გამოვლენა, დაბინძურების ხარისხის შეფასება და აღმოფხვრა | **გარემოს დაცვა** | გარემოს ეროვნული სააგენტო და მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურების ხარისხის პერიოდული მონიტორინგი, შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის საფუძველზე; |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის, წყლის და ნიადაგის დაბინძურების ძირითადი წყაროების იდენტიფიცირება; |
| | | | | | გარემოს დაბინძურების გამოვლენილი წყაროების ზემოქმედების შემცირების და აღმოფხვრის გეგმის შემუშავება პასუხისმგებელ უწყებებთან და თემატურ სპეციალისტებთან თანამშრომლობით; |
| | | | | | მუნიციპალიტეტში არსებული დასახლებული პუნქტებისთვის შესაბამისი საკანალიზაციო და წყალარინების ქსელების და გამწმენდი სისტემების გაუმჯობესება/მოწყობა; |
| | | | | | ნიადაგის ნაყოფიერების კარგვის და მტვრის გავრცელების პრევენციის მიზნით, სასოფლო-სამეურნეო მიწების თანამედროვე ტექნოლოგიებით დამუშავების ხელშეწყობა; |
| | | | | | სოფლის მეურნეობაში აგროქიმიკატებისა და სასუქების მდგრადი გამოყენების დანერგვა და პასუხისმგებელ უწყებებთან ერთად მონიტორინგი; |
| | | | | | სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებსა და საწარმოებში დაბალემისიანი ტექნოლოგიების გამოყენების წახალისება; |
| | | ბუნებრივი რესურსების (წყალი, ნიადაგი, ტყე) მდგრადი მართვის მიდგომების შემუშავება და დანერგვა | **გარემოს დაცვა** | გარემოს ეროვნული სააგენტო და მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების სივრცითი ასახვა/გადანაწილება. მათი კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელება, გამოყენების პირობების დაცვის მონიტორინგი და სამართლებრივ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი. |
| | | განახლებადი ენერგიის წარმოების მიმართულებების დამუშავება და პოლიტიკის განსაზღვრა | **ეკონომიკა და გარემოს დაცვა** | სამინისტროების შესაბამსი უწყებეთაშორისი პროგრაები და მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტში განახლებადი ენერგიის წყაროების პოტენციალის შეფასება |
| | | | | | განახლებადი ენერგიის გამოყენების ხელმისაწვდომი ტექნოლოგიების იდენტიფიცირება |
| | | | | | განახლებადი ენერგიის წყაროებზე ხელმისაწდომობისთვის ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნითა და ფინანსური მხარდაჭერის ინსტრუმენტების განსაზღვრა |
| | | ნაპირების დაცვისა და მდინარეთა კალაპოტების მართვასთან ინტეგრირებული სამშენებლო და ინერტული მასალების გამოყენება-მართვის სპეციალური ხედვების დამუშავება | **გარემოს დაცვა და ინფრასტრუქტურა** | სამინისტროების შესაბამსი უწყებეთაშორისი პროგრაები და მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის მდინარეების კალაპოტებში არსებული სამშენებლო და ინერტული რესურსების შეფასება და მათი გამოყენების მდგრადი მეთოდების და ტექნოლოგიების განსაზღვრა |
| | | ფერდობების მდგრადობის გენერალური გეგმის დამუშავება | **გარემოს დაცვა** | გარემოს ეროვნული სააგენტო და მუნიციპალიტეტი | საფრთხის შემცველი ფერდობების იდენტიფიცირება, მათ მიმდებარედ არსებული მოწყვლადი ობიექტების დადგენა და ფერდობების მდგრადობის მართვის ღონისძიებების განსაზღვრა და განხორციელება |
| | | ნაპირდამცავი ღონისძიებების განხორციელების ხედვის დამუშვება | **გარემოს დაცვა** | გარემოს ეროვნული სააგენტო და მუნიციპალიტეტი | მდინარეების პოტენციური და არსებული ეროზირებული ნაპირების განსაზღვრა |
| | | | | | ნაპირების ეროზიების პრევენციის ღონისძიებების შერჩევა და განხორციელება |
| | | ბუნებრივ-კატასტროფული მოვლენების მართვის სისტემების ხედვის დამუშავება | **გარემოს დაცვა და შსს** | გარემოს ეროვნული სააგენტო, შსს და მუნიციპალიტეტი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების შეფასება |
| | | | | | ბუნებრივი და ტექნოგენური საფრთხეების ეროვნულ სისტემასთან შესაბამისი მართვის სისტემის ჩამოყალიბება |
| | | მუნიციპალური და თვითმმართველობის ადგილობრივი ინსტიტუციების გაძლიერება; | **მუნიციპალური მართვა** | მუნიციპალიტეტი | ინტეგრირებულ მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესის კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპებისა და წესების დადგენა და დანერგვა; საჯარო ინფორმაციის იტეგრირების, გაზიარებისა და დაინტერესებულ მხარეებთან ინტერაქციის პროცესის უზრუნველოფის სისტემის შექმნა; |
| | | | **მუნიციპალური მართვა** | | მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის სექტორის მდგრადობის შენარჩუნება ექსტრემალური შოკების დროსაც; |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინფრასტრუქტურასა და სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა | | მუნიციპალიტეტი და ცენტალური ხელისუფლების შესაბამისი უწყებები | საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის, სურსათის ეროვნული სააგენტოს სამმართველოს და მექანიზაციის ცენტრის შესაძლებლობების გაძლიერება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტექნიკური საშუალებების რაოდენობის ზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, მათი შეძენის თანადაფინანსება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ფერმათა/ფერმერთა რეესტრში რეგისტრაციისა და მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში შეტანის წარმატებით დასრულება; | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | ინფრასტრუქტურის, პირველ რიგში შიდა გზებისა და ირიგაციის სისტემების გაუმჯობესება. | | | | | | | | | | | | | |
| | | მუნიციპალიტეტის კულტურული ფასეულობების სრულყოფილი აღრიცხვა და სტრატეგიული გეგმების დასახვა | **მუნიციპალური მართვა** | ძეგლტა დაცვის სააგენტო და მუნიციპალიტეტი | ძეგლებთან მიწვდომადობის გაზრდა, კულტურის სახლებისთვის სწორი ფუნქციის განსაზღვრა და მათი რევიტალიზაცია, კვლევითი საქმიანობის და საგანმანათლებლო აქტივობების დაგეგმვა. | | | | | | | | | | | | | |
| | | ტურიზმის მართვის ხელშეწყობა; | **ეკონომიკა** | ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და მუნიციპალიტეტი | არსებული მიზიდულობის ცენტრების მოწესრიგება და ახალი მიზდულობის ცენტრების შექმნა, საჯარო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (ავტოსადგური, გზები, ტურისტული ცენტრები და ა.შ.), მარკეტინგული კამპანიების ორგანიზება, სხვადასხვა პიარ-კამპანიების დაგეგმვა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისთვის | | | | | | | | | | | | | |
| | | საჯარო-კერძო სექტორის თანამშრომლობა (კერძო სექტორის ჩართულობა მუნიციპალური და რეგიონული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებში) | **ეკონომიკა** | ეკონომიკის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი | კერძო საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება | | | | | | | | | | | | | |
| 4 | სატრანსპორტო კვანძების და მობილობის ცენტრების განვითარება | ადეკვატური სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება; | **ინფრასტრუქტუტა** | ტურისმის ეროვნული ადმინისტრაცია, საგზაო დეპარტამენტი, მუნიციპალიტეტი, მუნიციალური განვითარების ფონდი | ადგილობრივი გზების არსებული და ახალი ქსელის პროექტირება, განხილვა და მშენებლობა; მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება | | | | | | | | | | | | | |
| | | ავტოსატრანსპორტო და ლოგისტიკური მიმართულებით მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის ზრდა რეგიონული თვალსაზრისით | **ეკონომიკა** | | ავტოსატრანსპორტო ჰაბის მშენებლობა ქ. გურჯაანში; რეგიონალური სატრანსპორტო ქსელის დამუშავება და კავშირების გაუმჯობესება, | | | | | | | | | | | | | |

დანართი 1

## გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისთვის საგულისხმო მიგნებები

## 1. სოც ინფრასტრუქტურა [18]

### 1.1. ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება წარმოადგენს გურჯაანის მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან. გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის განყოფილებას აქვს საჭიროებებზე მორგებული პროგრამა, რომელიც უმეტესად ითვალისწინებს იმ სამედიცინო მომსახურეობებს, რომელიც არაა საყოველთაო ჯანდაცვით გათვალისწინებული. მუნიციპალური პროგრამის და საყოველთაო ჯანდაცვის ერთობლიობა მაქსიმალური ხელშეწყობაა იმ ბენეფიციარებისთვის, რომელთაც აქვთ გარკვეული პრობლემები, გარდა ცალკეული გამონაკლისებისა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობა სარგებლოს ჯანდაცვის სხვადასხვა სახის პროგრამით.

მუნიციპალიტეტში კერძოდ რაიონულ ცენტრში ფუნქციონირებს ერთი საავადმყოფო. სადაც პაციენტი სარგებლობს სხვადასხვა სერვისებით, საავადმყოფოს გააჩნია განყოფილებები, კერძოდ: თერაპიული, ტრავმატოლოგიური, ქირურგიული, კარდიოინტენსიური, ბავშვთა, რეანიმაციული და ამბულატორიული განყოფილებები, ამბულატორიული განყოფილება თავის მხრივ სთავაზობს რენტგენოლოგიურ, ექოსკოპიურ, კომპიუტერულ-ტომოგრაფიულ და კლინიკო-ბიოქიმიურ გამოკვლევებს.

მუნიციპალიტის ყველა, 24 ადმინისტრაციულ ერთეულში განთავსებულია ამბულატორია და ხელმისაწვდომია პირველადი ჯანდაცვის მომსახურება ყველა მოქალაქესთვის.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მუშაობს სასწრაფო გადაუდებელი დახმარების 4 ბრიგადა, აქედან ერთი ემსახურება კაჭრეთის ზონას. აღნიშნული ბრიგადები აღჭურვილია თანამედროვე სასწრაფო სპეცმანქანებით და კვალიფიციური კადრით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში უკვე 15 წელია ფუნქციონირებს, სამკურნალო - დიაგნოსტიკური ცენტრი „კახეთი-იონი“, რომლის დამფუძნებელს საფრანგეთი წარმოადგენს, ასევე დიაგნოსტიკური ცენტრი „ახალი თაობა „

ასევე გურჯაანში სეზონის მიხედვით ფუნქციონირებს კურორტი „ახტალა“, რომელიც პაციენტებს სთავაზობს ტალახის აბაზანებს, სხვადასხვა ძვლოვანი და ანთებითი დაავადებების სამკურნალოდ.

---

[8] გურჯაანის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი - (2024 - 2027)

https://gurjaani.gov.ge/sites/default/files/gurjaani_mdd.docx

## 1.2. სოციალური მომსახურება

მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის ყოველწლიური პროგრამა ითვალისწინებს გურჯაანის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეებისათვის საჭიროებებს და უზრუნველყოფს სხვადასხვა ჯგუფის მომსახურებას. დანართში შეგიძლიათ გაეცნოთ 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის პირობებს, მიმღებთა (ბენეფიციართა) კატეგორიებს, მათ მიერ მუნიციპალიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაციის

სახეებს, დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობას, გაცემის პროცედურასა და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფეს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სამედიცინო თანადაფინანსების კუთხით პრობლემას წარმოადგენს ონკოლიგიური დაავადებების მქონე პაციენტთა მაღალი პროცენტით მომართვიანობა, ამიტომ შეიცვალა და გაიზარდა თანადაფინანსების ოდენობა, თუმცა ამ მიმართულებამ ოდნავადაც არ შეამსუბუქა მდგომარეობა, აღნიშნული დაავადების მქონე ბენეფიციარები კვლავ რისკის ქვეშ რჩებიან, ვერ ახერხებენ დარჩენილი 50% გადახდას, ასევე ძვირადღირებული მედიკამენტების შეძენას.

მუნიციპალური პროექტია უსახლკარო ოჯახების თავშესაფრით უზრუნველყოფა, რომელიც ითვალისწინებს მძიმე სოციალური და საცხოვრებელი პირობების მქონე ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფას, რაც ხელს უწყობს ყოველწლიურად მუნიციპალიტეტში უსახლკარო ოჯახების შემცირებას და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას. მოთხოვილი საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება შშმ პირთა, ხანდაზმულთა და ვეტერანთა დახმარება, მათი მორალური მხარდაჭერისათვის და განწყობის ამაღლებისათვის იმართება სპორტული შეჯიბრებები და კულტურული ღონისძიებები.მომავალი წლებისათვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი გააგრძელებს, განავითარებს და განახორციელებს ზემოთაღნიშნულ პროგრამებს, სოციალური პროგრამების მიზანია ზემოთ აღნიშნული კატეგორიების თანადგომა, მორალური და ფინანსური მხარდაჭერა და ნაკლები უსახლკარო და მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

## 1.3. განათლება, კულტურა და სპორტი

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია, როგორც საშუალო და სკოლამდელი, ასევე პროფესიული განათლების სერვისი

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 37 საბავშვო ბაღი. სადაც 2000 მდე აღსაზრდელი ირიცხება. დაწესებულებებში დასაქმებულია 560 პერსონალი, მათ შორის 90 დღის აღმზრდელი მასწავლებელი და 25 შემცვლელი აღმზრდელი მასწავლებელია.

ამ ეტაპისთვის მუნიციპალიტეტის სოფელებში ჭერემი და ზიარი არ ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი აღსაზრდელთა არ არსებობის გამო, ქალაქად 3 საბავშვო ბაღია. არსებული 34 შენობიდან 15 შენობა ამორტიზირებულია, ამიტომ დაწყებულია 5 და იგეგმება 8 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა.

2024 წლისთვის გათვალისწინებულია 5 ახალი ბაღის მშენებლობა და 1 ბაღის რეაბილიტაცია. თუმცა ეს ვერ პასუხობს თანამედროვე სტანდარტებს, ამიტომ სრულყოფილი ინფრასტრუქტურის მისაღებად საჭიროა მუდმივი, ყოველწლიურად ახლის მშენებლობა და არსებულის რეაბილიტაცია.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო სკოლა. საჯარო სკოლებში მიმდინარე 2023-2024 სასწავლო წელს ირიცხება 7146 მოსწავლე. სკოლებში დასაქმებულია 658 მასწავლებელი, რომელთა შორის 97 % არის უფროსი, წამყვანი და მენტორი მასწავლებელი.

მიმდინარეობს ძველი- სარეაბილიტაციო სკოლების რეაბილიტაცია და ახალი სკოლების მშენებლობები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფ.კაჭრეთში ფუნქციონირებს მრავალპროფილური კოლეჯი „აისი“. კოლეჯში დასაქმებულია 122-მდე მასწავლებელი და სხვა

დამხმარე პერსონალი. სტუდენტთა რაოდენობა შეადგენს 400. პროფსასავლებელში შესაძლებელია შემდეგი პროფესიების შესწავლა: მეფუტკრეობა, მევენახეობა, აგრონომია, კულინარია, სადურგალო, სანტექნიკა, ელექრიკოსი, ზოოტექნიკოსი, ფარმაცია და სხვ. სასწავლებელი თანამშრომლობს ბიზნესთან და მისი კურსდამთავრებულები უმეტესწილად საქმდებიან სპეციალობის მიხედვით სხვადასხვა ბიზნეს სექტორებში, რაც ქმნის ინტერესს სასწავლებელში შემსვლელთა მხრიდან.

სოფლების უმეტესობაში საგანმანათლებლო აქტივობა მისაწვდომია (ცეკვის, მუსიკის, ხატვის წრეები). ამ მხრივ გამორჩეულია ქალაქი გურჯაანი, სადაც საგანმანათლებლო სივრცეების დიდი არჩევანია, ხშირად, აქ ბავშვები სოფლებიდანაც დადიან. რეგიონალური მნიშვნელობის საგანმანათლებლო დაწესებულების რანგი აქვს გურჯაანის ტექნოპარკს. 30 სოფლიდან მხოლოდ 16-ს გააჩნია ბიბლიოთეკა, რომელთა უმეტესობა სკოლის შენობაშია განთავსებული.

ქვემოთ წარმოდგენილია საგანმანათლებლო ობიექტები გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფარგლებში. ასევე, გაკეთებულია სკოლებისა და ბაღების მისაწვდომობის ანალიზი მომსახურების რადიუსების ჩვენებით.



*სურ. 1. საგანმანათლებლო ობიექტები გურჯაანის მუნიციპალიტეტში და მომსახურების რადიუსები*

ამდენად, დასკვნის სახით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ არსებული რესურსების და პერსპექტივული დემოგრაფიული ცვლილებების გათვალისწინებით, **სოციალური მომსახურება** - ჯანდაცვის, საშუალო (მათ შორის პროფესიული) და სკოლამდელი განათლების, ასევე კულტურისა და სპორტის მიმართულებით - არ საჭიროებს რაიმე სახის განსაკუთრებულ მატებას, გარდა ზემოთაღნიშნული დაგეგმილი მშენებლობებისა და ყოველწლიური გეგმიური სარემონტო ან ზოგადად, განვითარების შესაბამისი ახალი მოთხოვნების უზრუნველსამყოფი ქმედებებისა.

## 2. ტურიზმი

2023 წლისთვის გურჯაანის მუნიციპალიტეტში ტურიზმის სექტორი დივერსიფიცირებულია, შეცვლილია ტურიზმის სექტორის მახასიათებლები, გაზრდილია დარჩენის ხანგრძლივობა და დანახარჯები ვიზიტორთა მხრიდან. მუნიციპალიტეტში შექმნილია 20 კმ-მდე საფეხმავლო ბილიკი და განვითარებულია გამაჯანსაღებელი, გასტრონომიული, საფეხმავლო, სათავგადასავლო, ურბანული და კულტურული ტურიზმი. 2035 წლისთვის ქალაქ გურჯაანს საშუალოდ 4,472 ვიზიტორი სტუმრობს დღეში, საიდანაც საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა არის 1,203, ხოლო ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობაა 3,269 (მთლიანად გურჯაანის მუნიციპალიტეტში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა დღიურად არის 1,504, ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა კი 4,086-ს აღწევს დღიურად). პიკის პერიოდში კი ქალაქ გურჯაანს 5,590 საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორი სტუმრობს დღეში, ხოლო მუნიციპალიტეტს - 6,987 ვიზიტორი. რაც შეეხება ღამის თევას, 2035 წლის პიკის პერიოდში ქალაქ გურჯაანში დამრჩენი საერთაშორისო და ადგილობრივი ვიზიტორების რაოდენობა არის 839 ადამიანი/ღამე, ხოლო მთლიანად მუნიციპალიტეტში - 1048 ადამიანი/ღამე. ადგილობრივი და საერთაშორისო ტურისტებისათვის ტურისტული ვიზიტების საშუალო დარჩენის ხანგრძლივობა კი შეადგენს 1.5-2 ღამეს.

უშუალოდ ტურიზმის და სტუმართმასპინძლობის სექტორში განხორციელებული კერძო და საჯარო სექტორის პირდაპირი ინვესტიციები არის დაახლოებით $40 მილიონი.

| # | ვიზიტორები | გურჯაანის მუნიციპალიტეტში ვიზოტორთა რაოდენობა კაცი/დღეში | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | მთელს მუნიციპალიტეტში | | ქ. გურჯაანი | | დანარჩენი ტერიტორია | |
| | | საშაუალოდ | პიკზე | საშაუალოდ | პიკზე | საშაუალოდ | პიკზე |
| 1 | საერთაშორისო ვიზიტორები | 1504 | 1880 | 1203 | 1504 | 301 | 376 |
| 2 | ადგილობრივი ვიზიტორები | 4086 | 5107 | 3269 | 4086 | 817 | 1021 |
| სულ | | 5590 | 6987 | 4472 | 5590 | 1118 | 1397 |

ქვემოთ წარმოდგენილ სურათზე (სურ.2) ასახულია ისტორიულ - კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების (ძირითადად ეკლესია მონასტრების) ადგილმდებარეობა. ასევე გზების და ბილიკების ძირითადი ნაწილი, რომლებითაც ხდება და ზოგ შემთხვევაში წარსულში ხდებოდა მათთან დაკავშირება.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის საზღვრებში, უხვად და გარკვეულ ადგილებში კონცენტრირებულადაა განლაგებული ისტორიული - ხუროთმოძღვრული ძეგლები, რომელთაგან რამდენიმეს მინიჭებული აქვს ეროვნული მნიშვნელობის ძეგლის სტატუსი. გარდა ცალკეული ტაძრებისა, ამ არეალში არსებობს სამონასტრო კომპლექსები, რომელშიც შედის: ტაძრები; სამეურნეო შენობა-ნაგებობები; სატრაპეზო; თავდაცვითი ნაგებობები; ჭერემში საკათალიკოსო... მათი დიდი ნაწილი ჩამოშლილია, დღემდე მოღწეულია ნანგრევის სახით.

არსებული სიტუაციიდან/მდგომარეობიდან გამომდინარე, სასურველია განხორციელდეს ტაძრებისა და სხვა ისტორიული ნაგებობების შენარჩუნებისთვის საჭირო რესტავრაციის თუ

კონსერვაციის სამუშაოები, დაიგეგმოს და განხორციელდეს მათი შემდგომი მოვლის და დაცვის სამუშაოები.

ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, დიდი პოტენციალი გააჩნია გურჯაანის მუნიციპალიტეტს. მის განსახორციელებლად საჭიროა მოეწყოს ტურისტული ინფრასტრუქტურა, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს კულტურული მემკვიდრეობის და ბუნების ძეგლების დაცვის-მათ შორის ვიზუალური დაცვის შემზღუდავი ზონები/არეალები. აღსადგენი და სარეაბილიტაციოა (ისტორიულად არსებული) გზები და ბილიკები. ასევე სარეაბილიტაციოა ტაძრებთან და მონასტრებთან დამაკავშირებელი გზები და ბილიკები.

ამ კუთხით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არეალია სოფ. კალაურსა და სოფ. ჭერემს შორის არსებული ტერიტორია, სადაც კონცენტრირებულად და უხვადაა განლაგებული ხუროთმოძღვრული და ბუნების ძეგლები.

სოფ. ჭერემში არის არქეოლოგიური უბნები, რომლებიც დღესდღეობით დახურულია. სასურველია მათი გააქტიურება - კვლევითი სამუშოების წარმოება. დამატებით, მიმდებარე ტერიტორიების გამოკვლევის შედეგად, შესაძლებელია გაიზარდოს არქეოლოგიური უბნების რაოდენობა, რაც საგანმანათლებლო და ტურისტული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ფაქტორია.



*სურ. 2. სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების არეალები*

## 3. ახალი სოფლის მშენებლობისათვის და არსებული სოფლების ექსტენსიური განვითარებისათვის შერჩეული ტერიტორიები (სარეზერვო ტერიტორიები)

აღნიშნული ტერიტორიები გულისხმობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სივრცის დაგეგმარების გეგმით განაშენიანებისთვის შემოთავაზებულ ტერიტორიებს, ახალი სოფლისა და არსებულ სოფლებში ცალკეული, სამშენებლო განვითარებისათვის ხელსაყრელი ახალი უბნების სახით. (იხ. სურ.3)

სამშენებლო განვითარების უმთავრეს მაპროვოცირებელ ფაქტორად უპირველესად თბილისი-ბაკურციხის ახალი, ოთხ-ზოლიანი გზატკეცილის მშენებლობა უნდა მივიჩნიოთ. ცხადია, აუცილებელია ამ პროცესების მართვა, როგორც ახალი, ასევე არსებულ დასახლებებში სარეზერვო ტერიტორიების გამოვლენის, სიმჭიდროვის და კომპაქტურობის გათვალისწინების თვალსაზრისით. კვლევების საფუძველზე გამოვლინდა საინვესტიციო განვითარებისათვის მისაღები გარკვეული ტერიტორიები, რომლებიც პირველადი სიზუსტის მქონე არეალების სახით დატანილია რუკაზე, როგორც გეგმარებითი შემოთავაზება (სურ.3). კერძოდ, ეს უკავშირდება ზიარი-ლაკბეს სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსის განვითარების შესაძლებლობებს და მიმდებარე დასახლებებში ამ განვითარებისათვის არასაკმარისი მოსახლეობის რაოდენობას.

აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით ფუნქციათა სიმძლავრისა და განთავსების თვალსაზრისით, საჭიროების შემთხვევაში დაზუსტდება, მომდევნო ეტაპის, ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავების დროს შესაბამისი კონკრეტული სამომავლო პროექტების ფარგლებში.




*სურ.3 სარეზერვო ტერიტორიები*

## 4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების არეალები

ქალაქ გურჯაანის შემდგომ ეკონომიკური განვითარებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის საკურორტო პოტენციალის სრული გამოყენება. ამჟამად გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკურორტო პოტენციალი განისაზღვრება ქალაქ გურჯაანის ფარგლებში მდებარე **კურორტ ახტალის** ტალახის აბაზანებით.

**კურორტი ახტალა** ქალაქ გურჯაანის შემადგენელს წარმოადგენს და მისი შემდგომი განვითარება ქალაქის განაშენიანების გეგმასთან ერთობლიობაშია განხილული.

განაშენიანების გეგმის მიხედვით, ქალაქის ცენტრში არსებული ახტალის პარკის და დიდების მემორიალური პარკის რეაბილიტაციისთვის განსაზღვრულია გარკვეული ინფრასტრუქტურული ობიექტების და მათი მოწყობის სქემის დამუშავება და შედეგად პარკის აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა ქალაქის ცხოვრებაში. ამჟამად კერძო საკუთრებაში გადაცემული პარკის ტერიტორია ვერ უზრუნველყოფს აუქციონით განსაზღვრულ განვითარების პირობებს. გეგმის თანახმად ახტალის პარკი და ვულკანის კრატერები აქტიურად უნდა ჩაერთონ ქალაქის სტრუქტურაში და გახდნენ ტურისტული ატრაქცია - ვულკანი, რომელზეც შესაძლებელია ახლოდან დაკვირვება, უნიკალური ტურისტული ობიექტია. პარკების რეკონსტრუქცია განხორციელდება თანამედროვე მიდგომებით და არქიტექტურული გადაწყვეტებით - ადაპტირება

შშმ პირებისთვის; საფეხმავლო ბილიკებისა და ველობილიკების მოწყობა; მარშრუტის უზრუნველყოფა (ძირითადად შესასვლელებთან) კვების და გართობის მცირე პავილიონებით. ახტალის პარკს ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ოთხივე მხრიდან დაემატება შესასვლელები, ხოლო ორივე პარკის ინფრასტრუქტურა გადაებმება ერთმანეთს.

**სოფ. ზიარის** მიკროკლიმატი, ზიარის ტბა და მიმდებარე ლაკბეს წყალსაცავი ქმნიან გომბორის ქედის ამ საკვანძო წერტილში ერთიანი საკურორტო (50-100 ნომრიანი 2-4 სასტუმროს მშენებლობა), სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული კომპლექსის განვითარების შესაძლებლობას. მუნიციპალიტეტის დასახლებული ადგილების მიმართ ცენტრალური მდებარეობა იძლევა კარგ შესაძლებლობას აქვე განვითარდეს მუნიციპალიტეტისათვის საერთო სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსი შესაბამისი ინფრასტრუქტურით (სპორტსკოლების და კლუბების მოწვევა საზამთრო და საზაფხულო სეზონებზე). აქვე, მიმდებარე ქედები ქმნიან საუკეთესო შესაძლებლობას პარაპლანის სისტემის ჩამოსაყალიბებლად, ხოლო ქედებს შორის გაშლილი ველი - საკემპინგე ადგილების შესაქმნელად. ტერიტორიის საკვანძო მდებარეობა იძლევა ასევე საშუალებას საკურორტო არეალების პოტენციურ განვითარებას ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც დავუკავშიროთ. ამ ადგილიდან შესაძლებელია დაინერგოს ტურისტული მარშრუტები (საფეხმავლო, საცხენოსნო, საველოსიპედო...) ბოჭორმის, უჯარმის, ჭერემის, სიღნაღის და ხორნაბუჯის მიმართულებით და ამით გარკვეული სინერგია მიენიჭოს, როგორც მუნიციპალიტეტის საკურორტო, ისე სპორტულ-გამაჯანსაღებელი და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. (სურ.4)
სოფ. ვეჯინის ამჟამინდელი მდგომარეობა არ იძლევა საკურორტო მიმართულებით მისი შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს, დამოუკიდებლად ფუნქციონირების არასაკმარისი რესურსის გამო და თვითკმარი საკურორტო პოტენციალის მქონე - ახტალის კურორტთან და სამომავლო, ზიარი-ლაკბეს სპორტულ-გამაჯანსაღებელ და ტურისტულ კომპლექსთან მისი ფუნქციური და ტერიტორიული კოოპერაციის შეუძლებლობის გამო.




*სურ. 4. სპორტულ-გამაჯანსაღებელი, საკურორტო და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების არეალები*

სოფ. ზიარისა და მიმდებარე არაშენდას თემის სოფლების საკურორტო პოტენციალი, მათ გარშემო არსებული სხვადასხვა ტიპის და გამოყენების ტერიტორიები, ადგილზე იქნა შესწავლილი რამდენიმე საექსპერტო გასვლა/ექსპედიციის პირობებში. ემპირიული დაკვირვებით ადგილზევე შეირჩა შემდგომი სამშენებლო განვითარებისათვის მისაღები ტერიტორიები, რომლებიც პირობითი არეალების სახით დატანილია რუკაზე (სურ.4). ჩატარებულ კამერალურ კვლევებთან (ისტორია, ბუნებრივი პირობები, კლიმატი და სხვა) ერთობლიობაში გამოვლინდა შემდეგი საინვესტიციო შესაძლებლობები:

სპორტული ბაზების მშენებლობა, სადაც ჩამოვლენ და სხვადასხვა სეზონზე ივარჯიშებენ, საბავშვო თუ პროფესიონალი კლუბები და სპორტსმენები. მოსაწყობია სავარჯიშო მოედნები და დარბაზები, სპეციალიზირებული სასტუმროები (ბაზები). ტყეებში ღია ცის ქვეშ სავარჯიშო სისტემები.

ტყეების სიახლოვეს ასაშენებელია ტურისტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო კომპლექსები, რომლებიც ამავდროულად გამოიყენებენ ლაკბის წყალსაცავის სარეკრეაციო რესურსს. რაც, მელიორაციის მიზნებისათვის ლაკბეს წყალსაცავის გამოყენების შემთხვევაშიც კი, წყლის ხარჯვის ოპტიმიზაციის პირობებში სავსებით შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

ასაშენებელია ტურისტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო კომპლექსები, რომლებიც გამოიყენებენ ლაკბის წყალსაცავის სარეკრეაციო რესურსს, ტყეების სიახლოვეს. სასტუმრო კომპლექსების აშენება შესაძლებელია ალაზნის და ივრის ველების არაჩვეულებრივ ხედებზე ორიენტაციით. აღსანიშნავია, რომ ადრე სოფელ ჯიმითთან იყო ტუბერკულოზიანთა დისპანსერი, რაც არსებული ჰავის სასარგებლობაზე მეტყველებს.

აღნიშნული საკითხი, განსაკუთრებით ფუნქციათა სიმძლავრისა და განთავსების თვალსაზრისით, დაზუსტდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაციის დამუშავების დროს შესაბამისი კონკრეტული სამომავლო პროექტების ფარგლებში.

## 5. ისტორიული განაშენიანების უბნების რეაბილიტაცია და კახეთის ტურისტულ ინფრასტრუქტურაში მათი ჩართვა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მატერიალურ-კულტურული მემკვიდრეობის მდიდარ ნუსხაში განსაკუთრებული ადგილს იკავებენ ისტორიული განაშენიანების უბნები შუა საუკუნეებიდან XX საუკუნის დასაწყისამდე და გურჯაანის რკინიგზა, მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურითა და ნაგებობებით. რაც, კახეთის ამ ნაწილის კულტურული ტურიზმისათვის მძლავრ პოტენციალის რესურს წარმოადგენს როგორც შიდა, ასევე ქვეყნისა და საერთაშორისო დონეზე, ამ რესურსის სათანადო რეაბილიტაციის, შესაბამისი პოპულარიზაციის, ტურისტულ მარშრუტებში მათი მნიშვნელობისა და ადგილის ხელახლა გააზრებისა და ჩართვის გზით. მათ შორის უპირველესად გამოვყოფთ უბნებს:

**ქ. გურჯაანში, რკინიგზის სადგურის შენობის მიმდებარედ.** უბანს, რომლის სტრუქტურა მართალია ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურის ტიპური მაგალითია (რკინიგზის ღიანდაგის პარალელურად განვითარებული ქუჩა), თუმცა, ისტორიული მეხსიერებისა და შემორჩენილი ნაგებობების საფუძველზე, სწორი რეაბილიტაციის შემთხვევაში აქვს სრული რესურსი ტურისტული თვალსაზრისით მიმზიდველ არეალად გადაიქცეს.

**სოფელ გურჯაანის ცენტრი** მნიშვნელოვანია ერთდროულად ნაგებობათა სტილისტური ერთიანობითა და ქალაქგანაშენიანების ხასიათით და უდავოდ იმსახურებს სარეაბილიტაციო არეალად განხილვას, რადგან აქვს ყველა მონაცემი მნიშვნელოვან ტურისტულ ცენტრად გარდაქმნისათვის.

**სოფელ ვაზისუბანში სოლოლაკის უბანს** აქვს დიდი პოტენციალი ერთ-ერთ საინტერესო ტურისტული მიზიდულობის ცენტრად იქცეს.

**სოფ. ველისციხემ** უნდა იტვირთოს შემკრებისა და გამანაწილებლის ფუნქცია ერთიან ტურისტულ ჯაჭვში, რაც როგორც სოფლის, ასევე - მისი მიმდებარე დასახლებების ახლებრ პოზიციონირებას და ეკონომიკური შესაძლებლობების გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

**გურჯაანის რკინიგზა**, მასში შემავალი ყველა ინფრასტრუქტურული ელემენტით იმსახურებს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი (ინდუსტრიული) ძეგლის სტატუსს, აქვს დიდი პოტენციალი შეურთდეს კულტურული მემკვიდრეობის სხვა კომპონენტებს და მუნიციპალიტეტის ტურისტული ინფრასტრუქტურის ჯაჭვის ერთ-ერთ მთავარ რგოლად იქცეს.

## 6. საწარმოო პოტენციალის მქონე ტერიტორიები/სხვა საწარმოო ტერიტორიები

გურჯაანის მუნიციპალიტეტში მრეწველობის მთავარი დარგია მეღვინეობა, რაიონში რამდენიმე ღვინის და სპირტის ქარხანაა, ასევე სხვა პროფილის მცირე საწარმოები.

ამჟამად მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის დარგი წარმოდგენილია 99 საწარმოთი, რეგისტრირებულია და ფუნციონირებს 48 ერთეული საოჯახო ტიპის მარანი. გურჯაანის მუნიციპალიტეტში წელიწადში საშუალოდ იწარმოება 25–30 ათასი ტონა ატამი და ნექტარინი. აქედან მაღალხარისხიან ანუ სარეალიზაციო დანიშნულების პროდუქტს შეადგენს 80–85%. პირველადი სახით ნაწარმოები პროდუქციის 22% გადის ექსპორტზე.[9] გურჯაანის მუნიციპალიტეტში 2019 წელს დამუშავებული „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების

---

[9] გურჯაანის მუნიციპალიტეტი, https://gurjaani.gov.ge/sites/default/files/gurjaani_mdd.docx
[9] გურჯაანის მუნიციპალიტეტი, https://gurjaani.gov.ge/sites/default/files/xelmocerili-versia-kartuli_1.pdf

გეგმის“ დანართი 6-ში ცხრილი 6.1-ის სახით წარმოდგენილია „საწარმოთა კლასიფიკაცია ეკონომიკური საქმიანობის და ზომის მიხედვით“.

ეს ცხრილი გვამცნობს, რომ ‘’სტატისტიკის ეროვნული ბიუროს 2018 წლის მონაცემებით, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 737 მიკრო, 805 მცირე და 1 საშუალო ბიზნესის სტატუსის მქონე საწარმო.

საოჯახო მარნები და მცირე ღვინის საწარმოების კვალდაკვალ, მუნიციპალიტეტისა და თავად ქალაქ გურჯაანის შემდგომ ეკონომიკურ განვითარებას მნიშვნელოვნად წაადგება აგრობიზნესსა და ფერმერულ მეურნეობაზე დაფუძნებული მსუბუქი მრეწველობის ინდუსტრიის - სასოფლო-სამეურნეო ეკო და ბიოპროდუქტების წარმოების განვითარება, შესაბამისი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია საწარმოო პოტენციალის მქონე ტერიტორიების ათვისების ხარჯზე. (იხ. გრაფიკული ალბომი #01 სინთეზური რუკა)

## 7. ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების აღდგენა

ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების მთავარი დანიშნულებაა ქარის სიძლიერის კოეფიციენტის შემცირება, შედეგად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გაზრდა და ნიადაგის ეროზიის შემცირება, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაცია. მუნიციპალიტეტში ხშირია ძლიერი ქარების მოქმედებით დამუშავებული ნიადაგების გამოფიტვა და ჰუმუსიანი ფენის გადახვეტა.

**ქარების მოქმედების სიძლიერის მიხედვით დარაიონების შესაბამისად** გურჯაანის მუნიციპალიტეტი (კახეთში მხოლოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტთან ერთად) განეკუთვნება **I ჯგუფს, რომელშიც** ქარი იწვევს ნიადაგის ზედა ფენის ახვეტას და მის ძლიერ გამოქარვას. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი სულ 7 მუნიციპალიტეტია, ხოლო დასავლეთ საქართველოში - 14). ქარსაფარი ზოლების არარსებობამ გაზარდა მუნიციპალიტეტში ქარისმიერი ეროზიის (დეფლაციის) უარყოფითი გავლენა სასოფლო–სამეურნეო სავარგულებზე, კერძოდ ნიადაგების გამოშრობის, ხშირად კი მათი ნაყოფიერი ფენის განადგურების თვალსაზრისით. საფრთხე შეექმნა არა მხოლოდ სასოფლო–სამეურნეო კულტურების მოსავლიანობას, არამედ თვით ამ კულტურების არსებობასაც კი; განსაკუთრებით ეხება ეს მრავალწლიან კულტურებს. აღსანიშნავია, რომ ქარსაფარი ზოლების განადგურებამ არა მარტო სასოფლო–სამეურნეო სავარგულებზე იქონია უარყოფითი გავლენა, არამედ სავარგულების გარშემო არსებულ დასახლებულ პუნქტებზეც, რადგან გაუარესდა მიკროკლიმატი, დაშრა წყაროები და არახელსაყრელმა ეკოლოგიურმა გარემომ საფრთხე შეუქმნა მოსახლეობას.

ზემოაღნიშნულის გამო დღის წესრიგში დადგა ქარსაცავი ზოლების აღდგენისა და ფრაგმენტულად დარჩენილი მასივების რეკონსტრუქციის საკითხი. ნიადაგის დაცვის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების აღდგენისა და გაუდაბნოების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თითქმის აღარ არსებობს ქარსაცავი ზოლები, რომლებიც ან ამორტიზებულია, ან მოსახლეობის მიერ გაიჩეხა სათბობად.

სსიპ – მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს დაევალა ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის განხორციელება, რომლითაც დადგინდა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტში ქარსაფარი ზოლები არსებობს მხოლოდ 301 ჰა ფართობზე. მუნიციპალიტეტში არსებული ზოლების იდენტიფიცირება-ინვენტარიზაციასა და საჯარო

რეესტრში რეგისტრაცია ქარსაფარი ზოლის ინვენტარიზაციის გეგმის შესაბამისად განხორციელდება 2024 წელს.

მანამდე კი 2025 წლისთვის დაგეგმილია ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციის დასრულება, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს რეგიონის შერჩეულ მუნიციპალიტეტებში, რომელთა რიცხვში გურჯაანის მუნიციპალიტეტი არ შედის, რაც გაკვირვებას იწვევს (იხილეთ ქვემოთ). დღეს კი საგარეჯოს, გურჯაანის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტებში **25 კილომეტრზე (18 ჰა ფართობი)** პროექტი „ქარსაფარი ზოლების აღდგენა და გაშენება კახეთის მხარეში" ხორციელდება, რომელიც პირველ რიგში კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციის ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროექტს ასრულებს კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრი (RECC) სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) ფინანსური მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობა (AMMAR) პროგრამის ფარგლებში.

რაც შეეხება მთლიანად მუნიციპალიტეტში ქარსაფარი ზოლების ასამოქმედებლად სამუშაოების მოცულობას, არ არსებობს ქარსაფარის უნივერსალური ტიპი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ლანდშაფტის, არსებული კულტურებისა და კლიმატური პირობების შესაბამისი ქარსაფარის დაგეგმვა. ქარის სიძლიერის ჯგუფის და გაბატონებული ქარების მიმართულების მიხედვით (ალაზნის ველზე *გაბატონებულია* სამხრეთ-დასავლეთის - 33% და დასავლეთის - 18% *ქარები)* დგინდება ძირითადი და დამხმარე ზოლების ფართობზე განლაგება და მიმართულებები, თანაც დამხმარე ზოლები შენდება ძირითადი ზოლების მართობულად. ძირითად ზოლებს შორის მანძილი მიიღება ქარის სიძლიერისა და ზოლების საპროექტო სიმაღლის მიხედვით და ერთწლიანი კულტურებისათვის I ჯგუფის, გურჯაანის მუნიციპალიტეტისთვის ეს მანძილია - 300 მ, ხოლო მრავალწლიანი ნარგავებისათვის (ხეხილი, ვენახი) მცირდება 200 მეტრამდე; დამხმარე ზოლებს შორის მანძილი მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს ძირითად ზოლებს შორის მანძილს. ამ დროს ზოლებში უნდა იყოს 6-8 მწკრივი, ზოლში ნერგები უნდა გაშენდეს ჭადრაკულად.

სივრცის დაგეგმარების გეგმაში შემოთავაზებული ქარსაფარი ზოლების აღდგენა-გაშენება გურჯაანის მუნიციპალიტეტის ფარგლებში გრაფიკულად წარმოდგენილია რუკაზე პირობითად (იხ. გრაფიკული ნაწილი - რუკა 10).

## 8. ძირითადი საინჟინრო ინფრასტრუქტურა[10]

### 8.1. ელექტროსისტემა

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგება ხორციელდება ექვსი დამწევი ქვესადგურიდან:

- „გურჯაანი – 220“,
- „გურჯაანი – 110“,
- „მუკუზანი – 110“,
- „ალაზანჰესი – 110“,
- „კაჭრეთი – 110“ და
- „ქოდალო – 35“

2026 წლისთვის ექსპლუატაციაში შევა ,,ართანაჰესი“ 3 მგვტ, ,,ლოპოტაჰესი“ 8 მგვტ და ,,პალდოჰესი“ 7 მგვტ, რომლებიც მიუერთდება კახეთის ენერგოქსელს და აქედან, გეგმის მიხედვით, 40 მგვტ სიმძლავრე უნდა დაემატოს გურჯაანი 220/110-ის მომხმარებელს.

ცნობილია, რომ ქვესადგურებში მიმდინარეობს, მხოლოდ საშუალო ძაბვის ცალკეულ გამავალ ხაზებთან (ფიდერებთან) მიერთებული მომხმარებლების მიერ, დღე-ღამეში მოხმარებული აქტიური ელექტროენერგიის აღრიცხვა. ქვესადგურებში არ წარმოებს არც ცალეული ფიდერების, არც ქვესადგურის ჯამური აქტიური და რეაქტიული დატვირთვების კონტროლი (ნახევარსაათიანი ან ერთსაათიანი დატვირთვის გრაფიკების გადაღება). აქედან გამომდინარე, რთულია ქვესადგურის დღე-ღამური და წლიური ენერგეტიკული მაჩვენებლების, მათ შორის ქ/ს-ების პიკური დატვირთვების ზუსტი განსაზღვრა.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგების ქსელის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების სრულყოფილი შეფასებისათვის, საჭიროა დეტალურად იქნეს შესწავლილი ქვესადგურებიდან გამავალი საშუალო (10კვ) ძაბვის ქსელი. კერძოდ, გამოკვლეულ იქნას 110/10, 35/10 და 10/0,4 კვ ძაბვის დამწევი ქვესადგურების, 10 და 0,4 კვ ძაბვის საჰაერო და საკაბელო ქსელების ტექნიკური მდგომარეობა, გადაღებულ და აგებულ იქნას ელექტრომომარაგების ქსელის ქ/ს-ების ჯამური და ქვესადგურებიდან გამავალი ცალკეული ფიდერების აქტიური და რეაქტიული დატვირთვის დღე-ღამური გრაფიკები და დადგენილ იქნეს ქსელის ელემენტების ენერგეტიკული მაჩვენებლები.

საქართველოს ელექტროქსელების განვითარების 10-წლიანი (20156-2026) გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია 220 კვ ქ/ს „თელავის“ და შესაბამისი 220 კვ ეგხ-ები „ჟინვალი-თელავი-გურჯაანის“, მშენებლობა. რაც მნიშვნელოვნად წაადგება მუნიციპალიტეტის ელექტრომომარაგებას

[10] საქ. ქსელების განვითარების 10 წლიანი გეგმა - 2016-2026 https://sakrusenergo.ge/wp-content/uploads/2020/07/2016-2026-%E1%83%AC%E1%83%AC-%E1%83%98%E1%83%A1-10-%E1%83%AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90-1.pdf

## 8.2. ბუნებრივი აირი

საველე სამუშაოებისას, გამოკითხვის შედეგად, გამოიკვეთა, რომ მუნიციპალიტეტი გარდა სოფლებისა: ჭერემი, ზიარი, ფხოველი, მთლიანად გაზიფიცირებულია; მუნიციპალიტეტის გაზიფიცირება Socar Georgia-ს ბალანსზეა.

## 8.3. წყალმომარაგება

ქალაქ გურჯაანის წყალმომარაგების სიტემა შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' ბალანსზეა. წყალმომარაგების სისტემით დასრულდა მთლიანი ქალაქის და მოსახლეობის თითქმის 100% უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. ქალაქში წყალმომარაგების რეაბილიტაციის ძირითადი ნაწილი განხორციელდა, თუმცა დღესაც მიმდინარეობს მცირე

შეკეთებები. დღეის მდგომარეობით მოსახლეობა მარაგდება 24-საათიანი გრაფიკით.

გურჯაანის სოფლების მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს 24 საათიანი წყალმომარაგება. მიმდინარეობს საპროექტო სამშენებლო სამუშაოები შემდეგ სოფლებში:

- სოფელი გურჯაანი
- ჭანდარი
- ძირკოკი
- კაჭრეთი
- ზემო კაჭრეთი
- ბაკურციხე
- კარდენახი
- ჯიმითი
- ნანიანში
- ვეჯინი
- კოლაგი
- არაშენდა
- დარჩეთი
- ქოდალო.

რაიონის 29 სოფელში არსებობს წყალმომარაგების სისტემა, რომლებიც ნაწილობრივ აკმაყოფილებს სოფლების წყლით მომარაგებას. დღეისთვის გაცემულია ტექნიკური დავალება 4 სოფლის ველისციხის, ახაშენის, ზეგაანის და მუკუზანის წყალმომარაგების სისტემის მოსაწყობად.

## 8.4. საყოფაცხოვრებო წყალარინება

ქალაქ გურჯაანის წყალარინების სისტემის ძირითადი ნაწილი შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის'' ბალანსზეა. ქალაქში წყალარინების სისტემის ნაწილობრივი რაბილიტაცია მოხდა წყალომომრაგების სისტემასთან ერთად, რეაბილიტაცია ძირითადად შეეხო ცენტრალურ კოლექტორებს, მოეწყო ქალაქის დარჩენილ ნაწილში, ახალი საკანალიზაციო კოლექტორები.

დღეის მდგომარეობით დასრულებულია ქალაქის გამწმენდი ნაგებობის პროექტირება და იწყება მისი მშენებლობა. გამწმენდი მოწყობილია ბიოლოგიური გაწმენდის თანამედროვე პრინციპებით, რომელიც გულისხმობს ჩამდინარე წყლების გაწმენდას ანაერობული ავზებისა და ბიოლოგიური ფილტრის გამოყენებით.

რაიონის 29 სოფლიდან, გარდა ს. ველისციხის ცენტრალური ნაწილისა, სადაც მიმდინარეობს სოფლის ცენტრის კეთილმოწყობა და შენდება კანალიზაციის გამწმენდი ნაგრბობა, არცერთ სოფელში არ არსებობს კანალიზაციის ქსელები გამწმენდი ნაგებობებით.

საჭიროა თითეულ სოფელში მოეწყოს კანალიზაციის გამწმენდი ნაგებობები, რომლებიც გათვალისწინებული იქნება თითოეული სოფლის მოსახლეობის რაოდენობაზე.

### 8.5. ნარჩენების მართვა

*ნარჩენების მართვის ზოგადი მიმოხილვა*

გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ადგილობრივ მთავრობას, რომელიც პასუხისმგებელია ნარჩენების მართვის კონკრეტული ფუნქციების შესრულებაზე, კერძოდ, გურჯაანის მუნიციპალიტეტი პასუხისმგებელია მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და ტრანსპორტირების მომსახურებაზე, რაც აშკარად არასაკმარისია, ქუჩების, პარკებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების დასუფთავებაზე მისი ადმინისტრაციული ტერიტორიის ფარგლებში. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ პროცესებს ა(ა)იპ „გურჯაანის დასუფთავების სამსახური" ახორციელებს. გარდა ნარჩენების მართვის მომსახურებისა, სამსახურის ფუნქციას მოიცავს ქუჩებისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების, ეზოების, პარკების დაგვა-დასუფთავება.

*მომსახურების არეალი*

ნარჩენების მართვის მომსახურება მიეწოდება ქალაქ გურჯაანს და მუნიციპალიტეტის 23 ტერიტორიული ერთეულის ყველა დასახლებულ პუნქტს.

*ნარჩენების შეგროვება და ტრანსპორტირება*

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვების მომსახურების გაწევა მიმდინარეობს კონტეინერული სისტემით. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნარჩენების შეგროვება-გატანა ქ.გურჯაანის ტერიტორიაზე ხდება კვირაში ოთხჯერ, სოფ. ჩუმლაყიდან, ახაშენიდან, ჭანდრიდან და ძირკოკიდან კვირაში სამჯერ, ხოლო მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლებიდან ნარჩენების გატანა ხდება კვირაში ერთხელ.

ნარჩენების შეგროვებისთვის ძირითადად გამოიყენება 1.1 მ$^3$ მოცულობის კონტეინერები, ხოლო მათ დასაცლელად გამოიყენება 10 ერთეული სხვადასხვა ტევადობისა და მარკის ნაგავმზიდი.

*ნარჩენების განთავსების ოფიციალური ობიექტები*

გურჯაანის მუნიციპალიტეტში შეგროვებული ნარჩენების განთავსება თელავის, წნორის და საგარეჯოს მუნიციპალურ ნაგავსაყრელებზე ხორციელდება (სიახლოვის პრინციპის გათვალისწინებით).

*ნარჩენების განთავსების არაოფიციალური ობიექტები (არაკანონიერი ნაგავსაყრელები)*

მიუხედავად იმისა, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებულ პუნქტს მიეწოდება ნარჩენების შეგროვების სერვისი, მოსახლეობის და კერძო სექტორის ნაწილი მაინც აბინძურებს გარემოს. (არაჯეროვანი და არასაკმარისი მომსახურების გამო) არაკანონიერ ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენები შეიცავს სხვადასხვა სახის ნარჩენებს, ესენი შეიძლება იყოს: პლასტიკის,

ქაღალდის და მუყაოს, სამშენებლო და ნგრევის, ინერტული, ტექსტილის, მეტალის, მინის და სახიფათო ნარჩენებიც კი.

მუნიციპალიტეტების მერიის ძალისხმევით და სხვადასხვა ღონისძიებების ფარგლებში არაკანონიერი ნაგავსაყრელების ნაწილი პერიოდულად სუფთავდება, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა და კომპანიების ნაწილი მაინც აბინძურებს დასუფთავებულ ადგილებს.

*გადამუშავებადი ნარჩენების მართვის სარეკომენდაციო მოდელი*

გურჯაანის მუნიციპალიტეტში ნარჩენების სეპარირების რამდენიმე მოდელი შეიძლება იქნეს გამოყენებული, რისთვისაც გასათვალისწინებელია:

- საყოფაცხოვრებო/ოჯახების დონეზე სეპარირებისას, შესაძლებელია პლასტმასის და ქაღალდის კომბინირება.
- მინა უნდა სეპარირდებოდეს პლასტმასისა და ქაღალდისგან განცალკევებით. ეს საჭიროა უსაფრთხოების მიზნებისთვის და რეციკლირების ეფექტურობისათვის. ქაღალდის გადამამუშავებლებს არ სურთ ქაღალდი მინასთან ერთად შეგროვდეს (პროდუქციაში მინის ნამსხვრევების მოხვედრის რისკის გამო) და იგივე მოითხოვება პლასტმასის გადამამუშავებლებისგანაც. ასევე, მინასთან ერთად სხვა ტიპის ნარჩენის შეგროვების შემთხვევაში შეგროვებული მინის ხარისხი დაბალი იქნება.
- მეტალები (ქილები) შესაძლოა შეგროვდეს როგორც, მინასთან ერთად, ასევე ქაღალდისა და პლასტმასის ნარევთან.
- პირველ რიგში კი საჭიროა ნარჩენების გატანის ინტენსიფიცირება.

*გადამუშავებადი ნარჩენების რეალიზაცია*

საქართველოს რეგიონების უმეტესობაში სუსტად არის განვითარებული ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოები, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პროცესების საწყის ეტაპზეა და რეციკლირებადი მასალების საერთო რაოდენობა არაა საკმარისი მცირე თუ დიდი ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ოპერირებისთვის. გურჯაანის მუნიციპალიტეტში ნარჩენების გადამუშავების ან წინასწარი დამუშავების ობიექტები წარმოდგენილნი არაა, რაც ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია.

მნიშვნელოვანია სხვა მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა ნარჩენების გადამუშავების მუნიციპალურ დონეზე ორგანიზებისთვის. თანამშრომლობა შესაძლოა შედგეს შემდეგი საკითხების ირგვლივ, მაგალითად:

- ნარჩენების შეგროვების სატვირთოების და კონტეინერების გაზიარება;
- შეგროვების მარშრუტების ერთობლივი დაგეგმვა მოშორებულ და სასაზღვრო ადგილებში;
- ახალი მოწყობილობების შეძენისა და შეგროვების სერვისების აუთსორსინგის ერთობლივი ორგანიზება;
- ნარჩენების გადამამუშავებელ კერძო კომპანიებთან ერთობლივი ხელშეკრულების დადება ნარჩენების გაყიდვასთან დაკავშირებით;
- საზოგადოებრივი და სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების საყოველთაო პროგრამების ფორმულირება და დიზაინი;
- ცოდნის და გამოცდილების გაზიარება;
- საერთო საწარმოების ხარჯების და შემოსავლების გაზიარება;

# 9. ენერგეტიკული პოტენციალი

## 9.1. ქარის ენერგია

ქარის ენერგიის ობიექტების განთავსებისათვის ხელსაყრელი არეალების ზუსტი აუცილებელია ქარის მონაცემებზე მინიმუმ 2 წლიანი დაკვირვების წარმოება. ქარის ენერგიის ასათვისებლად საჭიროა რამდენიმე ძირითადი ეტაპის გავლა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრილი A).




*სურ. 5. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ქარის ენერგიის გამომუშავების პოტენციალის ჭრილში*

| # | ეტაპი | ქვეეტაპი |
|---|---|---|
| 1. | ადგილის შერჩევა და ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლა | • პოტენციური ადგილების იდენტიფიცირება საკმარისი რესურსების გამოსავლენად. ეს მოიცავს ქარის პარამეტრებზე დაკვირვებას და შესაბამისი უწყვეტი მონაცემების შეგროვებას;<br>• ფიზიკური გარემოს შესწავლა;<br>• პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევა |
| 2. | პროექტის შემუშავება | • მიწის საკუთრების ანალიზი და გამოყენების ნებართვის მოპოვება;<br>• დეტალური პროექტის მომზადება, მათ შორის ტურბინების განლაგების, მისასვლელი გზების და ელექტრო ინფრასტრუქტურის განლაგების ჩათვლით; |

| | | |
|---|---|---|
| | | • გარემოსდაცვითი ანგარიშების მომზადება და შეთანხმება; |
| 3. | ქარის ტურბინების შესყიდვა | • ქარის ტურბინის შესაბამისი მოდელის შერჩევა ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით: ქარის სიჩქარე, რელიეფის თავისებურებები;<br>• ტურბინების მწარმოებლებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკება და ხელშეკრულებების გაფორმება; |
| 4. | ინფრასტრუქტურის მოწყობა | • მისასვლელი გზების მოწყობა სამუშაოების წარმოების და ტექნიკა-დანადგარების ტრანსპორტირებისათვის;<br>• ელექტრო ინფრასტრუქტურის მოწყობა - ქვესადგური, გადამცემი ხაზები და სხვა. |
| 5. | ქარის ტურბინების მონტაჟი | • ქარის ტურბინებისა და მისი კომპონენტების ტრანსპორტირება სამონტაჟო უბნამდე;<br>• ტურბინის სამონტაჟო სამუშაოების წარმოება;<br>• ხარისხის კონტროლის შემოწმება და უსაფრთხოების ინსპექტირება; |
| 6. | ქსელთან დაკავშირება | • ქარის ტურბინების ქსელთან დაკავშირება და ქსელთან სინქრონიზაციის შემოწმება;<br>• სხვა აუცილებელი მოწყობილობის მონტაჟი |
| 7. | ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება | • ქარის ტურბინების მუშაობაზე დაკვირვება, სპეციფიკაციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით<br>• კონტროლის სისტემებისა და უსაფრთხოების მექანიზმების გამართულად მუშაობის შემოწმება;<br>• ტურბინების დარეგულირება ოპტიმალურ რეჟიმში მუშაობისთვის;<br>• ტურბინების სამუშაო რეჟიმში გაშვება; |

*ცხრილი A.*

### 9.2. მზის ენერგია

გურჯაანის მუნიციპალიტეტს მზის ენერგიის გამომუშავების პოტენციალი მაღალი აქვს. მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე სპეციფიური ფოტოელექტროენერგიის წლიური მაჩვენებელი 1100 კილოვატ-საათი/კილოვატ-პიკიდან 1450 კილოვატ-საათი/კილოვატ-პიკამდე იცვლება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაღალი პოტენციალით გამოირჩევა ალაზნის ველისა და ივრის ზეგანის ზონები. შედარებით დაბალი პოტენციალი გააჩნია გომბორის ქედის ზონას (ასევე გასათვალისწინებელია, რომ გომბორის ქედის ზონა ძირითადად ტყის მასივებს მოიცავს), იხილეთ ქვემოთ წარმოდგენილი სქემა (სურ. 6).




*სურ. 6. მუნიციპალიტეტის ტერიტორია მზის ენერგიის გამომუშავების პოტენციალის ჭრილში*

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მზის ენერგიის პოტენციალის შესასწავლად მრავალწლიანი დაკვირვებების წარმოება აუცილებელი არაა. მთავარი მონაცემი რაზეც ყურადღება უნდა გამახვილდეს წელიწადის მანძილზე მზიან დღეთა რაოდენობა და რელიეფის თავისებურებებია. მზის ენერგიის ასათვისებლად საჭიროა რამდენიმე ძირითადი ეტაპის გავლა, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ქვემოთ მოცემულ ცხრილშია წარმოდგენილი (ცხრილი B).

| # | ეტაპი | ქვე-ეტაპი |
|---|---|---|
| 1. | ადგილის შერჩევა და ტექნიკურ ეკონომიკური შესწავლა | • პოტენციური ადგილების იდენტიფიცირება -ექსპოზიცია, დაჩრდილვის კოეფიციენტი, ამინდი და სხვა.<br>• ფიზიკური გარემოს შესწავლა;<br>• პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური მიზანშეწონილობის კვლევ, რაც მოიცავს ენერგიის წარმოების პოტენციალის შესწავლას და შემოსავლის გენერირებას |
| 2. | პროექტის შემუშავება | • მიწის საკუთრების ანალიზი და გამოყენების ნებართვის მოპოვება;<br>• დეტალური პროექტის მომზადება, მათ შორის პანელების და მოდულების განლაგება გზების და ელექტრო ინფრასტრუქტურის განლაგების ჩათვლით;<br>• გარემოსდაცვითი ანგარიშების მომზადება და შეთანხმება; |
| 3. | მზის პანელების შესყიდვა | • სათანადო პანელების შერჩევა ადგილის სპეციფიკის და ენერგიის გამოსავლის გათვალისწინებით.<br>• პანელების მწარმოებლებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკება და ხელშეკრულებების გაფორმება; |

| | | |
|---|---|---|
| 4. | ინფრასტრუქტურის მოწყობა | • მისასვლელი გზების მოწყობა (საჭიროების შემთხვევაში);<br>• პანელების დასამონტაჟებლად საჭირო კონსტრუქციების მოწყობა;<br>• ელექტრო ინფრასტრუქტურის მოწყობა - ქვესადგური, ინვერტორი, გადამცემი ხაზები და სხვა. |
| 5. | მზის პანელების  მონტაჟი | • პანელებისა და მისი კომპონენტების ტრანსპორტირება სამონტაჟო უბნამდე;<br>• პანელების დამონტაჟება სამონტაჟოს სტრუქტურებზე.<br>• პანელების დაკავშირება ინვერტორებთან<br>• ხარისხის კონტროლის შემოწმება და უსაფრთხოების ინსპექტირება; |
| 6. | ქსელთან დაკავშირება | • პანელების ქსელთან დაკავშირება და ქსელთან სინქრონიზაციის შემოწმება;<br>• სხვა აუცილებელი მოწყობილობის მონტაჟი. |
| 7. | ტესტირება და ექსპლუატაციაში გაშვება | • სადგურის მუშაობაზე დაკვირვება. პანელების და ინვერტორების ოპერირების სპეციფიკაციასთან შესაბამისობის შემოწმება<br>• კონტროლის სისტემებისა და უსაფრთხოების მექანიზმების გამართულად მუშაობის შემოწმება;<br>• პანელების დარეგულირება ოპტიმალურ რეჟიმში მუშაობისთვის;<br>• სადგურის სამუშაო რეჟიმში გაშვება; |

*ცხრილი B.*

### 9.3. ჰიდროენერგია

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჰიდროენერგეტიკის განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობები არაა, რადგან მუნიციპალიტეტში არსებულ მდინარეებს ჰიდროენერგეტიკის თვალსაზრისით ძალიან დაბალი პოტენციალი გააჩნიათ.